პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—48.

დღიური

- ერთა ლიგის სესია გაიხსნება 5 დეკემბერს.
- რეიხსტაგმა მიიღო საფრანგეთ - გერმანიის ხელშეკრულება პროდუქტების გაცვლა - გამოცვლის შესახებ.
- შეერთებული შტატები ემუქრებიან მექსიკას დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით.
- გადადგა ფინეთის მთავრობა.
- პარიზში გაიმართა მუნიციპალურ დაწესებულებათა მოსამსახურეების მანიფესტაცია.
- ჩინეთის რეაქციონური ძალები ემზადებიან კანტონის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

პარასკევი, 26 ნოემბერი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 271 (1726)

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 8—81

დაშლის პროცესი ძლიერდება

23 ნოემბერს დაიხურა ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია. ბოლდუინმა თავის საბოლოო სიტყვაში პირფერულად განაცხადა: დელეგაციების მუშაობამ და კონფერენციაზე გამეფებულმა სულმა ინგლისს მისცა ახალი ენერგია და იმედებიო. ამით ამაოდ ლამობს ინგლისის პრემიერი ხელი დააფაროს საქმეთა ნამდვილ ვითარებას. თუმცა კონფერენციის სხდომები საიდუმლოდ მიმდინარეობდა, მაგრამ ნათქვამია „შუბი ხალთაში არ დაიმალებაო“; კონფერენციის მუშაობიდან ბევრი რამ ისეთი გამოქვეყნდა, რაც ბოლდუინის ყალბი ოპტიმიზმის წინააღმდეგ, აშკარად მეტყველებს ბრიტანეთის იმპერიის დაშლის პროცესის გაღრმავებას.

ამ პროცესის უფრო ნათლად წარმოდგენისათვის მკითხველს უნდა გავახსენოთ, რომ ინგლისი მსოფლიოში უდიდეს კოლონიალურ სახელმწიფოს წარმოადგენს. მაშინ, როცა თვით ინგლისის ტერიტორიის სივრცე შეადგენს 230.543 კვადრ. კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 1921 წ. აღწერით—42.917.000 კაცს, ინგლისის კოლონიების სივრცე უდრის 35.408.269 კვ. კილ. და მცხოვრებთა რიცხვი — 420 მილ. 54 ათ. კაცს, ე. ი. ინგლისის კოლონიები თავისი ტერიტორიული ოდენობით მეტროპოლიას აღემატებიან 153 ჯერ, ხოლო მოსახლეობის რიცხვით — თითქმის 9-ჯერ.

ინგლისის კაპიტალიზმის მთელი სიძლიერე ემყარება ამ ვეებერთელა კოლონიალურ სამფლობელოების ექსპლოატაციას; აქედან ღებულობს ის ზემოგებას, ეს კოლონიები ნედლეულის საუკეთესო წყაროა ინგლისის მრეწველობისათვის და ამავე დროს უკანასკნელის პროდუქციის გასაღების უფართოესი ბაზარიც.

მაგრამ უკანასკნელ ათეულ წლებში მდგომარეობა თანდათან იცვლება. კოლონიებში ვითარდება ადგილობრივი მრეწველობა და ეკონომიური დამოკიდებულება ინგლისისგან სუსტდება, ამასთან კოლონიებში ძლიერდება უკმაყოფილება იქ ინგლისის მიერ გამეფებულ რეჟიმით და ისინი ილტვიან პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებისაკენ, მეტროპოლიისაგან ჩამოშორებისაკენ. ამ მხრივ ყველაზე მეტ აქტივობა ე. წ. დომინიონებს ეჩნევათ.

როგორც ვიცით, ინგლისის კოლონიალური სამფლობელოები იყოფიან რამოდენიმე ჯგუფად მეტროპოლიასთან დამოკიდებულების მხრივ: სამანდატო ქვეყნები, პროტექტორატები, საკუთრივ კოლონიები და დომინიონები. კოლონიალურ სამფლობელოთა პირველი სამი ჯგუფი არსებითად მოკლებულია პოლიტიკურ დამოუკიდებლობის ელემენტს, და ლონდონის მთავრობის აგენტების სათარეშოს წარმოადგენს, დომინიონები კი თვითმართველი ერთეულებია.

საიმპერიო კონფერენცია შესდგებოდა დომინიონების წარმომადგენლებისა (ავსტრალია, ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო, კანადა, ახალი ზელანდია, ნიუფაუნდლენდი და სამხრეთ - აფრიკის კავშირი) და აგრეთვე ინდოეთის დელეგაციისაგან, ინდოეთის, რომელიც ჩვეულებრივ კოლონიას წარმოადგენს, მაგრამ ფორმალურად თითქო ერთგვარი უფლებებით სარგებლობს.

როგორც ვსთქვით, დომინიონები იჩენენ, სხვა კოლონიალურ სამფლობელოებთან შედარებით მეტ აქტივობას და მოუკიდებლობისათვის მისწრაფებაში და არ კმაყოფილდებიან ეხლანდელი საკმაოდ ფართე უფლებებით. დომინიონების უმრავლესობის ინდუსტრიალიზაცია ერთი მთავარი მიზეზთაგანია პეტროპოლიასთან მათი კავშირის შესუსტების. თვით ინგლისი ბოლო წლებში ეკონომიურად თანდათან ეცემა და დომინიონებისათვის უსარგებლო ხდება. სამაგიეროდ მათი უმეტესობა ილტვის ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებისაკენ, რომლის ფინანსიურ - ეკონომიური გავლენა დომინიონებში სულ უფრო მტკიცდება და ფართოვდება.

ლონდონის მთავრობა ცდილობს კოლონიების და მათ შორის დომინიონების ჩამოშორების აუცილებელ პროცესის შეჩერებას და სამეურნეო ურთიერთობის და საგარეო პოლიტიკის სფეროში მათ თავის მიზნებისათვის დაქვემდებარებას. მაგრამ ეს რაც დრო გადის, მით უფრო შეუძლებელი ხდება. ეხლა დასრულებულმა საიმპერიო კონფერენციამ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება მეტროპოლიისა და დომინიონების ურთიერთობის შესახებ, რომელიც, გაზ. „დეილი მეილი“-ს თქმით, ნიშნავს იმას, რომ „ბოლო ეღება ინგლისის ყოველგვარ ფორმალურ კონტროლს დომინიონებზე“.

დომინიონების უფლებები ფართოვდება. ისინი დამოუკიდებელ დიპლომატიურ ურთიერთობას აჩაღებენ სხვა სახელმწიფოებთან. მაგ., ირლანდიას კარგი ხანია ვაშინგტონში ყავს საკუთარი ელჩი, ამასწინად კანადამაც განახორციელა თავისი მისწრაფება ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის დიპლომ. წარმომადგენლობის დაარსების შესახებ. დომინიონები, თითქმის ყველა, ერთა ლიგის წევრებია, აგრეთვე ინდოეთი; ზოგიერთი მათგანი მოითხოვს ადგილის მიღებას ლიგის საბჭოში. დომინიონები მხარს არ უჭერენ ლონდონის მთავრობას ისეთ ნაბიჯების გადადგმაში, რომლებიც მათთან არ არის წინასწარ შეთანხმებული. (მაგ., ევროპის საგარანტიო ხელშეკრულების საკითხი და სხ.). ისინი აგრეთვე უკმაყოფილონი არიან ინგლისის მთავრობის პოლიტიკით ჩინეთში, ეგვიპტეში და სხვაგან. დომინიონები რაიმე აქტიურ ვალდებულების მიღებას გაურბიან ინგლისის მიმართ; მაგ., სინგაპურის სამხედრო ბაზის საკითხში მათ ლონდონის მთავრობას უარი უთხრეს საშუალებათა გაღებაზე.

ლონდონის მთავრობა დომინიონების უფლებების გაფართოებით ცდილობს მათ ასე თუ ისე შენარჩუნებას. ეს აშკარად მოწმობს ინგლისის იმპერიალიზმის უძლურებას. ეჭვი არ არის, რომ მოვლენათა მსვლელობა თავის ლოღიკურ დასასრულამდე მივა და დომინიონები ბოლოს და ბოლოს სრულიად, ფორმალურადაც ჩამოსცილდებიან მეტროპოლიას. ისიც ცხადია, რომ მათ გზას ადგავენ ინგლისის დანარჩენი კოლონიალური სამფლობელოები, რომელნიც სულ უფრო იმაღლებენ ხმას ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ბრიტანეთის იმპერიის დაშლა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ამას მოწმობს ეხლა დასრულებული საიმპერიო კონფერენციაც.

საჭიროა მეტი თვითმოქმედება

(ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის საკითხები)

უკვე ერთ წელიწადზე მეტია, რაც ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა პარტიის მიერ აღიარებულია დიდი ყურადღების ამოცანათ. ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს უთუოდ საკმაო მასალები დაუგროვდათ ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის გამოცდილებიდან. ექცევა თუ არა ყურადღება ამ მასალების დამუშავებას, მათგან შესაფერის დასკვნების გამოყვანას და მუშაობის ამგვარად მიღებულ გამოცდილებათა გზით წარმართვას? საჩივარი ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის ზოგიერთ მტკივნეულ მხარეებზე არც ისე იშვიათია, მიღწევებიც არის აქა-იქ ამ დარგში, მაგრამ სამწუხაროთ არც ერთს და არც მეორეს არ ექცევა შესაფერი ყურადღება. თვითეული პარტიული ორგანიზაცია უმეტეს შემთხვევაში საკუთარი საშუალებით ეძებს სოფლის ღარიბ მოსახლეობის შორის სამუშაო გზებს და საკუთარი მეთოდებით უდგება საქმეს.

პირველ ხანებში, როცა ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა ახალი ამოცანა იყო, ასეთ მდგომარეობას კიდევ შეურიგდებოდა კაცი. მაგრამ ცდების პერიოდმა ამ დარგში კარგა ხანი განვლო. საჭიროა გადავიდეთ გეგმიან მუშაობაზე და ღარიბ გლეხთა ორგანიზაციის საქმე მტკიცე ნიადაგზე დავაყენოთ.

რაში მდგომარეობს ამ მუშაობის მტკივნეული მხარე, რომელიც თითქმის საზოგადო მოვლენას წარმოადგენს ყველა ორგანიზაციებში? ესაა ეგრედწოდებულ „მოწყალების“ მომენტი ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში. ბევრ შემთხვევაში ამ მუშაობის ძირითად პირობათ დასახულია ღარიბ გლეხთა ნივთიერი დახმარება. რა თქმა უნდა, ამ ნიადაგზე გლეხების გაერთიანება ყველაზე ადვილი საქმეა. ნივთიერი დახმარება ღარიბ გლეხთა გაერთიანების მეტად დიდი სტიმულია. მაგრამ საკითხავია, რამდენად სწორი და სასარგებლოა ეს პოლიტიკურად.

ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა მიზნად ისახავს სოფლის ბოგანოთა ორგანიზაციულად დარაზმვას, მათ კულტურულ - პოლიტიკურად აღზრდას და საერთოდ სოფლის მშრომელი მოსახლეობის საზოგადოებრივ აქტივობის გამოწვევას და განვითარებას. „მოწყალების“ პრინციპზე აგებული ორგანიზაცია ამ მიზნებისათვის, რასაკვირველია, არ გამოდგება.

მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ ღარიბ გლეხთა ნივთიერ დახმარებაზე. პირიქით, მატერიალური დახმარება უნდა შეადგენდეს ამ მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მომენტს. ხოლო მთავარი ისაა, რომ ეს დახმარება უნდა იქნას აშენებული ღარიბ გლეხთა თვითმოქმედებაზე და ინიციატივაზე.

ჩვენ მიზნათ ვისახავთ ღარიბ გლეხკაცობის მეურნეობის გაძლიერებას, მათ კოოპერატიულად გაერთიანებას, კოლექტიურ მეურნეობათ დარაზმვას და სხვა. ყველაფერი ეს დახმარებას მოითხოვს და პირველ ყოვლის, ნივთიერ დახმარებას. ცხადია, უამისოთ ლაპარაკიც ზედმეტია რაიმე ორგანიზაციულ მუშაობაზე. მაგრამ, ვიმეორებთ, ამ დახმარებას უნდა ექნეს ორგანიზაციული ხასიათი და მასში უთუოდ უნდა იყვეს თვითმოქმედების მომენტი.

ამას გარდა ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში არის სხვა ნაკლულევანებანიც. ასეთია მაგალითად საქმის ტეხნიკურ მხარეების უცოდინარობა. აქ მრავალ გაუგებრობას აქვს ადგილი. ბევრგან ჯერაც არ იციან ვინ და როგორ უნდა იწვევდეს ღარიბ გლეხთა ჯგუფების კრებებს. ღარიბ გლეხთა ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ აღმასკომებთან, კოოპერატივის გამგეობებთან და სხვ.,—ზოგჯერ ვერ ერკვევიან თავიანთ მოვალეობა - დანიშნულებაში. არის აგრეთვე შემთხვევები, როცა ღარიბ გლეხთა კრება თავის დადგენილებას სავალდებულო ხასიათს აძლევს და თემაღმასკომში გაუტარებლად იწყებს მის განხორციელებას.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა სრულიად მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. ფუნქციათა აღრევა ყველგან და ყოველთვის მუშაობის შემაფერხებელია. ასევე საშიშარია ის სოფლად მუშაობაშიც. რომ ეს არ მოხდეს, ამისათვის საჭიროა პარტიულ ორგანიზაციებმა მჭიდრო კავშირი იქონიონ ურთიერთთან და ხშირად გაუზიარონ ერთმანეთს ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში მიღებული გამოცდილებანი.

ამას გარდა სოფლის ღარიბ მოსახლეობის დარაზმვა - გაერთიანების საქმეში პირველ შეხედვისთანავე თვალში გვეცემათ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი. ესაა ღარიბი გლეხი ქალების არასაკმაო მონაწილეობა ღატაკ გლეხების ორგანიზაციულ მუშაობაში.

ქალი საზოგადოთ დაბეჩავებულია მამაკაცთან შედარებით. ღარიბი გლეხი ქალები კი ამ მხრივ უფრო უმწეო მდგომარეობაში არიან. ამიტომ მათი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანა, ღარიბ გლეხთა ჯგუფებში მიზიდვა და ამ ჯგუფების საშუალებით სოფლის ორგანიზაციათა აქტიურ მუშაკებათ წამოყენება უდიდესი საქმეა სოფლად საბჭოთა საზოგადოებრივობის განვითარების მხრივ.

სამწუხაროთ ეს ასე არ ხდება. ღარიბი გლეხი ქალები ბევრ შემთხვევაში ღატაკ გლეხთა ჯგუფების გარეთ რჩებიან და ამნაირათ მოკლებულნი არიან პარტიულ ან საბჭოთა რომელიმე ორგანოს ზეგავლენა — ხელმძღვანელობას. ეს მიუტოვებელი ნაკლია ღარიბ გლეხთა შორის მუშაობაში, რომელიც, რაც შეიძლება დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრას.

სოფლის ღატაკ მოსახლეობის შორის მუშაობა დროებითი და არც მით უფრო დაკვრითი ამოცანა არაა. ის აღიარებულია ხანგრძლივ და სერიოზულ მნიშვნელობის საქმეთ, რომლის ცხოვრებაში გატარებაზედაც უნდა იზრუნოს პარტიის თითეულმა ორგანიზაციამ. ამისათვის საჭიროა, რომ გლეხთა შორის მომუშავე ორგანიზაციები განსაკუთრებული გულდასმით უდგებოდენ ყორს ამ დიდი მნიშვნელობის ამოცანის გატარებას სოფლად. ყოველი ნაკლი თუ მიღწევა აღრიცხული და შესწავლილი უნდა იქნას. ცდების ხანამ უკვე განვლო. დროა ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა დავაყენოთ გეგმაშეზომილ და მტკიცე ნიადაგზე.

მ. ბა—ლი.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

საერთაშორისო მდგომარეობა და კომინტერნის ამოცანები

ამხ. კუუსინენის მოხსენება 24 ნოემბრის სხდომაზე

სოციალ - დემოკრატია ბურჟუაზიის მთავარი მოკავშირეა

მოსკოვი, 25 ნოემბერი. ამხ. ბუხარინმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ყველა ქვეყნებში ხდება რევოლიუციონურ და კონტრ-რევოლიუციონურ ძალთა დიფერენციაცია. ეს დიფერენციაცია არა თანაზომიერათ მიმდინარეობს. საბჭოთა კავშირის დასავლეთით არის მთელი რიგი ქვეყნებისა, რომელთაც შეგვიძლია უწოდოთ თეთრი ტერორის ქვეყნები. ტერორის არსებობა ყველაფერზე უკეთ ამტკიცებს კაპიტალისტურ სტაბილიზაციის მერყეობას. ბურჟუაზიისათვის სახელმწიფო ხელისუფლება უკვე აღარ კმარა ბატონობის შესანარჩუნებლათ. ბურჟუაზია ეძებს მოკავშირეებს გლეხობაში, წვრილ ბურჟუაზიაში და თვით პროლეტარიატშიაც. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ფაშიზმი, ადვილათ გასაგებია, თუ რატომ არის ფაშიზმი ბურჟუაზიის მოკავშირე. არ არის ძნელი აგრეთვე იმის გაგება, თუ რატომ უჭერს მხარს სოციალ - დემოკრატია კონტრ-რევოლიუციას, რაც გაცილებით უფრო საშიშია, ვინემ ბურჟუაზიის აშკარა ძალადობა. სოციალ - დემოკრატია უკვე დიდი ხანია გაკოტრდა, მაგრამ როგორც საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის დამხმარე და ხელისშემწყობი, ის ჯერ კიდევ არ გაკოტრებულა; სოციალ - დემოკრატიის მიზანია—რევოლიუციონური პროცესისათვის ხელის შეშლა, ჩვენი მიზანია — მისი ყოველმხრივი დაჩქარება. ჩვენი ამოცანა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ მუშებს მივსცეთ რევოლიუციონური გამოცდილება და ავსწიოთ მათი რევოლიუციონური დონე.

საჭიროა მასების განთავისუფლება მენშევიკური გავლენიდან

მუშების წინაშე ამჟამად დიდი საკითხი სდგას: შესაძლებელია თუ არა საერთოდ სოციალისტური აღმშენებლობა. მუშათა დელეგაციები, რომელთაც ინახულეს საბჭოთა კავშირი, ამბობენ, რომ ასეთი აღმშენებლობა სავსებით შესაძლებელია. სოციალ - დემოკრატია ცდილობს დაუფაროს მუშებს ეს ფაქტი, ცდილობს არ დაუშვას პროლეტარიატის გამდიდრება რევოლიუციონურ გამოცდილებით.

მასების განთავისუფლება მეორე ინტერნაციონალის იდეოლოგიის გამხრწნელ გავლენისაგან არ შეიძლება მიღწეულ იქნეს არც მემარჯვენეთა და არც ულტრა მემარცხენეთა გზით და არც ნაწილობრივ მოთხოვნილებების მექანიკურად დაკავშირებით ჩვენ საერთო ლოზუნგებთან. საჭიროა, რათა ამ დაკავშირებას ჰქონდეს ორგანიზაციული, თვითეულ მუშისათვის გასაგები ხასიათი.

ჩვენი პარტიების მუშაობის მთავარი ნაკლი

ყველა ჩვენი პარტიების უმთავრესი სისუსტე მდგომარეობს მოწყვეტაში მუშათა კლასის ფართე მასებისაგან, ერთგვარ იზოლიაციაში. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ორგანიზაციულად განვამტკიცოთ ჩვენი პოლიტიკური გავლენა. ეს დიდი ყოველდღიური ამოცანა მასების დაპყრობის სფეროში, თავის თავად ცხადია, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს ძირითად პოლიტიკურ ამოცანებს. ჩვენი მასიური მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს ფორმას წარმოადგენს მუშაობა პროფკავშირებში. ამ მუშაობაში არასოდეს არ უნდა დავკმაყოფილდეთ საერთო ლოზუნგით. მთლიანი ფრონტის კამპანიის გატარების დროს ჩვენ ყოველთვის უნდა ვეყრდნობოდეთ კონკრეტულ პრაქტიკულ მოთხოვნილებებს. კონკრეტული ლოზუნგები უნდა შევუფარდოთ ამა თუ იმ პერიოდის თავისებურ პირობებს.

ასე, მაგალითად, ამჟამად ჩვენ ვსდგევართ რაციონალიზაციის პრობლემის წინაშე. ჩვენ, კომუნისტებმა, მუშებს უნდა განუმარტოთ საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ჩვენი ლოზუნგი უნდა იქნეს: თუ ბურჟუაზიას ესაჭიროება რაციონალიზაცია, დეე მან ის გაატაროს როგორი საშუალებითაც სურს, მაგრამ არა მუშათა კლასის ხარჯზე.

ჩვენ ჯერ ბევრი არაფერი გაგვიკეთებია მუშა-ქალთა პოლიტიკური აქტივობის გასაძლიერებლათ და მათ ჩასაბმელად ჩვენს ორგანიზაციაში. რაც შეეხება ახალგაზრდობის მოძრაობას, აქ, როგორც ნაკლი, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ორგანიზაციები აქამდის ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ მუშაობას უპარტიო ახალგაზრდობას შორის. შემდეგ, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის მუშაობა და დავაინტერესოთ ჩვენი პარტიები ამ მუშაობით. ასეთივე მასიური ხასიათი უნდა მივსცეთ ჩვენ ბრძოლას თეთრი ტერორისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

მდგომარეობა კომინტერნის სექციებში

შევჩერდეთ ზოგიერთ მომენტებზე. კამპანია მეფის გვარეულობის ქონების კონფისკაციის სასარგებლოდ, რომელიც ჩაატარა გერმანიის კომპარტიამ, ბრწყინვალეთ დამთავრდა. მიუხედავათ ამისა, თავის თავად კარგი ლოზუნგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან გამოსვლის და კომპარტიაში შესვლის შესახებ ნაადრევად იქნა გამოყენებული.

ჩეხო - სლოვაკიის კომპარტია ნამდვილი მასიური პარტია გახდა. მან მშვენივრად ჩაატარა ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, წამოაყენა კონკრეტული ლოზუნგები და ზოგიერთ ადგილებში პოლიტიკურად დაამარცხა ფაშიზმი. მისი მთავარი ნაკლია — სუსტი მუშაობა პროფკავშირებში, პარტიული მასის არა საკმაო პოლიტიკური განვითარება, აქტიურ კადრების უქონლობა, უჯრედების არა საკმაოდ ფართო გაშლა.

საფრანგეთის კომპარტიის გავლენაც გაიზარდა მასებში. საფრანგეთში საერთო პოლიტიკური მდგომარეობა ამჟამად ჩვენთვის მეტად ხელსაყრელია. კლასობრივი წინააღმდეგობანი მწვავდებიან. პარიზში ჩვენი პარტია მთელი მუშათა მოძრაობის უდავო ხელმძღვანელია. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ კმარა: საჭიროა საფრანგეთის პროლეტარიატის ფართე მასების ჩაბმა რევოლიუციონურ მოძრაობაში. პარტია მეტად დიდ ყურადღებას აქცევს საპარლამენტო მუშაობას მასიური მუშაობის ხარჯზე.

იტალიის კომპარტიამ უკანასკნელ დროს ბრძოლის დიდი სკოლა გაირა. ამჟამად ის ყველაზე უფრო ძლიერი ოპოზიციონური პარტიაა იტალიაში.

რაც შეეხება **ინგლისის კომპარტიას,** მის მუშაობაში უნდა აღინიშნოს შემდეგი სამი ძირითადი მიღწევა: პარტიული გაზეთის შექმნა და გავრცელება; მუშაობა პროფკავშირებში — რევოლიუციონური პროპაგანდა უმცირესობის მოძრაობასთან ერთად; პარტიის მუშაობა გაფიცვის დროს. ინგლისის კომპარტიის მიღწევებს მისი მტრებიც კი აღიარებენ.

შვეციის კომპარტიას ზოგიერთი მიღწევები ჰქონდა უკანასკნელ კომუნალურ არჩევნებში. მის მუშაობას პროფკავშირებში დიდი სიძნელენი ეღობება წინ და ამიტომ ის საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. ეს უმთავრესად აიხსნება სოციალ დემოკრატიის დიდი გავლენით შვეციის მუშათა მასებში.

ნორვეგიის კომპარტიის მუშაობას აფერხებს აგრეთვე ტრანმელისტების რეფორმისტული პარტია. ამიტომ ნორვეგიის კომპარტიის მიღწევები მიუხედავათ დიდი მუშაობისა, რომელიც ჰქნ შესრულა, უმნიშვნელოა.

არალეგალური კომპარტიების ამოცანები

ჩვენი არალეგალური პარტიების მუშაობა უკანასკნელ დროს, ხშირად ფართე მასებიდან მოწყვეტილი იყო. მცირე გამოცდილების მქონე ამხანაგების ეს თავისებურება კონსპირაციის შემცდარად გაგების შედეგათ უნდა ჩაითვალოს. მომავალში კონსპირაცია ჩვენ უფრო მოხერხებულად უნდა გავატაროთ. საჭიროა, რათა მომავალში უფრო ფართედ და მიზანშეწონილად გამოვიყენოთ ყველა ლეგალური შესაძლებლობანი და ყველა ხელმისაწვდომი ლეგალური საორგანიზაციო ფორმები. ყველგან გამოყენებულ უნდა იქნეს აგრეთვე გამომცემლობის ლეგალური ფორმები და ლეგალური პრესა. ჩვენ პრესას თითქმის ყველგან აკლია რევოლიუციონური პოპულიარობა გადმოცემაში. რაც შეეხება ლიტერატურის გავრცელებას, ამ სფეროში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. მე მოუწოდებ მთელს ჩვენ ახალგაზრდობას მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ამ მნიშვნელოვან და ჭეშმარიტ რევოლიუციონურ მუშაობაში. ჩვენი პარტიები პროპაგანდაში ჯერ საკმაოდ ფართედ ვერ სარგებლობენ კინოთი.

საჭიროა შევჩერდეთ ჩვენი თეორეტიული ორგანოების საკითხზედაც. ჩვენი თეორეტიული ჟურნალების დონე აწეულ უნდა იქნეს. გერმანიის კომპარტიის თეორეტიულ ორგანოს „ინტერნაციონალე“-ს გარდა, არც ერთ დანარჩენ თეორეტიულ ორგანოებს არა აქვთ მთლიანი პოლიტიკური ხაზი. ხშირად ისინი ურთულეს პრობლემებზე ლენინურ აზრების მაგიერ ლენინურ ლოზუნგებით აძლევენ პასუხს. ეს რასაკვირველია არ არის საკმარისი.

საფრანგეთის, სკანდინავიის და ამერიკის კომპარტიებში უჯრედების სისტემის შემოღებას წინ ეღობებათ დაბრკოლებები. უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტური უჯრედები იწყობოდენ გაცილებით უფრო ცუდ პირობებში, თითქმის თეთრი ტერორის ციხეებშიაც.

როგორ მოვსპოთ ფრაქციულ ბრძოლას

რაც შეეხება პარტიების ხელმძღვანელობის პრობლემას, ჩვენ ვხედავთ, რომ ოპოზიციონური ჯგუფები პარტიულ ხელმძღვანელობას აკრიტიკებენ ფორმალურ დემოკრატიის თვალსაზრისით; მეორეს მხრივ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები ხშირად ოპოზიციის აკრიტიკებენ ბიუროკრატიული თვალსაზრისით. როცა რუტ ფიშერი გერმანიის პარტიის სათავეში იყო, ის ულტრა - ბიუროკრატიულად მუშაობდა. მაგრამ როგორც კი მოხვდა ოპოზიციაში, იმ წამსვე ულტრა-დემოკრატიზმის დამცველი შეიქნა. ასეთი ნათელი მაგალითები, რასაკვირველია, არ არის ხშირი, მაგრამ მსგავს მოვლენებს ჩვენ საკმაოდ ხშირად ვხედავთ. ჩვენს პარტიებში არსებობს ერთგვარი გაორება: უმაღლეს ხელმძღვანელთა ფენა და პარტიულ მასების ფენა. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ ამ ორ ფენის გაერთიანებას. თუ ეს განვახორციელეთ, ჩვენ საბოლოოდ განვთავისუფლდებით უსარგებლო ფრაქციულ ბრძოლისაგან. ყოველთვის ხომ საჭირო არ არის, რომ პარტია განვითარდეს მხოლოდ და მხოლოდ დიალექტიურად, წინააღმდეგობების გზით.

ამ მხრივ ჩვენი ძირითადი ამოცანაა დავეხმაროთ ჩვენს პარტიებს და ჩვენი პარტიების ხელმძღვანელ ორგანოებს პირდაპირი ხაზით განვითარებაში. ჩვენი მტრები სარგებლობენ ჩვენი შინაპარტიული ბრძოლით: ამ შინაპარტიული ბრძოლის უარყოფითი შედეგები მეტად მნიშვნელოვანია და ჩვენ ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ, რომ მოვსპოთ, ან შევამციროთ მაინც, ეს შედეგები. საკავშირო კომპარტიამ, რომელმაც ბოლო მოუღო შინა-პარტიულ ბრძოლას, გვიჩვენა თუ რა არის კომუნისტური პარტია. ჩვენც უნდა გავყვეთ ამ მაგალითს.

კავშირი კომინტერნსა და სექციებს შორის

ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთი სუსტი მხარეა არა საკმაოდ მჭიდრო კავშირი ცალკე პარტიებსა და კომინტერნის აპარატს შორის. ეს კავშირი ორგანიული და ცოცხალი უნდა იქნეს. კიდევ ერთი ნაკლი: ჩვენი კონგრესების და პლენუმების ინტერნაციონალური გადაწყვეტილებანი საკმაოდ ენერგიულად ვერ ტარდება ცხოვრებაში. ამ მხრივ ჩატარებულ უნდა იქნეს ენერგიული და სისტემატიური მუშაობა. საჭიროა მოვაწყოთ ჩვენ საერთო გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი. მუშაობაში ჩვენ გვქონდა მნიშვნელოვანი მიღწევები. იყო დამარცხებებიც. ლენინი რომ ცოცხალი იყოს, ის, ეჭვს გარეშე, სასტიკათ გვაკრიტიკებდა ჩვენ, მაგრამ, რასაკვირველია, აღიარებდა ყველა ჩვენს მიღწევებს რევოლიუციონურ მუშაობაში. ლენინის ძირითადი შეხედულება მასიურ მუშაობაში უნდა შეითვისონ არა მარტო ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, არა მარტო აქ დამსწრეებმა, არამედ ჩვენი პარტიის ყველა წევრებმაც“.

კამათი მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 25 ნოემბ. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის 25 ნოემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ბუხარინის და კუუსინენის მოხსენებების გარშემო.

მეშჩერიაკოვმა აღნიშნა კაპიტალიზმის სტაბილიზაციის შეფარდებითი ხასიათი სასოფლო მეურნეობაში და აგრარული კრიზისის აუცილებლობა ახლო მომავალში.

დუბროვსკი შეჩერდა აღმოსავლეთისა და აგრარული ქვეყნების გლეხობის რევოლიუციონური მოძრაობის ზრდის პროცესზე.

გალახერი (ინგლისი) შეეხო კომპარტიის პოლიტიკას ინგლისის მრეწველობის, კერძოდ სანახშირო მრეწველობის რაციონალიზაციის საკითხებში.

დომბალმა (პოლონეთი) აღნიშნა. რომ საჭიროა კომპარტიებმა შეითვისონ გლეხობის როლის სწორი გაგება თანამედროვე ეპოქაში და გააძლიერონ მუშაობა გლეხურ მასაში.

ბოჟკოვიჩმა (სამხრეთ - სლავია) დაასურათა კომპარტიების მუშაობა გლეხობას შორის ცალკე ქვეყნებში და აღნიშნა გლეხური მასების ფართედ დაპყრობის საჭიროება.

სმიტი (ინგლისი) შეჩერდა ინგლისის კომპარტიის გამოცდილებაზე მთლიანი ფრონტის ტაქტიკის გატარებაში და აღნიშნა, რომ ახალ მეთოდების გამოყენებამ გაზარდა კომპარტიის გავლენა.

ვარგა შეეხო მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისს და აღნიშნა, რომ მიუხედავად ეკონომისტების მრავალნაირი ცდისა — გამონახონ კრიზისის გადასაწყვეტი გზები, კაპიტალისტური მეურნეობა სულ უფრო ემწყვდევა ჩიხში.

კურიილა (კომინტერნის აღმასკომი) ეკამათება ტრენს და აღნიშნავს, რომ ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობა, არა თუ არ მცირდება, პირიქით, იზრდება კიდეც.

კამათის გაგრძელება გადატანილ იქნა საღამოს სხდომაზე. (ადს).

ამხ. ლ. ბ. კრასინის გარდაცვალების გამო

საკავშირო კომპარტიის ცეკასაგან

პარტიის ყველა წევრებს

მოსკოვი, 25 ნოემბერი. გუშინ მივიღეთ ცნობა ახალი მძიმე დანაკლისის შესახებ, რომელიც ჩვენს პარტიას ხვდა წილად. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გულის სიდამბლისაგან გარდაიცვალა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წევრი ლეონიდ ბორისისძე კრასინი — ამხანაგი ნიკიტიჩი, ჩვენი პარტიის ერთი უძველესი და უნიჭიერესი წევრთაგანი.

ამხ. კრასინში გაერთიანებული იყო გამოჩენილ რევოლიუციონერის და დინჯი მეცნიერულად მოაზროვნე ადამიანის იშვიათი თვისებები; ის იყო ადამიანი, რომლისთვისაც რევოლიუციისა და სოციალიზმის საქმე თავისი ცხოვრების მთავარ საგანს წარმოადგენდა. მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის დაწყების და ჩვენი პარტიის ორგანიზაციის პირველ დღეებში, მუშათა კლასის გამარჯვების შემდეგაც პარტია ამხ. კრასინს ნიშნავდა რევოლიუციონური ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე. ამხ. კრასინი—რევოლიუციონერი ამავე დროს კარგი სპეციალისტი — ინჟინერი იყო, როგორც გამოჩენილი ორგანიზატორი და სახელმწიფო მოღვაწე, ის მუშაობდა საბჭოთა კავშირის მთავრობის უაღრესად საპასუხისმგებლო პოსტებზე. ის იყო ნიჭიერი კომუნისტი - დიპლომატი, სიკვდილმა მოუსწრო მძიმე მთვალეობით დატვირთულს, ბურჟუაზიულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ წარმომადგენლის თანამდებობაზე.

ჩვენმა პარტიამ დაჰკარგა კიდევ ერთი უძველესი მებრძოლი, მაგრამ მუშათა კლასის დაუშრეტელი ძლიერება ახალ ძალებს წარმოშობს რევოლიუციონური ბრძოლის საქმისათვის და ჩვენი პარტია, მიუხედავათ ყველა იმ დანაკლისისა, რომელსაც ის ამ უკანასკნელ წლებში განიცდის, შეუსუსტებლად კიდევ მეტი წარმატებით წინ წაიყვანს სოციალიზმის მშენებლობის შემოქმედებით მუშაობას. (ადს)

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას და ბაქოს კომიტეტის მოწოდება

ბაქო, 25 ნოემბერი. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკამ და ბაქოს კომიტეტმა ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო გამოუშვა შემდეგი მოწოდება:

„აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ბაქოს კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძველი ბოლშევიკის, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წევრის, ბაქოს ორგანიზაციის ძველი მუშაკის ამხ. კრასინის უეცარ გარდაცვალებას.

კრასინი — პარტიის უძველესი წევრია, მონაწილე მრავალი არალეგალური ბოლშევიკური ყრილობებისა, თავდადებული მებრძოლი ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, საბჭოთა სახელმწიფოს ნიჭიერი აღმშენებელი და მუშურ - გლეხური რესპუბლიკის პირველხარისხოვანი დიპლომატი.

ლეონიდ ბორისისძე კრასინის სახით ჩვენმა პარტიამ დაჰკარგა ჩვენი ქვეყნის ერთი საუკეთესო, უნარიანი და გამოცდილი ხელმძღვანელთაგანი.

ციხემ, გადასახლებამ, მძიმე მუშაობამ, რევოლიუციის წლებმა შეარყიეს ამხ. კრასინის ჯანმრთელობა. ავადმყოფობამ, რომელიც ორი წელი გაგრძელდა, სამარემდე მიიყვანა იგი. ძველი ბოლშევიკური გვარდიის რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ძველი მებრძოლი.

ჩვენგან მოშორებულ ძველ მებრძოლს შესცვლიან ასი ათასობით ახალი პროლეტარები. პარტია განაგრძობს დიად საქმეს, რომელსაც ემსახურებოდა და რომლისთვისაც მოკვდა ამხ. კრასინი.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ბაქოს კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს და ყველა პროლეტარებს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ, კიდევ უფრო მტკიცედ შემოკრბენ ბოლშევიზმის ძველი კოჰორტის ირგვლივ სოციალიზმის გამარჯვებისათვის. (ადს).

გამოძახილი უცხოეთში

ჩემბერლენის სამძიმარი

ლონდონი, 24 ნოემბ. ჩემბერლენმა დღეს თემთა პალატაში თავისი მწუხარება გამოსთქვა ლ. მ. კრასინის გარდაცვალების გამო. (ადს).

გერმანიაში

ბერლინი, 24 ნოემბერი. ყველა გაზეთები გამოეხმაურენ კრასინის სიკვდილს. ვრცელ წერილებში გაზეთები ღირსეულად აფასებენ განსვენებულის პიროვნებას და აღნიშნავენ მის დიდ დამსახურებას და ღვაწლს დასავლეთის სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის მიერ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენის და განმტკიცების საქმეში. (ადს)

ბერლინი, 24 ნოემბერი. კრასინის გარდაცვალების გამო ბერლინში გაიმართა ბერლინის ყველა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელთა სამგლოვიარო კრება. (ადს).

ინგლისში

ლონდონი, 25 ნოემბ. ინგლისის მუშათა პარტიის აღმასკომმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც გამოთქმულია სამძიმარი კრასინის ოჯახის მიმართ.

ასეთივე რეზოლიუცია მიიღო პროფკავშირთა მთავარმა საბჭომ.

მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სახელით **კლაინსმა** განაცხადა: „კრასინის სიკვდილი უდროო დაბოლოებაა იმ ადამიანის სიცოცხლის, რომელიც ემსახურებოდა დიდ საზოგადოებრივ საქმეს. კრასინის სიკვდილი დანაკლისია არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ ინგლისისათვისაც. მე მწამს, კრასინი რომ სიკვდილს დაენდო, მისი დიპლომატიური ნიჭი და საქმის უნარი საშუალებას მოგვცემდა მოგვეწესრიგებია ის ზოგიერთი უთანხმოებანი, რომელიც ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებობს“. (ადს).

ავსტრიაში

ვენა, 25 ნოემბ. ავსტრიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ სწერს: „კრასინი ეკუთვნოდა სრ. საკ. კომ. პარტიის (ბ) იმ ძველ გვარდიას, რომელიც მოწინავე პოზიციაზე იდგა არალეგალური ბრძოლის და საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობის აღდგენის უმძიმესს მომენტებში. (ადს).

ვენა, 25 ნოემბ. სოციალისტური „არბაიტერ ცეიტუნგ“-ი სწერს: „კრასინის სიკვდილით საბჭოთა კავშირი ჰკარგავს ერთს გამოჩენილ, სპეციალისტს ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის დარგში. (ადს).

ვენა, 25 ნოემბ. ქრისტიან - სოციალისტების ორგანო „რეხპოსტი“ სწერს: „კრასინი იყო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უაღრესად ნიჭიერი ხელმძღვანელი და ამავე დროს თავისით წარმოადგენდა მეტად საინტერესო პიროვნებას ახალ რუსულ დიპლომატიაში“.

მსხვილი კაპიტალისტების ხელმძღვანელი ორგანო „ნეიე ფრეიე პრესს“ სწერს: „ბოლშევიკურმა რუსეთმა კრასინის სახით დაჰკარგა ერთი უნიჭიერესი მოღვაწეთაგანი“.

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

მატყუარა სოციალ-დემოკრატები და საერთაშორისო სინამდვილე

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

კაპიტალისტური სინამდვილის შელამაზება, მის წიაღში წამოჭრილ და გაძლიერებულ წინააღმდეგობათა მიჩქმალვა, იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყოველგვარ მუხანათობის და სისაძაგლის გამართლება, საერთაშორისო პროლეტარიატის მებრძოლი სულის დაძაბუნება და მისგან რევოლიუციონური ბრძოლის პერსპექტივების შორს გადატყორცნა, ბურჟუაზიის კლასიურ დაწესებულებების გასაღება „დემოკრატიის“ სამღვთო პრინციპების განსახორციელებლად, ყველა ქვეყნის ექსპლოატატორთა მშვიდობიანობის დაცვა არა შიშისა, არამედ სინიდისის ქვეშ, — ასეთია საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიის მისია.

დებულება რომ „სიცრუე საზიზღარი და საზიანო საქმეა“ უცხოა იმათთვის, ვინც მშრომელთა მასების იდეური გახრწნის ფუნქცია იკისრა. სოციალ-დემოკრატები სტყუოდენ და მომავალშიც განაგრძობენ ტყუილს, რა კი ეს საჭიროა ბურჟუაზიისათვის, რომელსაც „სულით და ხორცით“ მიენდო სოციალ-დემოკრატია. საკმარისია თანამედროვე სოციალ - დემოკრატიის თუნდაც ყველაზე მთავარ და ძირითად ლოზუნგების ჩამოთვლა, რომ კვლავ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად დაეცა იდეოლოგიურად თანამედროვე სოციალ - დემოკრატია.

„სტაბილიზაცია დიდი ხნით დარჩება, ის დაუბრკოლებლად და სისტემატიურად ვრცელდება ყოველგან, კაპიტალიზმი ასეული წელიწადი კიდევ იარსებებს“, —ჰქადაგობენ სოციალ-დემოკრატიის ბელადები. ისინი უარყოფენ კაპიტალისტური სტაბილიზაციის მერყეობას და დროებით ხასიათს, რაც ყველასათვის თვალდასანახია. ისინი ვერ ხედავენ და არც უნდათ დაინახონ ის, რომ სტაბილიზაცია არის ისტორიული „შესვენება“, ისტორიული პაუზა დიდი ბრძოლების პერიოდებს შორის. ისინი არაფერს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სტაბილიზაციას, რომელსაც ხანმოკლე ისტორია აქვს, ანგრევენ მრისხანე რევოლიუციონური აჯანყებები, დიდი კლასიური შეჯახებანი და კოლონიალური მღელვარეობანი. ისინი არაფერს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ზოგიერთ ქვეყნის ნაწილობრივ აღორძინებას თან სდევს დანარჩენ ქვეყნების რღვევა. ისინი სდუმან იმაზე, რომ მსოფლიო სამეურნეო კონიუნქტურა ქრონიკულად მერყევი და ცვალებადი გახდა. ისინი სდუმან იმაზე, რომ სასტიკად მწვავდება ბრძოლა ბაზრებისათვის. ისინი გვერდს უხვევენ იმ ფაქტს, რომელიც ანგრევს სტაბილიზაციის კედლებს, გვერდს უხვევენ იმას, რომ საბჭოთა კავშირი არსებობს, იზრდება და მტკიცდება შეუჩერებლად და თავის გარშემო იკრებს კაპიტალისტური სტაბილიზაციის წინააღმდეგ მიმართულ ძალებს.

„მსოფლიო შეუჩერებლად მოჰქრის ულტრა - იმპერიალიზმისაკენ“. წინააღმდეგობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ისპობა და გაფთრებულ კონკურენციის მაგიერ მყარდება „მშვიდობიანი სამეურნეო კონტაქტი“. მსოფლიო მეურნეობის ხელმძღვანელობა სულ უფრო და უფრო ცენტრალიზაციაქმნილი ხდება—წამდაუწუმ ამტკიცებენ სოციალ - დემოკრატიული მეზღაპრენი. საქმის ვითარება სულ საწინააღმდეგოა.

„პაციფიზმი მყარდება ქვეყანასა ზედა“ — გაიძახის სოციალ - დემოკრატია ყოველ გზა-ჯვარედინზე. ბურჟუაზიული პაციფიზმის ლოზუნგი სოციალ-დემოკრატიამ ისესხა ძველ, ლონემიხდილ ლიბერალიზმისაგან. მაგრამ სოციალ-დემოკრატიის პირით ის კიდევ უფრო ყალბად, კიდევ უფრო საზიზღრად ისმის. სოციალ - დემოკრატები ზეიმობენ პაციფიზმის გამარჯვებას, ე. ი. ქვეყნებს შორის მშვიდობიან ურთიერთობის დამყარებას. ამავე დროს გიგანტიური მასშტაბით მზადდება საწამლავი, შავი ჭირისა და ხოლერის ბაცილები, ტანკები, ჯავშნოსნები, სუმბარინები. „განათებულ“ ჰანიბალების მიერ შექმნილია მთელი ტრესტები, რომელნიც სიკვდილის იარაღს ამზადებენ. შეუჩერებლად სწარმოებს საზღვაო შეიარაღება. ყველას თვალწინ სწარმოებს „საქმიანი“ მზადება ახალი, ჯერ კიდევ გაუგონარი და უნახავი ხოცვა-ჟლეტისათვის. სდებენ მილიტარისტულ ბლოკებს და საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულებებს. სამხედრო ინტერვენციის საფრთხე უკვე კარს მიადგა რევოლიუციონურ ჩინეთს. მუდამ გულში ატარებენ ოცნებას საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ გალაშქრებისა და ინტერვენციის შესახებ.

პან-ევროპა — ეს „სოციალისტური“ ლათაიების უახლესი მიღწევაა. კაპიტალისტური ევროპა არასოდეს ასე შორს არ ყოფილა გაერთიანებისაგან, როგორც ეხლა. უკანასკნელმა წლებმა ყველას დაანახვეს, თუ რამდენად მერყევი და უნიადაგოა ევროპის „გაერთიანების და მოწესრიგების“ თვით ზერელე და ნაწილობრივი ცდები, სოციალ-ვერსალელთა დახმარებით მოწყობილი ევროპის ვერსალური სისტემა (ანტანტის ქვეყნების გაერთიანება და გერმანიის ჩახშობა) გაიხზარა. ამას მოყვა ლოკარნო, ცხადია, სოციალ-ლოკარნისტების მონაწილეობით. ლოკარნოც, რომელშიაც უმთავრეს როლს ინგლისი თამაშობდა, დაიშალა. ჟენევის „განიარაღების“ ვოდევილმაც, რომლის გათამაშებაში მონაწილეობდენ სოციალისტური სკოლის აქტიორები, ცხადჰყო ინგლისის ხელმძღვანელ როლის დაკარგვა, ინგლისის რომლის ძლიერება შეასუსტა მემარჯვენეთა დიდმა გაფიცვამ. დაბოლოვს, ტუარი მოწმობს ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის უაღრეს გამწვავებას. ერთი წლის განმავლობაში ერთა ლიგის საფარველს ქვეშ ინსკვებოდენ დიპლომატიური ინტრიგები და კონტრ - ინტრიგები, სწარმოებდა ბრძოლა გავლენისათვის, ხდებოდა ძალთა გადაჯგუფება. პან-ევროპიული ლაყბობა ვერ დაფარავს იმას, რომ ერთა ლიგა არის არა ხალხთა გაერთიანება, არა მშვიდობიანობის ინსტრუმენტი, არამედ კაპიტალისტურ მახინაციების უწმინდური ბუდე. კაპიტალისტური მხეცები მხეცებათ დარჩებიან ერთ გალიაშიაც რომ მოამწყვდიოთ ისინი.

„ხდება კაცობრიობის დემოკრატიზაცია“. სოციალ - დემოკრატია „სახელმწიფოებს“ ეწიკება „დემოკრატიული გზით“, — გაიძახიან ბურჟუაზიული დემოკრატიის სოციალ - დემოკრატიული მოციქულები. უაღრესად სასაცილო პრეტენზიაა საერთაშორისო ბურჟუაზიის ყურმოჭრილ მონების მხრივ ფიქრი იმაზე, რომ ისინი „ეწიკებიან“ იმათ, ვინც მათ მოძრაობას განაგებს. რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა კარგად იცის, თუ რა ფასი აქვს ბურჟუაზიულ დემოკრატიას. სოციალ - დემოკრატია ოცნებობს დემოკრატიზაციაზე. ამ დროს პოლიციის ტერორი მთელ რიგ ქვეყნებში თავის ორგიებს იხდის. ბულგარეთის, რუმინეთის, თვით „თავისუფალ ინგლისის“ ციხეები სავსეა დაპატიმრებულებით და ფაშისტურ საღრჩობელების რეჟიმი გამეფებულია იტალიაში. ჯერ კიდევ ხელებზე სისხლი არ შეშრობიათ ბულგარეთის, მაროკოს, სირიის და ვანსიანის ჯალათებს, რომ კვლავ ვხედავთ სასტიკ შურისძიებას ჰოლანდიის კოლონიების აჯანყებულებზე. მართლაც, სისხლიან ყვავილებით არის მოფენილი ნაქები „დემოკრატიის გზა“.

„დიდება კაპიტალისტურ რაციონალიზაციას. გაუმარჯოს მომავალ ამერიკანიზმს, მონაწილეობას მოგებაში და სამრეწველო მშვიდობიანობას“, — ამას უნერგავენ სოციალ - დემოკრატიული ბელადები მასებს. მაგრამ სოციალ - დემოკრატია, რასაკვირველია, სიტყვასაც არ სძრავს იმაზე, რომ ეხლანდელ პირობებში კაპიტალისტური რაციონალიზაცია ნიშნავს უჩვეულო ძალდატანებას მუშათა კლასზე, მისი ექსპლოატაციის უაღრესად გაძლიერებას, მის უკანასკნელ ძალების ამოქაჩვას, კაპიტალის მიერ ახალ იერიშის მიტანას პროლეტარიატის წინააღმდეგ და უმუშევართა მრავალრიცხოვანი არმიის ქუჩაში გამოყრას.

ფორდების და მორგანების სოციალ-დემოკრატიული თაყვანისმცემელნი, (ეს სახელები თანამედროვე სოციალ - დემოკრატიისათვის უფრო მეტს ნიშნავს, ვინემ მარქსის სახელი) განგებ უმალავენ მასებს იმას, რომ ამერიკის ნაქები მონაწილეობა მოგებაში — ეს არის მუშათა კლასის გათიშვის მეთოდი, მუშათა კლასის მიერ კაპიტალისათვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალების შემცირება, ახალი მუშური არისტოკრატიის ზედა ფენის შექმნა. საერთოდ კი მუშათა კლასისათვის ეს არის მისი დაუძლურების საშუალება კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ეხლანდელი სოციალ - დემოკრატიის მთავარი ლოზუნგები. მათ ემყარება მთელი სოციალ - დემოკრატიული იდეოლოგია. ეს ლოზუნგები წარმოადგენენ ცრუ ლოზუნგებს მატყუარებისა და კაპიტალის დამქაშებისა, რომელთაც მისი „უდიდებულესობის ოპოზიციად“ მოაქვთ თავი. სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიას, რომელიც ხრწნის და სცემს მებრძოლ მუშების ნებისყოფას, ყველა ქვეყნის კომუნისტები ებრძოდენ და ებრძვიან შეუსუსტებლად კომინტერნის დროშის ქვეშ. ეს ბრძოლა მათ კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ. ვერაფერი—ვერც სტაბილიზაცია, ვერც დამუყაყებულ კაპიტალიზმის ძალები, ვერც მის სოციალისტურ ხროვის ოპორტიუნისტული ნაცოდვილევი ვერ შეაჩერებს მსოფლიო პროლეტარიატის გამარჯვების მოახლოვებას.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 25 ნოემბერი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. ლ. ბ. კრასინის გარდაცვალების გამო

(გაგრძელება)

ინგლისი

ლონდონი, 25 ნოემბ. „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს: „კრასინის სიკვდილი ნამდვილი უბედურებაა რადგან მან მოუსწრო იმ მომენტში, როცა გადადგმული იყო სერიოზული ნაბიჯი ორ ქვეყნის შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, იმ ქვეყნებს შორის, რომელთა ინტერესებიც მოითხოვენ ურთიერთ თანამშრომლობას, რაც შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთ ნდობის ნიადაგზე. იყო იმედი, რომ აი სწორედ კრასინი შექმნიდა ასეთ ნდობას. მისი პატიოსნება უმწიკვლო იყო. ძნელი იქნება მოსკოვში მისი ტოლი მოადგილის გამონახვა“.

„დეილი ჰერალდი“ სწერს: „კრასინი მოკვდა უდროოდ, შეუჩერებელი მუშაობისა და რევოლიუციონური პერიოდის სიდუხჭირისაგან დაუძლურებული. ის მოკვდა თავის პოსტზე.

კონსერვატიული „დეილი ტელეგრაფი“ თავის ცნობაში ამხ. კრასინის სიკვდილის შესახებ აცხადებს, რომ ის იყო „საუკეთესო საქმიანი მოაზროვნე საბჭოთა კავშირში“. (ადს).

რეაქციონური „მორნინგ პოსტ“-ი სწერს: „კრასინი იყო რევოლიუციის იშვიათი ნაყოფი, რომელიც თავის თავში რევოლიუციონერის იდეალებსა და თეორიასთან ერთად საქმიანი კაცის ჭკუას აერთებდაო“.

ასეთივე წერილს უძღვნის კრასინს „ტაიმსი“.

კონსერვატიული „დეილი ექსპრესი“ კრასინს უწოდებს „საბჭოთა გენიოსს ფინანსისტს“.

ლიბერალური „ვესტმისტერ გაზეტ“ სწერს: „კრასინის სიკვდილის ამბავს მწუხარებით შეხვდენ, როგორც დიპლომატიურ წრეებში, ისე სიტიში (ლონდონის საქმიანი უბანი) რადგან კრასინი სარგებლობდა ისეთი კაცის რეპუტაციით, რომელიც საქმეს აშკარად და პატიოსნად აკეთებს“.

„დეილი ნიუსი“ სწერს: „კრასინის სახით საბჭოთა მთავრობამ დაკარგა ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი“.

უცხოელების სამძიმარი

სამძიმარის გამოცხადება

მოსკოვი, 25 ნოემბ. კრასინის გარდაცვალების გამო გარეშე საქმეთა კომისარიატს სამძიმარი განუცხადეს გერმანიის, იტალიის, ლატვიის, შვეციის, დანიის, ნორვეგიის, პოლონეთის, საბერძნეთის ელჩებმა და სპარსეთის, ესტონეთის, მონგოლიის, ავსტრიის და ფინეთის რწმუნებულებმა. (ადს).

ამხ. გამბაროვთან

მოსკოვი, 25 ნოემბერი. საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებული ლენინგრადში ამხ. გამბაროვი ინახულეს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა, გერმანიის შვეციის, ლატვიის, ესტონეთის და ფინეთის ელჩებმა და განუცხადეს სამძიმარი კრასინის სიკვდილის გამო.

თბილისში

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებულმა ამიერ - კავკასიაში — ამხ. კარკლინმა გუშინ უცხო სახელმწიფოების კონსულებისაგან მიიღო შემდეგი სამძიმრის დეპეშები:

გერმანიის კონსულისაგან

— საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის კრასინის გარდაცვალების გამო, მაქვს პატივი გამოგიცხადოთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი და უმორჩილესათ გთხოვთ გადასცეთ იგი ამიერ - კავკასიის მთავრობასაც.

გერმანიის გენერალური კონსული თბილისში **პრიფერ**

სპარსეთის კონსულისაგან

— სპარსეთის გენერალური საკონსულო თბილისში გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას და სამძიმარს საბჭოთა კავშირის ერთერთი ნიჭიერი დიპლომატიური მოღვაწის, სრულუფლებიანი წარმომადგენლის ლონდონში — კრასინის გარდაცვალების გამო.

სპარსეთის გენერალური კონსულის მოვალეობის აღმსრულებელი **მახაჯარი**.

მოგონებები ამხ. კრასინზე

მუშების მოგონებანი

ბაქო, 25 ნოემბერი. ბაქოში არის მრავალი ძველი მუშა, მოწმე კრასინის რევოლიუციონური მოღვაწეობისა ელექტრო-სადგურზე ინჟინერად მისი ყოფნის დროს. ყველა ეს მუშები ამტკიცებენ, რომ კრასინმა თვით ქალ. ბაქოში დაარსა მთელ რუსეთში საუკეთესოდ მოწყობილი არალეგალური სტამბები, რომლებშიაც იბეჭდებოდა საზღვარგარეთ რედაქცია გაკეთებული „ისკრა“.

ფუგელის მოგონებები

ბაქო, 25 ნოემბერი. **ფუგელი**, ბიბი-ეიბათის ელექტროსადგურის გამგე, კრასინის ყოფილი თანაშემწე ბაქოში, ამბობს: „კრასინი გვაკვირვებდა ყველა მის თანამშრომელთ თავის სპეციალობის ღრმა ცოდნით. ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბაქოს ტეხნიკურ საზოგადოების მუშაობაში და დიდი პატივისცემით სარგებლობდა თავის კოლეგებს შორის. მუშაობა მას უხდებოდა მეტად მძიმე პირობებში პოლიციის თვალყურის დევნების ქვეშ. მხოლოდ კრასინის მეოხებით იქნა შემოღებული ელექტრო-სადგურებზე 8 საათის სამუშაო დღე. ბევრად უწყობდა ხელს კრასინი მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

„ჩემი სიცოცხლის მიზანია,—სთქვა ერთხელ კრასინმა,—ბრძოლა მუშათა საქმისათვის“.

კამინსკის მოგონებები

ბაქო, 25 ნოემბერი. ამხ. **კამინსკი**, ელექტროდენის მუშა, პარტიული იგონებს: „მე 1910 წელში მიმიღო კრასინმა სამსახურში, როცა ის სადგურის გამგე იყო. მე ბევრჯერ შევხვედრივარ კრასინს მუშაობის დროს.

მიუხედავათ მაღალი თანამდებობისა, იგი მუშებთან ამხანაგურ განწყობილებაში იყო. იგი იყო მოვალეობის მკაცრი შემსრულებელი ამასთან ერთად სხვებისგანაც მოითხოვდა დავალებულ სამუშაოს წესიერ შესრულებას, ამავე დროს ხელს უწყობდა მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას, კრასინის ცდით და მოხერხებით 11 საათის სამუშაო დროის ნაცვლად, შემოღებულ იქნა 8 საათის სამუშაო დღე, მუშათა კრებებზე, რომელიც ამხ. კრასინის ინიციატივით ეწყობოდა, იგი ეწეოდაა რევოლიუციური იდეების პროპაგანდას.

კრასინში ჩვენ ყოველთვის ვხედავთ მუშათა საქმისათვის თავდადებულ მებრძოლს. (ადს)

გლოვის დღე

აზერბეიჯანში

ბაქო, 25 ნოემბერი. ქალაქში ყველგან გამოფენილია სამგლოვიარო დროშები. ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებში გლოვის ნიშნად დღისით მიცემულ იქნა საყვირი 5 წუთით.

შუადღისას ბიბიეიბათის ელექტრო-სადგურზე გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, მიძღვნილი კრასინის ხსოვნას. კრებამ დაადგინა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს საკავშირო კომ. პარტ. (ბ) ცეკას და გარდაცვალებულის ოჯახს.

დღეს ყველა საუჯრედო და პარტიულ კრებებზე გაკეთებულ იქნა მოკლე ინფორმაციული ცნობები კრასინის გარდაცვალების შესახებ.

27 ნოემბერს გაიმართება მოგონებების საღამო. (ადს).

სომხეთში

ერევანი, 25 ნოემბერი. კრასინის სიკვდილის ამბავი უცბად გავრცელდა ქალაქში. ქალაქმა სამგლოვიარო სახე მიიღო. ყველგან გამოკიდებულია სამგლოვიარო დროშები.

პარტ-ორგანიზაციებს, სახელმწიფო და პროფესიონალურ დაწესებულებებს დაეგზავნათ სამძიმრის დეპეშები.

უკანასკნელი ცნობები

გერმანია და საფრანგეთი

პარიზი, 25 ნოემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, რეიხსტაგმა მიიღო საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულობა ზოგიერთი პროდუქტების გაცვლა - გამოცვლის შესახებ გერმანიისა და საარის ოლქს შორის. (ადს)

გული იჯერეს

ბერლინი, 25 ნოემბერი. საბჭოთა კავშირში გერმანიის მუშათა დელეგაციის მონაწილე ავგუსტ დერკსი გამორიცხეს სოციალ - დემოკრატიულ პარტიიდან. (ადს).

მანჯურიის ბანკი

ხარბინი, 25 ნოემბერი. სავაჭრო პალატებმა დაირში მიიღეს პროექტი, მანჯურიის ცენტრალურ ბანკის დაარსების შესახებ 100 მილიონ იენის თანხით. (ადს).

პანგალოსის გაასამართლეს

ლონდონი, 25 ნოემბერი. ათინაში დაიწყო ყოფილ დიქტატორის პენგალოსის გასამართლება. (ადს)

სახლის ჩამონგრევა

ბერლინი, 25 ნოემბერი. ცნობილ მინის ქარხანაში მურანოში (ვენეცია) ჩამონგრეულმა სახლმა დაიტანა 5 მუშა. (ადს)

კრიზისი ინგლისში

ლონდონი, 25 ნოემბ. გამოცხადებულია, რომ ხვალიდან შეწყდება საულუფო ნახშირის მიცემა სამრეწველო საჭიროებისათვის, ხოლო ორშაბათიდან—საბინაო ხარჯებისათვის. (ადს).

ფრანგები სირიაში

ანგორა, 25 ნოემბერი. საფრანგეთის სამხედრო სარდლობა სირიაში ადიდებს საოკუპაციო ჯარის რაოდენობას. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში

პრაღა, 24 ნოემბერი. საბიუჯეტო კამათის დროს გამოვიდენ სახალხო სოციალისტები, რომლებიც მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის ცნობას. (ადს).

იაპონიის პოლიტიკა

ტოკიო, 24 ნოემბერი. საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიხსნა თათბირი რომელიც იხილავს იაპონიის პოლიტიკას მანჯურიასა და მონღოლეთში.

იტალია და საბერძნეთი

რომი, 25 ნოემბერი. მუსოლინიმ და საბერძნეთის ელჩმა რომში მოაწერეს ხელი იტალია საბერძნეთის კონვენციას ვაჭრობასა და ნაოსნობაზე (ადს).

ბონკურის კარიერა

პარიზი, 25 ნოემბერი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ბელადი პოლ ბონკური გამოდის პარიზის სასამართლოში, როგორც პრინც კეროლის რწმუნებული. (ადს).

ჩემბერლენის გასტროლები

ბერლინი, 25 ნოემბ. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ 2 დღეში ჩემბერლენი პარიზით მიემგზავრება ჟენევაში. პარიზში მას თათბირი ექნება ბრიანთან. (ადს).

სამხედრო კონტროლი გერმანიაზე

ბერლინი, 25 ნოემბერი. მოლაპარაკებას, გერმანიის მიმართ სამხედრო კონტროლის გაუქმების შესახებ წინ აღუდგა მთელი რიგი ახალი სიძნელეებისა. გერმანია წინააღმდეგია ერთა ლიგის მიერ მის შეიარაღებაზე კონტროლის გაწევისა, და მატერიალურ განიარაღებას ფაქტიურად დამთავრებულათ სთვლის. საფრანგეთი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გერმანია მთლიანათ არ ატარებს ყველა იმ ღონისძიებებს, რომელიც საჭიროა განიარაღების მოსახდენათ. (ადს).

ამერიკის მუქარა

ლონდონი, 25 ნოემბერი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა გამოაქვეყნა ოთხი უკანასკნელი ნოტა, რომელიც გაეგზავნა მექსიკის მთავრობას; ამ ნოტაში შეერთებული შტატები ემუქრება მექსიკას დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით თუ მთლიანად იქნება მიღებული ის მუხლები კონფერენციის შესახებ, რომლებსაც შეიცავს მექსიკის კანონ-პროექტი ნავთის ადგილ-მდებარეობის შესახებ. (ადს)

ფინეთის მთავრობის გადადგომა

ჰელსინგფორსი, 24 ნოემბ. ფინეთის მთავრობა გადადგა. კრიზისი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ შვედურმა პარტიამ გაილაშქრა ფინეთის ხელისუფლების უკანასკნელ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელთა მიზანი იყო სამშობლო ენით თავისუფლად სარგებლობის შეზღუდვა ფინეთის შვედურ მოსახლეობისათვის. სეიმში გამართულ კამათის შედეგათ, შვედების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია საკითხის სეიმის საკონსტიტუციო კომისიაში გადაცემის შესახებ მიღებულ იქნა 108 ხმით 84 ხმის წინააღმდეგ, მიუხედავათ მთავრობის განცხადებისა, რომ ის ამას უნდობლობის გამოცხადებათ სთვლის.

პრეზიდენტმა დაავალა მთავრობას დროებით დარჩეს თავის ადგილზე. (ადს)

კომუნისტების დევნა

ლონდონი, 24 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მანჩესტერში ყოველკვირეულ კომუნისტურ გაზეთს „უორკერს უიქლის“ მიუსაჯა ჯარიმის გადახდა პენდელტონის საქვანახშირო ადმინისტრაციის სასარგებლოდ, რომელიც ბრალს სდებდა გაზეთს ცილისწამებაში. გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა, რომელშიც აღნიშნული იყო მაღაროების ადმინისტრაციის მიერ მემაღაროეთა უშიშროების უზრუნველმყოფი ღონისძიებების უხეში დარღვევა“. (ადს)

ერთა ლიგის სესიის წინ

მოელიან შტრეზემან-ბრიან-ჩემბერლენ-მუსოლინის შეხვედრას

მექსიკის გლეხები ესალმებიან საბჭოთა მუშათა კლასს

პოლონეთის ფაშისტებმა სცემეს დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის წევრებს

ჟენევის სალაყბო

ჩემბერლენის გასტროლები

ლონდონი, 25 ნოემბერი. ჩემბერლენი, რომელიც მიემგზავრება ჟენევაში ერთა ლიგის საბჭოს კრებაზე დასასწრებლად, (კრება გაიხსნება 6 დეკემბერს) **შეჩერდება პარიზში**, სადაც იგი გაატარებს ორ დღეს და საშუალება ექნება ბრიანთან ერთად განიხილოს ევროპის მიმდინარე საკითხები.

მოსალოდნელია, რომ შტრეზემანის ყოფნა ჟენევაში შესაძლებელს გახდის, რომ პირადი კონტაქტი განახლდეს გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრთან და მეგობრულად იქნეს განხილული მიმდინარე საკითხები. (ადს)

მე-16 მუხლი

ლონდონი, 25 ნოემბერი. ერთა ლიგის საბჭოს კომისია, რომელიც დეკემბერში შეიკრიბება, განიხილავს ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლთან დაკავშირებულ საკითხებს. ინგლისის წარმომადგენლად კომისიაში იქნება ლორდ **სესილი**. (ადს)

მექსიკის მუშები ესალმებიან ს. ს. რ. კ.

მექსიკა, 24 ნოემბ. მექსიკის გლეხთა კავშირის ნაციონალურმა ყრილობამ საბჭოთა კავშირს გაუგზავნა მისალმება, რომელშიაც ნათქვამია:

„მექსიკის გლეხობა, რომელიც პირველად შედის საერთაშორისო პროლეტარიატის კავშირში, ძმურ სალამს უგზავნის საბჭოთა კავშირის ხალხებს იმ ახალი გზების აღმოჩენისათვის, რომლებსაც მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში ჯერ კიდევ გასაქანს არ აძლევს კაპიტალიზმი“. (ადს).

მარშალის რესპუბლიკაში

თათბირის მოწვევა

ვარშავა, 25 ნოემბერი. 28 ნოემბრისათვის მოწვეულია მთავრობის თათბირი მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებთან.

პროფკავშირთა ცენტრალური კომისიის სხდომაზე პეპეესოველთა და ბუნდის ხმების უმრავლესობით კომუნისტების წინააღმდეგ არჩეულ იქნა მთავრობასთან თათბირზე გასაგზავნი დელეგაცია 15 კაცის შემადგენლობით. (ადს).

ფაშისტების თარეში

ვარშავა, 25 ნოემბერი. კრასნოსტანის მაზრის ერთ-ერთ სოფელში გამართულ მიტინგზე **ფაშისტებმა სცემეს დამოუკიდებელი გლეხური პარტიის დეპუტატს ბალინს**. (ადს).

ლოძის ციხეში

ვარშავა, 25 ნოემბერი. „ექსპრეს პორანნი“-ს ცნობით, **ლოძის ციხეში დაიწყო პოლიტიკურ პატიმართა ამბოხება.**

ციხეში გაგზავნილი ცხენოსანი მილიციის ძლიერი რაზმების დახმარებით ამბოხება ჩაქრობილ იქნა. (ადს).

„სოციალისტები“

ვარშავა, 24 ნოემბერი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის გადასვლა მთავრობის ოპოზიციაში არ არის უმტკივნელო პარტიისათვის ერთი მხრივ, ე. წ. მემარცხენეები ბრალს სდებენ პარტიის ხელმძღვანელ ჯგუფს იმაში, თითქოს ისინი ეხმარებიან პილსუდსკის. მეორე მხრივ, თვით **ხელმძღვანელ ჯგუფში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერნი არიან პილსუდსკის მომხრეები**, რომლებსაც მისდევს ვარშავის ორგანიზაციის უმრავლესობა.

არის ცნობები, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიის საოლქო კომიტეტს მიუღია საპროტესტო რეზოლიუცია პოლ. სოც. პარტ. ცეკას გადაწყვეტილების წინააღმდეგ მთავრობის ოპოზიციაში პარტიის გადასვლის გამო (ადს).

საბჭოთა კავშირი და შვეცია

კმაყოფილი არიან ეკონომიური ურთიერთობით

სტოკჰოლმი 24 ნოემბერი. შვეციის მთელი პრესა, კონსერვატიულიც კი, **უკანასკნელი დღეების განმავლობაში აღნიშნავს საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის ხელსაყრელ შედეგებს.**

გაზეთმა „დაგბლად“ ამ დღეებში მოათავსა საუბარი ბანკირ ოლაფ აშბერგერთან. ო. აშბერგერი არის სკანდინავიის იმ საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენელი, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში პრაქტიკულად მიუდგენ საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების საკითხს.

ო. აშბერგერმა საუბარის დროს აღნიშნა, რომ შვეციის ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან ფართოვდება. **შვეცია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური დაახლოებისათვის ხელის შესაწყობათ და მის გასაფართოებლად, აშბერგერი საჭიროდ თვლის შეღავათიანი ტარიფის დაწესებას საბჭოთა კავშირიდან შემოტანილ პურზე**, რომელიც არ ჩამოუვარდება ამერიკულს და **გრძელვადიანი კრედიტის მიცემას საბჭოთა მთავრობისათვის.**

ზოგიერთი ნაბიჯები უკვე გადადგმულია ამ მხრივ შვედ ექსპორტიორების მიერ, რომლებიც გრძნობენ, რომ საჭიროა შეღავათიანი პირობების მიცემა საბჭოთა კლიენტებისათვის. **ზოგიერთმა ფირმებმა საბჭოთა კავშირს მისცეს 1½ წლის კრედიტი. სტოკჰოლმის საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაში დადებული ხელშეკრულებები თავის დროზე და სისწორით სრულდება. რაც შეეხება ანგარიშების გასწორებას, შვეციის არც ერთს ფირმას არა აქვს საბაბი საყვედური სთქვას ამ მხრივ საბჭოთა დაწესებულებებზე.**

ო. აშბერგერის აზრით, საბჭოთა კავშირის ბაზარი ფართე პერსპექტივებს უშლის შვედ ექსპორტიორებს, ვინაიდან მას შეუძლია მეტი საქონელი გაასაღოს, ვიდრე რევოლიუციამდე. აშბერგერი ამას ხსნის იმით, რომ **საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობა გაიზარდა.**

ოდესაში შეხვედრის შემდეგ

ანგორა, 24 ნოემბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ისმეტ - ფაშამ ჩიჩერინისაგან** მიიღო დეპეშა, რომელშიც გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი გამოსთქვამს ულრმეს კმაყოფილებას ტევფიკ - რუშდი - ბეისთან შეხვედრის შედეგებით და უსურვებს ამერიკის გამარჯვებას მის მიერ გატარებულ პოლიტიკაში.

თავის პასუხში **ისმეტ-ფაშა** მადლობას უხდის ჩიჩერინს და აცხადებს, რომ ის მთლიანად იზიარებს ჩიჩერინის კმაყოფილებას ოდესის შეხვედრის გამო და თავის მხრივ უსურვებს გამარჯვებას ჩიჩერინს“. (ადს).

კაპიტალის მოსყიდული აგენტები

ლონდონი, 24 ნოემბ. ნოტინგამშირის მემაღაროების ფედერაციას სპენსერის მეთაურობით გამოეყო ჯგუფი, რომელმაც დაარსა ახალი კავშირი. კავშირის წესდებაში ნათქვამია, რომ მისი ფონდები „არავითარ პოლიტიკურ მიზნებისათვის“ არ იქნება გამოყენებული.

„მანჩესტერ გარდიენ“ აღნიშნავს, რომ **„ახალი კავშირის დამაარსებელნი, როგორც სჩანს მოქმედებენ მაღაროს მეპატრონეებთან შეთანხმებით და ფინანსიურ დახმარებას მოელიან მათგან“.**

შეეხო რა ახალ კავშირს, ნოტინგამშირის მემაღაროების ფედერაციის აღმასკომის წევრმა ვარლიმ განაცხადა:

„ახალი კავშირი—ეს სპენსერის მიერ გაკეთებული საქმეა და მეტად არა ლამაზი საქმე, ვინაიდან ის 8 წლის განმავლობაში იყო ნოტინგამშირის მემაღაროეების წარმომადგენლად თემთა პალატაში და **4-ჯერ სარგებლობდა მათი ფინანსიური დახმარებით არჩევნების დროს“.** (ადს).

მუშათა ბრძოლა

პარიზი, 24 ნოემბ. პარიზის მუნიციპალურ წარმოებათა **მუშების მიტინგმა**, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 5.000 კაცმა, **დაადგინა განაგრძოს ბრძოლა სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის**, თუგინდ ამისთვის საჭირო შეიქნეს თვით გაფიცვაც კი. მიტინგის შემდეგ მუშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელთაც „ინტერნაციონალის“ სიმღერით გაიარა მუნიციპალიტეტის შენობასთან. (ადს).

მუშების პროტესტი

პრაღა, 24 ნოემბ. **შესდგა ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და პროფკავშირთა რევოლიუციონურ გაერთიანებათა მიერ მოწყობილი მასიური საპროტესტო კრებები** რეაქციის შეტევის წინააღმდეგ სოციალური დაზღვევის კანონმდებლობაში. ამავე დროს მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია საკოსა და ვანცეტის გასამართლების წინააღმდეგ. (ადს).

ოკუპანტები

პარიზი, 23 ნოემბ. დეპუტატთა პალატის გარეშე საქმეთა კომისიაში **ბრიანმა** წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან განაცხადა, რომ საფრანგეთი და გერმანია სცდილობენ ეკონომიური და ფინანსიური შეთანხმებებით შექმნან მშვიდობიანობის ატმოსფერა. საფრანგეთ - გერმანიის მოლაპარაკებანი, განაცხადა ბრიანმა, **აუცილებლად არ უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ რეინის ოლქის ევაკუაცია მოხდეს ვადის გასვლამდე.** რაც შეეხება საარის ოლქს, უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთი იქ მოსახლეობის სიმპატიით სარგებლობს“, (ადს).

ჩინეთის რეაქცია

პეკინი, 24 ნოემბერი. ჩინეთის პრესა იუწყება, რომ ჩჟან-ცზუნ-ჩანმა გასცა ბრძანება, რომ მე-4 და მე-7 არმიამ შეუტიოს პროვინცია ცზიან-სუს სამხრეთ-დასავლეთის საზღვარის მიმართულებით.

გაზეთების გამოანგარიშებით, **ჯარების რიცხვი ამ ფრონტზე 150.000-მდე აღწევს.** დაწყებულია აგრეთვე ექსპედიციის მზადება პროვინცია ხენანისაკენ. (ადს).

გაფიცულთა ბრძოლა

კაპიტალისტების ჯიუტობა

ლონდონი, 25 ნოემბერი. სამხრეთ უელსის მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომმა გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, **რომ მაღაროს მეპატრონეები არ სთანხმდებიან 8 საათზე ნაკლებ სამუშაო დღეზე.** მაღაროს მეპატრონეები არ იძლევიან აგრეთვე იმის გარანტიას, რომ გაფიცულთა წინააღმდეგ არ იქნეს ნახმარი რეპრესიული ზომები.

აღმასკომი ასეთ პირობებზე არ დათანხმდა.

საკითხს განიხილავს ხვალ სამხრეთ უელსის მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია. (ადს)

არ გაუვიდათ

ლონდონი, 25 ნოემბ. თემთა პალატაში ბოლდუინმა განაცხადა, რომ მთავრობის წინადადება საერთო ინგლისური ტრიბუნალის დაარსების შესახებ და აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული ყველა სხვა წინადადებები, მთავრობის მიერ საბოლოოდ უკანვე არის წაღებული. (ადს).

ჩემბერლენის ჭორები

ლონდონი, 25 ნოემბ. ბრისტოლში გამოსვლის დროს, ჩემბერლენი მოუწოდებდა აერჩიათ „ნამდვილი ბელადები“, და არა ისეთი ხალხი, რომელნიც მოსკოვში მიემგზავრებიან, რათა პასუხისმგებლობა აიცილონ თავიანთ მოქმედებისათვის (ალბათ ჩემბერლენს მხედველობაში ჰქონდა ცნობა, კუკის განზრახვის შესახებ, რომ ნახშირის კონფლიქტის მოწესრიგების შემდეგ გამგზავრებულიყო საბჭოთა კავშირში საკავშირო პროფკავშირთა ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებათ). „განა ვინმე იფიქრებს — საბჭოთა განცხადების საჯაროთ წაკითხვის დროს იკითხა ჩემბერლენმა, რომ საბჭოთა შემოწირულებანი მემაღაროების სასარგებლოთ გამოწვეული იყოს სიბრალულით ან მემაღაროეთა ოჯახებზე, მზრუნველობით. პირიქით, საბჭოები იმ იმედით ხელმძღვანელობდენ, რომ მსგავსად ზოგიერთი ბელადებისა, შესძლებენ მემაღაროების გამოყენებას მსოფლიო რევოლიუციის ბრძოლის იარაღათ“. (ადს).

ამერიკის მუშათა

დელეგაცია

მოსკოვი, 24 ნოემბერი. პროფინტერნში მიღებულია ცნობები, რომ მომავალ ზაფხულში საბჭოთა კავშირში ჩამოვა ამერიკის მუშათა დელეგაცია.

დელეგაციაში შევლენ: რკინისგზის კონდუქტორების კავშირის თავმჯდომარე ლ. ე. შეპარდი (დელეგაციის თავმჯდომარე), ორთქლმავლების მემანქანეების კავშირის ცენტრალურ ორგანოს თავმჯდომარე **ალბერტ ფ. კოილ** (დელეგაციის მდივანი), რკინისგზების კანტორის მოხელეების წარმომადგენელი **ფ. ე. ციგლერი** და ამერიკის შრომის ფედერაციის დიდი პროფკავშირების ხუთი სხვა წარმომადგენელი. დელეგაციას წამოჰყვება რამდენიმე ექსპერტი ეკონომიურ საკითხებზე. გარდა საბჭოთა კავშირისა, დელეგაცია ინახულებს ინგლისს, გერმანიას, იტალიას, საფრანგეთსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებს ეკონომიურ მდგომარეობისა და შრომის პირობების შესასწავლათ.

შვეციის გლეხთა კავშირი

სტოკჰოლმი, 25 ნოემბერი. რადგან შვეციის გლეხთა კავშირი „ბონდეფერბუნდეტ“-ი თანდათანობით მემარჯვენდება, **წვრილ და საშუალო უმიწაწყლო გლეხობის ყრილობამ დაადგინა დაარსონ მიწის მუშათა ახალი კავშირი „იორდფოლკეტს ფერბუნდეტ“.** ახალი კავშირი ითანამშრომლებს მუშათა ორგანიზაციებთან. (ადს).

საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტი

მოსკოვი, 25 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. **კუზნეცოვის** თავმჯდომარეობით შესდგა საკავშირო რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისრების თათბირი საკავშირო რესპუბლიკების 1926—27 წლის ბიუჯეტის საკითხის შესახებ.

თათბირზე მოსმენილ იქნა საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის ამხ. კაზაცკის მოხსენება.

„მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო - საკავშირო ნაწილი, ამბობს ამხ. კაზაცკი, 1926—27 წელს გაიზარდა შარშანდელთან შედარებით 22,6%-ით, მაშინ როცა საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტების ზრდის ტემპი 26,9 პროცენტით განისაზღვრება. ამ რიგად ერთად აღებულ რესპუბლიკანურ ბიუჯეტების ზრდის ტემპი აღემატება ერთიანი ბიუჯეტის ზრდის ტემპს. ყველაზე უფრო რთულია სუბვენციური ფონდის საკითხი. ეს ფონდი შედგენილი უნდა იქნეს ნორჩი რესპუბლიკებისათვის, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტი სათანადოთ ჯერ არის განვითარებული. ამასთან ერთად საჭიროა, რომ საკავშირო ორგანოებს თავის განკარგულებაში ექნეთ მცირე, მომწესრიგებელი ფონდი ცალკე რესპუბლიკებს შორის ადგილობრივ ბიუჯეტის შესაფარდებლად.

ადგილობრივ ფინანსების სამმართველოს უფროსი ამხ. **ფედიაევი** ამბობს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდის ტემპი წლიდან წლამდე მცირდება. ადგილობრივი ბიუჯეტის ყველა საშემოსავლო ობიექტები უკვე აღრიცხულია. ადგილობრივ ბიუჯეტის უახლოესი ამოცანაა ქალაქის მეურნეობის აღორძინება.

ამხ. გენკინის გამოსვლა

საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტების შესახებ გაკეთებულ მოხსენების გარშემო ილაპარაკა ამიერ - კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. **გენკინმა**.

ამხ. გენკინმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის ბიუჯეტმა შედარებით ცოტა ისარგებლა საბიუჯეტო უფლების კანონით და სერიოზულ შემოსავლის წყაროებს ამ ბიუჯეტში არ უნდა ველოდეთ. წელს ამიერ - კავკასიის ბიუჯეტს აქვს მთელი რიგი არა მარტო რესპუბლიკანური, არამედ აგრეთვე საკავშირო ხასიათის ხარჯები. თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ამას, დავინახავთ, რომ ახალი ბიუჯეტი შარშანდელთან შედარებით არ გაზრდილა.

ამიერ - კავკასიის ბიუჯეტის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს სამუშაო ხელფასის ფონდის უცვლელად დატოვება. ბიუჯეტის მეორე დამახასიათებელი მხარეა მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდების გადიდება; ფინანსების მიწოდების გადიდება სასოფლო მეურნეობისთვის განსაკუთრებით აუცილებელია, ვინაიდან ის ძვირფას სამრეწველო ნედლეულს იძლევა.

ამიერ - კავკასიის ადგილობრივ ბიუჯეტს ახლო მომავალში დასჭირდება დახმარება სახელმწიფოს მხრივ, ვინაიდან ის სერიოზულ შემოსავლის ბაზას მოკლებულია. ამიტომ ამიერ - კავკასიის რესპუბლიკისათვის სუბვენციური ფონდის შემცირება შეუძლებელი ხდება. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტიული აღწერა

მოსკოვი, 25 ნოემბერი. საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკამ დაადგინა 10 დეკემბრისათვის დანიშნული პარტიული აღწერა გადაიტანოს 1927 წლის 10 იანვრისათვის.

პარტიის მონაწილეობა საკავშირო აღწერაში

მოსკოვი, 25 ნოემბერი. საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკამ ცირკულიარული წერილით მიმართა ყველა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მოსახლეობის საკავშირო აღწერის დიდი მნიშვნელობის შესახებ როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური მხრივ. ცეკა წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღწერის ჩატარებაში, როგორც საერთო ხელმძღვანელობის სახით ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მითითებების საფუძველზე, ისე მოსახლეობის ფართო მასაში წინასწარი ახსნა - განმარტებითი კამპანიის ჩატარებით. (ადს)

პარტიულ ბილეთების გადაცვლა

მოსკოვი, 25 ნოემბერი. საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკამ დაადგინა 1927 წლის მარტში ჩაატაროს ძველი პარტიული ბილეთების გადაცვლა ახალზე. ისეთ განაპირა რაიონებში, სადაც არ უდგება რკინის გზის ქსელი, საზღვარგარეთულ უჯრედებში და წითელი არმიისა და ფლოტის ცალკე ნაწილებში გადაცვლის ვადად დაწესებულია 1927 წლის არა უგვიანეს 1-ლი აპრილისა.

პარტიის ის წევრები, რომელთაც ვერ მოასწრეს დანიშნულ დროისათვის ახალი პარტბილეთების მიღება, ახალ პარტბილეთებს მიიღებენ მხოლოდ სათანადო პარტკომების მიერ პარტბილეთის დროზე მიუღებლობის მიზეზების დეტალური გამოკვლევის შემდეგ. ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილება პარტბილეთების გადაცვლის შესახებ დადასტურებულ უნდა იქნეს პარტკომების საოქმო დადგენილებით. არასაპატიო მიზეზებით პარბილეების გადუმცვლელები ჩაითვლებიან პარტიიდან მექანიკურად გამორიცხულად. გადაცვლის მომენტისათვის სრულიად უნდა იქნას გადახდილი საწევრო გადასახადი.

პარტბილეთების ახლებზე გადაცვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილია 1927 წლის 1-ლ თებერვლიდან შეწყდეს 1922 წლის სახის პარტბილეთების გაცემა. ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა 1-ლ თებერვლიდან 1-ლ მარტამდე უნდა დაასრულონ ანგარიშის შიგნით ძველი პარტბილეთების გაცემის შესახებ და გაუგზავნონ ცეკას გაუცემელ [illegible] თების შეუვსებელი სიები და აგრეთვე აქტები პარტკომებში დარჩენილ შეუვსებელ პარტბილეთების ნომრების აღნიშვნით, რის შემდეგ უნდა დაიწვას სუფთა ბლანკები. (ადს)

პარტიის წარმომადგენელთა თათბირი

მოსკოვი, 25 ნოემბერი. საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკამ დაადგინა 1927 წლის 3 იანვარს მოიწვიოს ადგილობრივ პარტიის წარმომადგენელთა თათბირი, თათბირში მონაწილეობას მიიღებს 40 დელეგატი ადგილებიდან. (ადს)

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ლენინურ ცეკასთან ერთად

გუშინ საღამოს 7 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა არსენალის რაიონის უჯრედების ჯგუფური კრება, რომელზედაც მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ქართველიშვილმა.

მოხსენებისა და კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ამხ. ქართველიშვილის მოხსენება მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ არსენალის, ტარმეაის, ტრამ. ელსადგურის, მუშკოოპის, პურის მცხობელთა, ცეკავშირის, სახმედვაჭის, ს. მ. უ. საბჭოს, დამზღვევ კასის და განათლების მუშაკთა კავშირის, უჯრედების ჯგუფური კრება სავსებით და მთლიანად უერთდება პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს.

უჯრედთა კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციურმა ბლოკმა მეხუთმეტე პარტკონფერენციაზე კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი ანტილენინური, ტროცკისტული ბუნება. ჩვენი პარტიის პოლიტიკის და ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში, სამეურნეო მდგომარეობის, პროფკავშირების და საერთაშორისო საკითხებში,—ოპოზიციურმა ბლოკმა შესაძლოთ სცნო დაეფარა თავისი აზრი პარტიის წინაშე. სწორედ ამით ოპოზიციონურმა ბლოკმა სთქვა, რომ ის რჩება თავის წინანდელ პრინციპიალურ პოზიციაზე, რომელიც ფაქტიურად იცავს ტროცკიზმის შეხედულებებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის სახელმწიფო დახმარების გარეშე.

თავისი შეხედულებით ამ საკითხში ოპოზიციურმა ბლოკმა გამოამჟღავნა თავისი იდეური სიცოტრე, რაც ყოველთვის ახასიათებდა ტროცკიზმს.

ჯგუფური კრება ურრმესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამ საკითხში ოპოზიციური ბლოკი სრულიბით განცალკევებული დარჩა; მას თავის სასარგებლოთ არც ერთი ხმა არ მიუღია კონფერენციაზე. გამოდის რა აქედან კრება სთვლის, რომ კონფერენციამ უეჭველად მოაფასა ოპოზიციის გადახრა, როგორც სოც.-დემოკრატიული.

კრება სთვლის, რომ პარტიის პოლიტიკა, მიმართული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ, უკვე იძლევა თავის რეალურ შედეგებს, ამაგრებს რა ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ ელემენტებს მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის დარგში.

ოპოზიციის ბელადების ისტერიული ყვირილი ჩვენს პარტიაში „სასტიკი კრიზისის“ არსებობის შესახებ არის ყოვლად დაუშვებელი გალაშქრება საკავშირო კომპარტიის წინააღმდეგ და ფართე პარტიულ მასების მოტყუილება.

კრება მოუწოდებს მთელს ორგანიზაციას იდეური ბრძოლა აწარმოოს მომავალშიაც ოპოზიციონური ბლოკის წინააღმდეგ, რომელიც ქადაგებს უნდობლობას სოციალისტური აღმშენებლობისადმი.

ოპოზიციური ბლოკისაგან ჩვენ მოვითხოვთ ფრაქციული მუშაობის შეწყვეტას არა სიტყვით, არამედ საქმით და თავისი პრინციპიალური შეცდომების აღიარებას.

ამასთანავე ერთად ადგილობრივ ოპოზიციის ბელადებისაგან ჩვენ მოვითხოვთ, რომ მათ აშკარათ და არაორაზროვნად უარი სთქვან არა მარტო თავის ფრაქციულ მუშაობაზე, არამედ თავის შემცდარ პრინციპიალურ შეხედულებებზედაც, რადგან პარტიაში დარჩენა ისეთი ხალხის, რომელთა შეხედულებებს არაფერი საერთო არა აქვს ლენინიზმთან, მიზანშეუწონელი და დაუშვებელია.

კრება აღუთქვამს ლენინურ ცეკას საკავშირო კომპარტიის ერთად ერთ ბელადს,—ყოველგვარ დახმარებას მეხუთმეტე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, იმ გადაწყვეტილებათა, რომლებიც მიმართულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის გატარებისაკენ.

საჭირბოროტო საკითხები

(მაზრებში მოგზაურობის შთაბეჭდილებები)

ამას წინათ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ორი ამხანაგი გაემგზავრეთ პროვინციაში. გამგზავრების მიზანი იყო მოხსენებების ჩატარება საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის, როგორც შეერთებული ორგანიზაციის, ფუნქციებისა და მუშაობის შესახებ. ჩვენ უნდა გამოგვეკვლია აგრეთვე მიწის ყიდვა-გაყიდვის გარშემო შექმნილი მდგომარეობა ადგილობრივ და მოგვესმინა პარტიულ კრებებზე საკონტროლო კომისიის რწმუნებულთა მოხსენებები მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

სამი მაზრა შემოვიარეთ, და უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მოხსენებებს მაზრებში და თემებში დიდი ინტერესით და ყურადღებით უსმენენ. მოხსენებების შემდეგ ბევრ ფრიად საქმიან შეკითხვებსაც გვაძლევდენ და რასაკვირველია, სათანადო პასუხსაც ვაძლევდით. ამ სამი მაზრის შემოვლის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ასეთ მოხსენებათა მოწყობა ადგილებზე ერთობ მიზანშეწონილია. საკონტროლო კომისია არ უნდა დაკმაყოფილდეს ამ პირველი ნაბიჯით და შეძლებისა და გვარად მსგავსი ლექციები-მოხსენებები სხვა მაზრებშიაც უნდა მოაწყოს. რადგან, როგორც სჩანს, პარტიულ და უპარტიო მასას ადგილებზე სუსტი წარმოდგენა აქვს საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის როგორც შეერთებული ორგანოს მუშაობაზე, კარგი იქნება აგრეთვე თუ სამაზრო პარტიული ორგანიზაციები თვით დასვამენ ამ საკითხს უჯრედების ღია კრებებზე. რა თქმა უნდა, მომხსენებლები სათანადო ცოდნით და მომზადებით უნდა იქნენ აღჭურვილნი, რათა შესძლონ პასუხის გაცემა იმ შეკითხვებზე, რომლებსაც დამსწრე გლეხობა იძლევა. აქ სხვათა შორის უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი პარტიის წევრი და ახლად შემოსული კანდიდატი ვერ არჩევს რა არის ცენტრალური კომიტეტი და რა არის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება.

როგორც აღვნიშნე, ჩვენმა მოხსენებამ საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ფუნქციებზე და მუშაობაზე დიდი ინტერესი გამოიწვია. არა ნაკლები ინტერესი გამოიწვია მოხსენებამ მიწის საკითხზე. მოხსენებამ უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია გლეხურ უჯრედებში, შეკითხვებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ ჩვენი გლეხობის უმრავლესობა არ იცნობს მიწის კანონებს და ყველა იმ განმარტებებს, რომელსაც იმუშავებს ცენტრალური მთავრობა. ადგილებზე არ იციან ის კანონები და წესები, რომლებიც ეხებიან მიწის იჯარით გაცემას, ნადგამების შეძენას, ხილით და ვენახით გაშენებულ ადგილებს და სხვა. ნაკლები წარმოდგენა აქვთ აგრეთვე იმაზე, თუ ვისა აქვს მიწის იჯარით გაცემის უფლება, არ იციან სად და როგორ ხდება ფორმალური მხარეების შესრულება, იჯარით აღებულ მიწაზე, ან გაცვლა-გამოცვ- [illegible] მარ აღნიშნულ კომისიებს მხოლოდ კოოპერატიულ დარგებში უწარმოებიათ მუშაობა და ისიც დამთავრებული არ არის. ერთ მაზრაში კი ამჟამათ აწრიევიათ მესამე კომისია, რადგან პირველ ორ კომისიას არაფერი გაუკეთებია. ასეთია ის შთაბეჭდილებები, რომლებიც მე მივიღე მაზრების დათვალიერებიდან.

ს. ლ.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

რა სთქვა კოოპერატიულმა თათბირმა

თბილისში დამთავრდა მუშაობა ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა თათბირმა, რომელმაც განიხილა საკითხი, კოოპერატივებში საქონელზე ფასების დაკლების კამპანიის ჩატარების შესახებ და შეიმუშავა რეზოლიუციის პროექტი, რომელიც განხილულ უნდა იქნეს უმაღლეს ინსტანციებში.

თათბირმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კამპანიის ჩატარებას ამიერ-კავკასიის კოოპერაციის მასშტაბით რამდენათმე დაგვიანებით შეუდგენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, უკვე მიღწეული დადებითი შედეგები თვალსაჩინოა.

თათბირს ეს შედეგები მაინც საკმარისად არ მიაჩნია და ამას ხსნის მთელი რიგ დაბრკოლებებით, რომლებიც წინ ეღობებოდა კამპანიის ჩატარებას. ეს დაბრკოლებებია უმთავრესად: სამომხმარებლო კოოპერაციის სამრეწველო საქონლით არა საკმაოდ მომარაგება; მიმდინარე სამეურნეო წელში ამ საქონლის შემოზიდვის გეგმის შემცირება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამამზადებელ ბაზრების გადიდება, სარკინისგზო ფრახტის და ზოგიერთი საქციო გადასახადების ვადიდება; საქონელზე საბითუმო ფასების გაზრდა 1926 წლის მაისთან შედარებით, მაღალი საიჯარო გადასახადი შენობებზე, რომლებიც უკავიათ კოოპერატივებს; მაღალი საბანკო პროცენტი და სხვა.

კერძოდ კოოპერატივის ხაზით, თათბირმა უმთავრეს დაბრკოლებად მიიჩნია ადგილებზე მომუშავეთა სუსტი კვალიფიკაციურობა და მიღწეულ შედეგების სისწორით აღნუსხვის შეუძლებლობა. თათბირი კოოპერატიული რესპუბლიკანურ ცენტრების წინაშე [illegible] ამოცანად სვამს საკითხს მომავალში საცალო ფასების დაკლების მხრივ მუშაობის უფრო მეტ ენერგიით განგრძობას და მიუთითებს მთელ რიგ ღონისძიებებზე, რომლებითაც მათ უნდა იხელმძღვანელონ შემდეგში.

ბიუროკრატიზმის ერთი სახეთაგანი

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ბიუროკრატიზმზე და უგეგმო მუშაობის შესახებ. იმის დასამტკიცებლათ, რამდენათ დიდ ნაყოფს იღებს ეს ჩვენი ცდა, სხვათა შორის შეიძლება მივმართოთ საკანცელარიო მიწერ - მოწერას, რომელიც დღითი დღე თუ იზრდება, თორემ შემცირების ნიშანს ოდნავათაც არ იძლევა.

თვითეული, რამდენადმე მაინც მოზრდილი დაწესებულება თუ ორგანიზაცია ათასობით და ზოგჯერ ათეული ათასობით ითვლის გასულ და შემოსულ ქაღალდების ნომერს. ყველაზე უფრო აღსანიშნავი ისაა, რომ ქაღალდების ეს შეუჩერებელი ღვარი დღიდან დღეზე იზრდება და ფართოვდება. ეს თავისთავად თითქოს წვრილმანი ფაქტი, საუკეთესოდ ცხადყოფს ჩვენი აპარატის სათანადო მოუქნელობას და ბიუროკრატიზმის სიძლიერეს.

რატომ ხდება ეს? არის თუ არა შესაძლებლობა, რომ „მიმართვათა“ ღვარი, რამდენიმეთ მაინც შევამციროთ და დაწესებულებათა ჟურნალისტებს სამუშაო შევუმციროთ? რასაკვირველია, ეს ადვილი შესაძლებელია. განსაკუთრებით ეს შეეხება ჩვენს მთავარ ქალაქებს. აქ ქაღალდის გარდა სხვა საშუალებებიც არის საკითხის გამოსარკვევად და საქმის მოსაგვარებლად.

განა ცოტაა ისეთი შემთხვევები, როცა ტელეფონს თავისუფლად შეუძლია შესცვალოს ქაღალდი? განა იშვიათია ისეთი მაგალითები, როცა ერთ და იმავე დაწესებულებაში მოთავსებული დაწესებულებები მომდევრავი მეზობლებივით მხოლოდ ქაღალდის საშუალებით ელაპარაკებიან ერთმანეთს? რასაკვირველია არა. ასეთი მაგალითები ძალიან ხშირია, მაზე არა ერთხელ მიუთითებია მუშა და გლეხ კორესპონდენტებს. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ჩვენს მუშაკებს ეზარებათ ზედმეტ ხელის განძრევა, ჩვენს დაწესებულებებში ჯერ კიდევ საკმაო თავშესაფარს პოულობს ძველი, ჩინოვნიკური სული.

როცა ასეთ შემთხვევაში ეკითხები შემჩნეულ პირს, რათ სჩადის ის ამას, პასუხი მზათაა: ზეპირი ლაპარაკი და ტელეფონი საქმე არაა. მე მინდა ქაღალდი — დაწერილი და ბეჭედ დასმულიო. ფორმალურად თითქოს ის მართალია, ფაქტიურად კი ასეთი „ბუკვოედური“ მიდგომა საქმისადმი ბიუროკრატიზმს აძლიერებს.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, წერილობითი მიმართვების ზრდა ნივთიერადაც საზარალოა დაწესებულებისათვის. მარტო ადამიანის ენერგია და ქაღალდი რათ ღირს, რომელიც უსარგებლო მიწერ - მოწერაზე იხარჯება?

საჭიროა ამაზე დაფიქრდენ ჩვენი დაწესებულებები და აქედან სათანადო დასკვნა გამოიტანონ.

კავშირელი.

რა კეთდება კოოპერაციაში

საქართველოს კოოპერატიულმა საბჭომ გამოიკვლია, როგორ ტარდება საქართველოს კოოპერატიულ ცენტრებში მომჭირნეობის რეჟიმი.

გამოკვლევიდან სჩანს, რომ „საქართველოს ღვინო“-ში არ არის შექმნილი სპეციალური კომისია მომჭირნეობის გასატარებლად და ამ ფუნქციებს ასრულებს თვით გამგეობა. უკანასკნელის მიერ შედგენილი იყო სამოქმედო გეგმა, როგორც ცენტრის, ისე მოკავშირე ამხანაგობებისათვის და ყურადღება ექცეოდა ზედმეტ ხარჯების მოსპობას, უმიზნო მივლინებების აღმოფხვრას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და სხვა.

ამ ღონისძიებების გატარებამ უკვე გამოიღო ნაყოფი და როგორც ადგილებიდან მიღებულ ცნობებიდან ირკვევა ყოველივე ამის შემდეგ ძირითად ორგანიზაციებს საშუალება მისცემიათ მოეგოთ რამოდენიმე ათასი მანეთი და მოესპოთ მფლანგველობა.

„ბაღ-ბოსტანკავშირ“-ში მომჭირნეობის გამტარებელი კომისია არსებობს. მან გამოიტანა დადგენილებები და კიდეც გაატარა ცხოვრებაში.

ეს დადგენილებები შეეხებოდენ უმეტესად: დღიურ მომუშავეთა შემცირებას, ძველი ლურსმნების გამოყენებას, დეპეშების რიცხვის შემცირებას და სხვა.

„ბინათ-კავშირ“-ში. საქართველოს საბინაო კოოპერაციის ცენტრში—„ბინათ-კავშირ“-ში მომჭირნეობის გამტარებელი კომისია შესდგება სამი პირისაგან.

კომისია სცდილობს შეამციროს ყოველგვარი ზედმეტი ხარჯები და თვალყური ადევნოს მომჭირნეობის გატარებას ცხოვრებაში. უნდა ითქვას, რომ „ბინათ-კავშირის“ შტატის შენახვა, ხარჯთ-აღრიცხვით ნაგულისხმევ თანხებთან შედარებით შემცირებულია. ასევე საკანცელარიო ხარჯების მხრივაც, რაც შემცირებულია—25 პროცენტით. ზედნადები ხარჯები საქონლის გადაზიდვა - გადმოზიდვისა შემცირებულია მინიმუმამდე. ამან კი საშუალება მისცა ორგანიზაციას გაეიაფებია ზოგიერთი საქონელი, რაც საქონლის ბრუნვის თანხაზე — 13.500 მანეთზე იძლევა შემცირებას — 877 მან. 80 კაპეიკ.

აღმოფხვრილია აგრეთვე გაფლანგვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

მარტივი კითხვა

(წალვერი, გორის მ.)

მოსწყინდა ივ. ლომსაძეს წალვერში. გული სევდამ მოიცვა. და დაიწყო თავის გართობაზე ზრუნვა. ჯერ სცადა თავის ადმინისტრატიულ მდგომარეობის გამოყენება (ნუ დაგავიწყდებათ, ივანე სკოლის გამგეა). მას კარგა ხნიდან მიზანში ამოღებული ჰყავდა სკოლის დარაჯის ცოლი. ერთ დღეს ქალი სახლში მარტო იყო. უცებ სკოლის დარაჯის სახლში ასტყდა ქალის კივილი. იფიქრეს უბედურება თუ რამე მოხდაო. მიეშველნენ და ხელში ივანე ლომსაძე შერჩათ, რომელიც გაუპატიურების მიზნით დასხმოდა ქალს.

წალვერლები ამან საშინლად აღაშფოთა. მოიწვიეს საზოგადო კრება და მოითხოვეს ივ. ლომსაძის შესაფერისად დასჯა. მაგრამ ეს იყო ორი წლის წინედ და ლომსაძე დღესაც არხეინად დასეირნობს წალვერში. ამან გამგე კიდევ უფრო წაახალისა. ის მსუნაგ მელიასავით განაგრძობს ერთხელვე აღებულ გზით სვლას. ასე გასინჯეთ, მოხუცებულებსაც აღარ ინდობს. მეორეჯერ ისეთივე მეგობრული გრძნობით ანთებული ივანე, როგორც ის დარაჯის ცოლთან მიემგზავრებოდა ეწვია ერთ მოხუც ქვრივ ქალს. შედეგიც ისეთივე იყო, როგორც პირველ შემთხვევაში. წივილი, კივილი და ჩხივილი. ხალხმა თავი მოიყარა, ლულში გაწურული და შერცხვენილი ივანე გარეთ გამოაბრძანეს კუდამოძუებული.

ივანე არც ამან დააწყნარა. ამას წინად, ღამის 10 საათი იქნებოდა, ის მიუვარდა მოქ. დრობიშევის ქალს. ჯერ ფრთხილათ დააკაკუნა კარებზე. ხმა რომ არავინ გასცა, კაკუნს უმატა. სახლიდან მაინც არავინ გამოეხმაურა. წალვერი შეშინებული იყო გამგის ქცევით და მზის ჩასვლისთანავე კარები ყველას მაგრათ ჰქონდა გამოკეტილი.

როცა შეატყო ივანემ, რომ კარებიდან ხეირი არ გამოდიოდა, ფანჯარაზე გადინაცვლა და ეხლა შუშას დაუწყო კაკუნი. აქაც არავინ გასცა ხმა. მოთმინება დაკარგულ ივანემ ისეთი სიმძლავრით ჩაჰკრა ხელი ფანჯარას, რომ მინები ჩალეწა, შემდეგ ერთი რიგიანად შეუკურთხა მასპინძელს და თავის გზას გაუდგა.

მაგრამ შორს წასვლა ველარ მოასწრო. მას უკან დაედევნენ ძმები დრობიშევები და სისხლში ხელ-შელეპილი, ტალახში ამოსვრილი ლამის გმირი დაიჭირეს, საიდანაც მილიციაში წაიყვანეს.

ამ ამბის შემდეგ, ბუნებრივათ სვამენ კითხვას წალვერლები: „რა უნდა ასწავლოს ჩვენს ბავშვებს ივანე ლომსაძემ". კითხვა არც ისე რთულია, რომ მაზე ვერ უპასუხოს მაზრის განათლების განყოფილებამ.

წალვერელი.

ეკლესიის ნაცვლად კულტურის სახლი

(ს. ვანი, გურია)

ვანში არის საუცხოვო ყოფილი ეკლესია, რომლის მსგავსი მთელ გურიაში იშვიათად მოიპოვება. ამ ეკლესიის გაკეთებას ერთ დროს მთელი სოფელი გაუტყავებია. დღემდის ეს შენობა უქმათ არის კარ-გამოკეტილი. 5 წელიწადია მღვდელი არ გამოჩენებულა შიგ. ვანელებს მღვდელი არც სჭირია.

ამ შენობის უსარგებლოთ გაჩერების გამო სწუხდა ადგილობრივი გლეხობა. ამიტომ ვანის მთლიანმა კრებამ გადასწყვიტა, რომ გადაკეთებულ იქნას ეკლესია ორ სართულიან შენობათ, სადაც მოთავსდება სკოლა და სახალხო სახლიც. შენობა უნდა გადაკეთდეს შემდეგნაირათ: სიმაღლე გაიყოფა შუაზე, ზედა სართულში იქნება სკოლა, ქვედაში კი სახალხო სახლი. საინტერესო ის არის თუ რა ნაირი აღფრთოვანებით შეხვდა ამ საქმეს ხალხი. ყველანი ასე გაიძახოდა: „რაც უნდა დაგვიჯდეს გადავიხდით, მხოლოდ ეს გადაკეთდეს სკოლად და სახალხო სახლად". ამას ისიც მოწმობს, რომ ამავე კრებაზე ორას მანეთამდე შემოწირულება მოგროვდა.

მოხუცი გლეხებიც კი ამბობენ, „სულ რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ამ საქმისათვის უკანასკნელ კაპეიკებსაც არ დავიზოგავთო".

არჩეულია საამშენებლო კომისია, რომელმაც ხსენებული შენობა გადასცა გადასაკეთებლათ ადგილობრივ ქვის ოსტატს ტროფიმე და თედორე მახარაძეებს. მახარაძეებმა უნდა მოხსნან ეკლესიის გუმბათი, თაღები და გაუკეთონ საჭირო ადგილზე კარ-ფანჯრები.

სოფელი მალე დაასრულებს ამ დიდებულს და მისთვის საამაყო შენობას.

ხაფანე.

წერილებიდან

კახეთის რკ.-გზაზე

მონადირეებმა შეგვაწუხეს. ყოველ შაბათ-კვირაობით კახეთის მატარებელი სავსეა მონადირეებით, რომელნიც თოფებითა და მეძებრებით წამოწოლილი არიან მხარ-თეძოზე და ზედმეტ ადგილს იკავებენ. მგზავრი გლეხები და ძუძუ-მწოვარა ქალები ხშირად ფეხზე დგანან ათეული და ასეული ვერსის მანძილზე. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს, თორემ გლეხების სამართლიან ჩივილს მონადირეების თავგასულობაზე დასასრული არ ექნება.

გ. გარსიაშვილი.

საგარეჯო, (გარე-კახეთი)

ყურადღებას არ აქცევენ. აქ გამოდის კედლის გაზეთი. მაგრამ ამ გაზეთის არსებობას აზრი ეკარგება. ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმ შენიშვნებს, რომლებიც თავსდება კედლის გაზეთში. გლეხკორებს და გაზეთის სარედაქციო კოლეგიას ეს გულს უცრუებს მუშაობაზე. ნუ თუ ამგვარი გულგრილობა კედლის გაზეთისადმი დასაშვებია საბჭოთა ორგანოების მხრივ?

მნახველი.

ორულ-ერგეტა, (ზუგდ. მ.)

ძილის მოყვარული ექიმები. ძლივს ეღირსა ჩვენი თემი საექიმო პუნქტს. დაგვინიშნეს ექიმი და ფერშალი. მაგრამ აქედან ბევრი არაფერი გამოდის. ექიმები 12 საათზე ადრე არ ცხადდებიან სამსახურში ორ სამ საათს წაიმუშავებენ და გარბიან. დღეების გაცდენაც ხშირი შემთხვევაა. საჭიროა ექიმები ცოტა ადრე იღვიძებდენ. სოფელს 11 საათ. მოთავებული აქვს მთავარი სამუშაო. გლეხი ადრე მოდის პუნქტზე და მას ლოდინი არ შეუძლია.

,კა.

აბასთუმანი, (ზუგდ. მ.)

არც ექიმია, არც აფთიაქი. ჩვენს თემში 1200 კომლს აღემატება. ასეთი მრავალ რიცხოვანი კუთხე უაფთიაქოთ და უექიმოთაა. თავი რომ ვისმე ასტკივდეს, სიცხის გამზომავი არავინაა. გვყავდა ერთი ფერშალი და ისიც გაიქცა. მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება.

ბლიკო.

სოფლის ქრონიკა

— **ჩაი და თამბაქო.** სენაკის აღმასკომმა შეადგინა გეგმა მაზრაში ჩაის და თამბაქოს კულტურის გასავრცელებლად.

— **საკრედიტო ამხ-ბები.** სენაკის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სას.-სამ. ბანკის წინაშე მაზრის 7 სოფელში საკრედიტო ამხანაგობების გახსნის შესახებ.

— **კბილის საექიმო კაბინეტების მოსაწყობათ** სენაკის აღმ-სკომმა ერთდროულად გადასდო 600 მან.

მუშათა ცხოვრება

დროა ბოლო მოეღოს ამ ბოროტებას

თბილისის დეპოს საანგარიშო კანტორის გამგე მოქ. ზვიადაძე „დიდი" უფლებებით სარგებლობს. ვისაც „მოწყალე" თვალით შეხედავს, იგი, დააწინაურებს, სხვებს კი უყურადღებოდ სტოვებს. რამოდენიმე თვის წინეთ მოქ. ზვიადაძემ მეორე განყოფილებიდან გადმოიყვანა კანტორის მოხელე კონსტანტინოპოლსკი მეცხრე თანრიგით, მაგრამ ყოველ თვეს იგი ღებულობს ჯამაგირს განსხვავებით მე-12 თანრიგამდე.

ამას გარდა, საანგარიშო კანტორას ქონდა დავალებული „ზაკტპოს" სანარდო საქმე—ჩეკების გამოწერა. მოქ. ზვიადაძემ ეს საქმე მიანდო კონსტანტინოპოლსკის. თვითეული ჩეკის ამოწერა ღირდა 5 კაპ. ეს საქმე უნდა გაკეთებულიყო სალამოობით, არა სამუშაო დროს. კონსტანტინოპოლსკიმ კი ზვიადაძის წყალობით ეს საქმე გააკეთა მუშაობის დროს და აიღო აღნიშნულ სამუშაოში 40 მანეთამდე. მისი პირდაპირი საქმე კი სხვა მოანგარიშეებმა გააკეთეს.

ეხლა გადავიდეთ ავანსების გაცემაზე. იმ დროს, როდესაც დაბალი დარგის მუშები 5—10 მან. თხოულობენ ავანსად, ზვიადაძე უარს ეუბნება მათ და ზოგჯერ კიდევ „დაუთათანებს" როგორც ამბობენ ჩვენი მუშები. მაგრამ თვითონ და მისი მახლობელი მეგობრები განუსაზღვრელი ავანსებით სარგებლობენ. აი საბუთებიც: ა.-წ. 16 სექტემბერს მოანგარიშე შიმანოვსკაიამ მიმართა თხოვნით ზვიადაძეს, რათა გამოეწერათ მისთვის ათი მანეთი ჯამაგირის ანგარიშში. მან ზვიადაძისაგან ასეთი პასუხი მიიღო: ავანსების გაცემა აკრძალული მაქვსო. მეორე დღეს კი 17 სექტემბერს თვითონ გამოიწერა ჯამაგირის ანგარიშში 50 მან. ჩეკი № 219719-ით. 18 სექტემბერს—50 მან. ჩეკი № 219720-ით. უფროს მოანგარიშე ლისენკის გამოუწერა სექტემბერში 50 მ. ჩეკი № 219769. დამატებით 50 მან. ჩეკი № 219770, ოქტომბერში მასვე გამოუწერა 15 მანეთი. ჩეკი № 249072-ით. უფროს მოანგარიშე სკოროხოდოვს ავანსად სექტემბერში მისცა—30 მან. ჩეკი № 203205-ით და ოქტომბერში—30 მან. ჩეკი № 219725, დამატებით № 237101 და კიდევ 15 მან. ჩეკი № 207918-ით 10 მ. № 219503-ით და 40 მ. ჩეკი № 237386-ით.

ხანძართა რაზმის ინსტრუქტორმა ეროშენკომ ლენინაკანიდან დაბრუნებისათანავე (საკუდის მეხანძრეები მივლინებული იყვენ ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა საშველად) მიიღო მივლინების ჯილდო ავანსად. მაგრამ უმცროს მეხანძრეებს, რომელთა ჯამაგირიც არ აღემატება 40 მან., დღესაც ვერ მოუხერხებიათ მისი მიღება.

ზვიადაძეს როგორც მოეპრიანება, ისე იქცევა.

რას ფიქრობს ადმინისტრაცია და პროფორგანიზაცია? თუმცა ზვიადაძეს გაზეთში მოთავსებული შენიშვნების არ ეშინია. მას არა ერთხელ უთქვამს: რამდენიც უნდათ, იმდენი სწერონ, მე არაფრის არ მეშინიაო. მაგრამ იმედია, ეხლა მაინც შეიგებს მოქ. ზვიადაძე, რომ მისი საქციელი დაუშვებელია მუშათა ხელისუფლების დროს და მას ღირსეული სასჯელიც მოელის.

რკუშკორი № 18.

ეს ნაკლი უნდა გამოასწოროთ

რკინისგზელებს გვეძლევა თვეში თითო ფუთი ნავთი ფულად. ცოლ-შვილიანი კაცისათვის ერთი ფუთი ნავთი ძალზე ცოტაა, რის გამო იძულებული ვართ ერთი ფუთი დამატებით კერძო პირისაგან ვიყიდოთ.

არ მოუვა დიდი ზარალი რკინის გზას, რომ ერთი ფუთი ნავთის მაგიერ 2 ფუთი მოგვცენ, მით უფრო ნაღდ ფულზე გვეძლევა იგი და კერძო ვაჭრების ყულფას აგვაცილონ. გარდა ამისა, რკინის გზას ჰყავს „ფოდრიაჩიკის" სახით ნავთის დამტარებელი ოჯახებში. იგი ფუთზე იღებს გასამრჯელოდ 15—20 კ. მაგრამ იშვიათია მისი მოსვლა და ნავთის მოტანა დიდუბის რაიონში.

თითქმის ყველა ჩვენთაგანს —დიდუბელებს გვიხდება მუშის დაქირავება პირად წასვლა-მოსვლა, რაზედაც იკარგება ბევრი დრო და ამასთან ნავთიც ძვირად გვიჯდება.

თუ ერთი „ფოდრიადჩიკი" ნავთის დამტარებლად არ ჰყოფნით, მოიწვიეთ მეორეც, მისი მოვლა ხომ ზედმეტ ხარჯებს არ მოითხოვს. გზას არაფერი არ ეხარჯება ამაზე, ჩვენ კი, მუშა-მოსამსახურეებს ცოტა შეღავათი მოგვეცემა. წასვლა-წამოსვლაზე დროს არ დავკარგავთ და არც მეტს გადავიხდით.

მუშკორი ძია,

ვის ენებავთ შეშა „ნისიათ?"

(მუშის შენიშვნა)

რა გიჭირს შენ, შაქრო დღეს ჯამაგირი დაგირიგეს და ფულიც გექნება! შეგიძლია ეხლა შეიძინო ზამთრისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე. შეშა და სხვა. მიმართა დღიურმა მუშამ შტატის მუშას.

იმოდენა ფული, რაც დღეს მე მივიღე, შენი მტრის ჯიბეში იყოს. ჩემო სოლომონ.—დაღონებული ხმით მიუგო უკანასკნელმა.

რატომ? არ მიიღე თუ?

დღეს როდესაც მოლარესთან მივედი, მოლარემ უწყებაზე ხელი მომაწერია, აიღო და 1 მან. 50 კ. გადმომიგდო. როდესაც შევეკითხე რატომ მოხდა მეთქი, მან მიპასუხა შეშის ფული და კოოპერატივის ვალი არის გამორიცხულიო.

ეგ სხვა საქმეა. თუ კი კოოპერატივის ვალი გაქვს, უნდა გადაიხადო იგი. აი მე არც შეშა მაქვს და არც სხვა ზამთრისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე.

საუბედუროდ, შაქრო-ჯან! ეს შეშა, რომლის საფასური უკვე მე გამომირიცხეს არც მაქვს მიღებული და როგორც ვატყობ, ვერც მივიღებ ამ წელს, ისეთი დიდი რიგია ჩვენ ადგილკომში.

მე არ მესმის. ბრძანება იყო, რომ შეშა დაერიგებიათ მუშა-მოსამსახურეებისათვის ნისიად და როგორც შენი სიტყვებიდან სჩანს, ნისიათ კი არ გაძლევენ თურმე, არამედ ორი სამი თვით ადრე იღებენ ფულს.

ჩვენც ამას ვჩივით და ეს საქმე ძალიან აღელვებს მუშებს. ნისიად თუ ურიგებენ, წინდაწინ ფულს რაღას გვახდევინებენ.

მე მგონია, რომ ამ მდგომარეობას მიაქცევენ ყურადღებას პროფკავშირები და გამოასწორებენ ამ ნაკლს, ჩემო გივო! მიუგო სოლომონმა და გაუდგა გზას.

მუშა სიონელი.

მუშათა ქრონიკა

— **კედლის გაზეთი.** რკ. გზის სამმართველოს კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მეორე ნომერი „პროფცხოვრება"-ს სახელწოდებით. კედლის გაზეთი შინაარსიანია.

— **სარედაქციო კოლეგია.** პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ კლუბის სამხატვრო წრეების გაერთიანებულ კრებაზე გამოჰყო კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია შვიდი კაცის შემადგენლობით.

— **მეარტელის დამატება.** თბილისის დეპოს ადგილკომმა დაადგინა ეთხოვოს უბკავშირს, რათა დამატებულ იქნეს კიდევ ერთი მეარტელე, რადგან ერთი მეარტელე ჯამაგირის დარიგებას ვერ ასწრებს.

— **საწევრო ანარიცხები.** რკ. გზის მთავარ სამმართველოს ადგილკომში ექვსი თვის განმავლობაში შემოვიდა 21.000 მან. ადგილობრივ კავშირის 2-პროც. ანარიცხი.

— **დამატებითი შვებულება.** თბილისის დეპოს ადგილკომმა დაადგინა ეთხოვოს უბკავშირს, რათა სარემონტო ფარეხის მუშებსაც მიეცეთ დამატებითი შვებულება.

— **სანგანათლების საღამო.** ამ დღეებში სანგანათლების აუდიტორიაში გაიმართა სანიტარულ-ჰიგიენურ შინაარსის საღამო—ლექციით.

— **დასასვენებელი რონოდა.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა—აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოს წინაშე, რათა მებარგე მეზუხრუჭე და მარქაფ ბუნდებში მომუშავეთ მიეცეთ დასასვენებელი რონოდა.

— **გამორიცხვა.** სად. გურჯაანის კლუბის გამგეობამ დაადგინა, კლუბის ის წევრი, რომელიც სამი თვის განმავლობაში არ შემოიტანს საწევრო გადასახადს, გარიცხული იქნეს კლუბის წევრობიდან.

— **ფიზკულტურის წრე.** სად. გურჯაანის მუშათა კლუბში დაარსდა ფიზკულტურის წრე. წრეში მეცადინეობენ მუშების შვილები.

— **150 მანეთი სამკითხველოსთვის.** ალიხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ სამკითხველოსთვის ყოველთვიურად გადასდო 150 მანეთი.

— **„არსენა ყაჩაღი".** სადგ. ნავთლუღის მუშათა კლუბის დრამწრემ ამხ. ი. ჯიორგაძის ხელმძღვანელობით დასდგა ა. ყაზბეგის ოთხმოქმედებიანი პიესა „არსენა ყაჩაღი".

მუშაობის შესახებ. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ დაადგინა ჩატარდეს მოხსენებები გამგეობის მუშაობის შესახებ—დეპოში, მთავარ სახელოსნოში, მოძრაობის დარგში და სხვა.

— **კომისია** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ გამოყო კომისია სამი კაცის შემადგენლობით, რომელიც შეიმუშავებს საზამთრო მუშაობის ჩასატარებლად გეგმას.

— **400 მან.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ ბაღის გასაუმჯობესებლად გადასდო 400 მანეთი.

წითელ ჯარში

წვევამდე მზადებისათვის

რამოდენიმე დღის შემდეგ საქართველოში დაიწყება ახალგაზრდათა სამხედრო წვევამდე მზადება.

წვევამდე მომზადების ამოცანაა ახალგაზრდობის სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკური და ფიზიკური მომზადება. იგი იწყება 19 წლიდან და გრძელდება წითელ ჯარში გაწვევის წლამდე (21 წელი), ე. ი. სულ ორი წელი.

წვევამდე მზადების მთელ პერიოდში ახალგაზრდა წვევამდელმა უნდა შეიძინოს მთელი ის ცოდნა, რომელიც საჭირო არის მებრძოლისათვის ყველა სახის ჯარების განყოფილებისა და ჯგუფეულების მოქმედების პირობებში.

წვევამდე მზადება შემოღებულია ჩვენში იმ გარემოებით, რომ სამსახურის ვადა წითელ ჯარში ძალიან შემცირებულია, რისთვისაც საჭიროა, რომ ახალგაზრდები მიდიოდნენ ჯარში უკვე მომზადებულნი, რათა გაუადვილდეთ მათ შეთვისება სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის. ამას ასრულებს წვევამდე მზადება. იგი ამზადებს ახალგაზრდებს ნამდვილ სამხედრო სამსახურისათვის.

სოფლის ახალგაზრდობის წვევამდე მომზადება სწარმოებს თემების სამოსწავლო წერტებზე ერთ-თვიან შეკრების მოწყობის გზით.

ქალაქებში და საქარხნო ცენტრებში წვევამდე მომზადება ტარდება ან სამოსწავლო წერტებზე, ან ახლო მდებარე სამხედრო ნაწილში.

წვევამდე მომზადებისათვის გაყვანის დროს არავითარი შეღავათები ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით არავის ეძლევა, მაგრამ აუცილებელ შემთხვევაში ცალკე პირთ შესაძლებელია მიეცეს გაწვევის ვადის გაგრძელება იმ პირობით, რომ ამ პირთა მომზადება შემდეგში შესრულებულ იქნება განსაკუთრებულ სამოსწავლო წერტებზე.

ის ახალგაზრდები, რომელნიც წარმატებით გაივლიან წვევამდე მზადებას, მიიღებიან რიგს გარეშე სამხედრო სასწავლებლებში.

წვევამდე მზადების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები ბრუნდებიან სოფლად, ფაბრიკა-ქარხნებში, უკვე გაცნობილნი სამხედრო საქმეს და სამხედრო სწავლებას. წვევამდელები ამ მხრივ საუკეთესო მომუშავენი არიან მოსახლეობის გასამხედროების საქმეში და ფართედ უნდა იქნენ კიდეც გამოყენებულნი ამ დარგში.

წვევამდე მზადებას აქვს დიდი მნიშვნელობა და მის ჩატარებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა ყველა საბჭოთა, პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. მათი მონაწილეობით უნდა გამოიხატოს წვევამდე მზადების მნიშვნელობის და მიზნების ახსნა-განმარტებაში და სამოსწავლო წერტების მოწყობაში.

ვ. ხ.

პროფკავშირებში

ყურადღების ღირსი ფაქტი

ამ დღეებში შეუმჩნევლად მოხდა ერთი პატარა ამბავი, რომელიც ბევრს ალბათ კიდევაც გაეპარა მხედველობიდან. მაგრამ ეს ამბავი ჩვენს პირობებში უნდა იწვევდეს დიდ საზოგადოებრივ ინტერესს. ეხება იგი შრომის კანონების დარღვევას.

თბილისში არსებობს საკმაოდ ცნობილი დაწესებულება „ამიერ-კავკასიის ხორცით სავაჭრო" (ზაკმიასოტორგი), რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი ამხ. მელიქი.

თავის მოღვაწეობის პირველ დღიდანვე მელიქმა მიზნად დაისახა თავიდან მოიშოროს ყოველგვარი შრომის კანონები, პროფკავშირის ან შრომის ინსპექტორის ჩარევა.

შემოღებული იქნა დაუსრულებელი ზედმეტი მუშაობა, შრომის ინსპექტორის ნება-დაურთველად; 8 საათის სამუშაო დღე კანცელარიაში მომუშავეთათვის სრულიად უსაფუძვლოთ და ყოველგვარ ნებართვის გარეშე; ამ დაწესებულების მომუშავეთათვის არ არსებობდა არც კვირა, არც უქმე, არც დასვენების დღე; სრულიად უმიზეზოთ ითხოვენ მოსამსახურეებს; აძლევდენ მათ ისეთ მოწმობებს, რომლებიც მათ [illegible] სხეებდა; სრულიად არ უწევდა ანგარიშს კავშირს და მის ორგანოებს. განსაკუთრებით შეთანხმებელ-საკონფლიქტო კომისიას: არ ჰქონდა შინ-წესრიგი, სავალდებულო წიგნები და მრავალი სხვა.

მელიქის წყალობით, ყოველივე ეს „მიასოტორგ"-ში ნორმალურ მოვლენათ გადაიქცა.

რამდენი ეცადა საბჭოთა და სავაჭრო მუშაების კავშირი მოეგვარებია ეს საკითხი, მოეწესრიგებია შრომის კანონები ამ დაწესებულებაში და ერთგვარ ნორმალურ ჩარჩოებში ჩამოეყალიბებია მოსამსახურეთა მდგომარეობა. კავშირის ცდა ეჯახებოდა ადმინისტრატორის თვითნებობას და ამაოდ რჩებოდა. მაშინ კავშირმა მელიქის წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და მელიქი წარუდგა სასამართალს.

შრომის სასამართლომ დღენახევარი მოანდომა ამ საქმეს, ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა მელიქს ერთი წლით, თავისუფლების აღკვეთა.

ამ განაჩენს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენი სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა.

განა ცოტაა ჩვენთან ისეთი დაწესებულებები, სადაც ირღვევა შრომის კანონმდებლობა?

სასამართლოს განაჩენი მელიქის საქმეზე კარგი გაფრთხილებაა. დაწესებულებათა ყოველ ხელმძღვანელს კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ თუ ის არ შეეცადა შრომის კანონების ცხოვრებაში გატარებას, თუ ის შესაფერ ყურადღებით არ მოეკიდება პროფკავშირის მოთხოვნილებებს, ვერ აიცდენს თავიდან საბრალდებულო სკამს და კანონიერ სასჯელს.

შრომის სასამართლომ თავის განაჩენით დაგვანახვა, როგორ სჯის შრომის კანონმდებლობა ყველა მათ, ვინც არღვევს შრომის კანონებს, მიუხედავათ მისი მდგომარეობისა. ჩვენი მოვალეობაა გულის ყური ვათხოვოთ ამ გამაფრთხილებელ ხმას.

ვ. ბ—ვა.

თამბაქო

საქართველოს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ამას წინეთ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია ლაგოდეხის რაიონის თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობა, ლაგოდეხის თამბაქოს თვითღირებულება და დაეწესებია სათანადო ფასები აღნიშნულ თამბაქოზე.

კომისიაში შედიოდნენ: შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოდან —ამხ. ხოფერია, თამბაქოს ტრესტიდან—ამხ. მეტაკსა და ჯაფარიძე და „სოფლის კავშირიდან"—თავდიშვილი.

აღნიშნული კომისია გაემგზავრა ლაგოდეხში თამბაქოს მოსავლისა და მისი თვითღირებულების გამოსარკვევად. კომისია აწარმოებდა მუშაობას ადგილობრივ სიღნაღის სამაზრო აღმასკომთან შეთანხმებით. სათანადო დასკვნები და მასალები კომისიამ წარადგინა შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატში. ამ დღეებში მოწვეულია თათბირი ლაგოდეხის თამბაქოზე ფასების დასაწესებლად.

ამჟამად კახეთში უკვე დაიწყო და სწარმოებს თამბაქოს დახარისხება. თამბაქოს დამზადება წელს იწარმოებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით. დამზადება დაიწყება დეკემბერში.

კომისიის მუშაობით გამოირკვა, რომ ამჟამად კახეთში თამბაქოთი დათესილი ყოფილა 1.350 დესეტინა მიწის სივრცე. ნათესი მიწის სივრცე შედარებით გასულ წელთან გაიზარდა ათი პროცენტით. მიმდინარე წელში მოსალოდნელია თამბაქოს კარგი მოსავალი, სახელდობრ 80—85 ფუთი თითო დესეტინა დათესილ სივრცეზე. თუმცა მოსავალი შარშანდელთან შედარებით გაზრდილია, მაგრამ სამაგიეროდ წელს ლაგოდეხის თამბაქო უფრო მდარე ხარისხისაა. ეს კი გამოწვეულია არა ხელსაყრელ კლიმატიურ პირობებით და ცუდი ამინდებით, რომელსაც წელს ადგილი ჰქონდა კახეთში.

ლაგოდეხის თამბაქოს ფასების გამომუშავების შემდეგ, შინა-ვაჭრობის კომისარიატი შეუდგა გურია-სამეგრელოს თამბაქოს ფასების დამუშავებას.

ცენტრალურ მმაჩში

ვინაიდან ბევრ მაზრებში საეკლესიო მეტრიკულ ამონაწერების დაკარგვის შემდეგ ძლიერ გაძნელდა მოსახლეობისათვის შესაფერი მოწმობის გაცემა ქორწინებისა და სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ, ამიტომ სამოქალაქო აქტების ჩამწერი ცენტრალური განყოფილება (მმაჩი) ღებულობს დიდძალ შეკითხვებს პროვინციიდან სხვადასხვა მოქალაქეთათვის შესაფერი მასალების გადაგზავნის შესახებ.

ასეთ შეკითხვებზე პასუხის გასაცემათ მმაჩს ესაჭიროება აუარებელი დროის და ენერგიის დახარჯვა, რითაც ბრკოლდება ხასიათის მიმდინარე მუშაობა.

ზოგიერთმა მაზრებმა, ამის გამო, გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები ცენტრალურ მმაჩში საბუთების გადასაწერათ. მმაჩი სხვა მაზრებსაც ურჩევს მოიქცნენ ასე და გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები შესაფერი მეტრიკული წიგნების გადასაწერათ.

კარაქი და ყველი

საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებობს კარაქის და ყველის დასამზადებელი 12 ქარხანა, რომელთაგან მხოლოდ 7 მუშაობს; 1913 წელში კი საქართველოში იყო 40 ასეთი ქარხანა. ზოგიერთი მომუშავე ქარხნები (მაგალითად, ალექსანდრსკოლფის ქარხანა) ამზადებენ 3.000 ფუთამდე შვეიცარულ ყველს, დანარჩენები კი 500—700 ფუთამდე.

კარაქის და ყველის დამზადება ჩვენში ძლიერად ვერ ვითარდება, უმთავრესად, ქარხნების მოწყობილობის გაცვეთისა და კრედიტების უქონლობის გამო.

პერსპექტიული გეგმის მიხედვით, საქართველოში განზრახულია 9 ახალი ქარხნის მოწყობა, რომელთაგან თვითეული დაამზადებს 100.000 ფუთამდე ყველს და კარაქს წელიწადში.

ქარხნები აგებული იქნება ყაზბეგში, ახალქალაქში, თიანეთში, ქვემო - ქედში, ერწოში, გომბორში, ბაკურიანში, წითელ წყალში; ყველა ამ ქარხნების მოწყობა დაჯდება 180.000 მანეთი.

ამას გარდა გაუმჯობესებული და გაფართოვებული იქნება, არსებული ქარხნები, რისთვისაც საჭიროა 225.000 მანეთი.

ყველის ქარხნებში კაპიტალის ბრუნვა მცირეა (დაახლოვებით, ერთხელ 6—8 თვეში), ამიტომ მოკლევადიანი კრედიტი გაცემული იქნება არა ნაკლებ ერთი წლის ვადით.

პერსპექტიული გეგმის მიხედვით, მოკლევადიანი კრედიტი განაწილებულია შემდეგნაირად: 1926—27 წელში—150.000 მანეთი, 27—28 წელში—125.000 მანეთი, 28—29 წელში—100.000 მანეთი, 29—30 წელში—50.000 მანეთი და 30—31 წელში—25.000 მანეთი.

მანქანების შეკეთება

ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში — განსაკუთრებით ქართლის და კახეთის სოფლებში სასოფლო - სამეურნეო იარაღების და მანქანების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. სასოფლო - სამეურნეო პრიმიტიულ იარაღებს, სახნისებს — ფარცხებს, სალეწ კევრებს, სანიავებელ ნიჩბებს—სცვლის ახალი გაუმჯობესებული ევროპიული იარაღები და მანქანები — ტრაქტორები, სანიავებელი სალეწველი, სალეწი, სარწყავი იარაღები—გლეხობა თანდათან ეჩვევა მათ გამოყენებას. შედარებით უფრო ძნელი შესაჩვევია ტრაქტორის მართვა, რომლებიც უმთავრესად დაკისრებული აქვთ სპეციალურ კურს გავლილ ახალგაზრდებს.

სამწუხაროთ ამ ახალგაზრდებს შორის საგრძნობი ნაწილი მოხერხებულად ვერ ხმარობს მანქანას და ხშირად აფუჭებს მას. მანქანის რომელიმე ნაწილის გაფუჭება იწვევს მისი მუშაობის სრულ შეჩერებას. ამით დიდათ ზარალობს ან საკრედიტო, და ან სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა, რომელსაც ძვირფასად შეძენილი აქვს მანქანა. ხშირია აგრეთვე სხვა გაუმჯობესებულ მანქანების მოშლა - გაფუჭება. ჩვენებური ზეინკლები ვერ ახერხებენ მათს შეკეთებას. ამიტომ სიღნაღის და გორის სამაზრო აღმასკომებს გადაწყვეტილი აქვთ მიმდინარე წელს გახსნან სასოფლო - სამეურნეო იარაღების შესაკეთებელი სახელოსნოები. სადაც სამუშაოდ მოწვეულნი იქნებიან კვალიფიციური ხელოსნები. სახელოსნოები მოეწყობა გორში და წნორის წყალზე. გორის სამაზრო აღმასკომს მიმდინარე ბიუჯეტში შეტანილი აქვს სახელოსნოს ასაგები ხარჯთ-აღრიცხვა.

კოოპერაცია

შეთანხმებული გამოსვლა ბაზარზე

ა.-კავკასიის წარმომადგენლობამ მოსკოვში მიაქცია ა.-კ. რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოების ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ მოსკოვის ბაზარზე გამოდიან ა.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახელით ისეთი პირები, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს უკანასკნელთან. ამასთანავე ხშირია შემთხვევა, როცა თვითეულ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ცენტრები და ცალკე ორგანიზაციები სარგებლობენ დამოუკიდებელ წარმომადგენლობის უფლებებით.

ამ საკითხზე იქონია მსჯელობა საქართველოს კოოპერატიულმა საბჭომ და სავსებით მიზანშეწონილად სცნო, რათა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ისეთივე ხასიათის გაერთიანებული წარმომადგენლობის საშუალებით მუშაობდეს მოსკოვის ბაზარზე, როგორც ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაცია.

საბჭომ ამასთანავე საქმისათვის სასარგებლოდ სცნო, რომ ა.-კ. ცალკე რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, გაერთიანებულ წარმომადგენლობაში ჰყავდეს თავისი ცალკე წარმომადგენელი, ვინაიდან შემჩნეულია, რომ მოსკოვის ბაზარზე გამოდიან არა მხოლოდ ცალკე წარმომადგენლები, ცალკე რესპუბლიკანურ სასოფ.-სამ. კოოპერატიულ ცენტრებისა, არამედ მათი მოკავშირე ძირითადი ორგანიზაციებიც, ამიტომ კოოპერატიულმა საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ კავშირებს მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ არანორმალურ მოვლენის აღმოსაფხვრელად.

გრეხილი ავეჯეულობა

გრეხილი ავეჯეულობის მასიურ დამზადებას ამჟამად აწარმოებენ თბილისის, ბათომის და ცხინვალის ფაბრიკები, რომელთა ნაწარმოები საღდება ადგილობრივ ბაზარზე და აგრეთვე იგზავნება სარეალიზაციოდ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკებს შორის ყველაზე ახალი არის ცხინვალის ფაბრიკა, რომლის ნაყოფიერებაც ზემოხსენებულ ფაბრიკებთან შედარებით ნაკლებია. ყოველდღიურად ცხინვალის ფაბრიკა ამზადებს თოთხმეტ ცალს ვენურ სკამს, რომელნიც განირჩევიან თავისი სილამაზით და გამძლეობით. ფაბრიკის სადურგლო მოწყობილობა ამზადებს სხვადასხვა ავეჯებს.

ცხინვალის ფაბრიკა სავსებით აკმაყოფილებს ადგილობრივ საჭიროებას და ნაწილს თავისი ნაწარმოებებისას გზავნის რუსეთის ქალაქებში, უმთავრესად ოდესაში, სადაც ყოველთვიურად იგზავნება 10 დიუჟინი სხვადასხვა ავეჯეულობის აუწყობელი ნაწილები. მიმდინარე თვის დამლევს ფაბრიკას განზრახვა აქვს აგრეთვე გაგზავნოს 20 დიუჟინი სხვადასხვა ავეჯის ნაწილების პირველი პარტია.

ფაბრიკის ნედლ მასალას წარმოადგენს ოსეთის სატყეო აგარაკებში დამზადებული წიფლის ხე; ფაბრიკას ამჟამად უკვე მომარაგებული აქვს რამოდენიმე წლის საყოფი საუკეთესო ღირსების ნედლი მასალა (წიფლის ხე). მიმდინარე წლისათვის გადაწყვეტილია ფაბრიკის გაფართოება.

ამ მიზნით ფაბრიკასთან იხსნება საფაბრიკო სკოლა, სადაც კვალიფიციური მუშა - ხელის — დურგლების მოსამზადებლად მოწვეულნი იქნებიან უპატრონო და ობოლი მოზარდები.

ზაჰესი

ზაჰესკომის ცნობით, 15 დეკემბრისათვის სავსებით მზად იქნება ზაჰესის მთავარი სადგურის 2 ტურბინი, რომლებიც ამ დროისათვის ამუშავდება გენერატორების გასაშრობათ. ეს იქნება პირველი სინათლე მიღებული ზაჰესიდან. გენერატორების გამოცდა გასტანს რამოდენიმე დღეს. 5 იანვარს ზაჰესი მთლიანად ამუშავდება და ქალაქი თანდათანობით მიიღებს ელექტრო-ენერგიას. ეს იქნება ზაჰესის საცდელათ ამუშვება, რომელიც გასტანს ორ-სამ კვირას. ამ გამოცდის შემდეგ, მოხდება ზაჰესის საზეიმო გახსნა, რომელიც განზრახულია საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავზე.

პურის ცხობის მექანიზაცია

კოოპერატიულ ორგანიზაციებს გადაწყვეტილი აქვთ შემოიღონ ა.-კავკასიის და საქართველოს მთავარ ქალაქებში პურის ცხობის მექანიზაცია, რაც გამოიწვევს პურის ფასების დაკლებას.

დღემდე კოოპერატიულ ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს სავსებით პურის ბაზრის დაპყრობა. მაგ., თბილისის მუშკოოპი თავის ფურნეებში გამოცხობილი პურით აკმაყოფილებს მთელი ქალაქის მოთხოვნილების მხოლოდ 65 პროც., ბაქოს კოოპერაცია—მთელი მოთხოვნილების მხოლოდ 60 პროცენტს.

გარდა ამისა, შინაური წესით პურის ცხობა ძალიან ძვირი ჯდება და ხშირად ზარალს იძლევა.

ა.-კ. მთავარი ქალაქები უკვე შეტანილი არიან პურის ცხობის მექანიზაციის ხუთწლიან გეგმაში. 1926—27 წელს პურის მექანიკური საცხობი ქარხანა მოეწყობა თბილისსა, ბაქოსა და ერევანში; შემდეგში—ბათომში და ქუთაისში.

ყველაზე დიდი პურის მექანიკური საცხობი ქარხანა იქნება თბილისის და ბაქოს ქარხნები, რომელთაგან თვითეული გამოაცხობს ყოველდღიურად 5.000 ფუთ პურს.

სას.-სამ. პროდუქტები

(საუბარი საქ. სახ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობის გამგეობის წევრთან ალ. ჯაფარიძესთან)

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობამ მიმდინარე წელს საგრძნობლად გააფართოვა სას.-სამ. პროდუქტების დამზადების გეგმა.

იმის შესახებ, თუ როგორ სწარმოებს ამჟამად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება ჩვენში, საქარ. სახ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობის გამგეობის წევრმა ალ. ჯაფარიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

სას.-სამ. საექსპორტო პროდუქტების დამზადებას სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ წელს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებითაც, რომ ჩვენ შარშანდელი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში დიდი იყო მოთხოვნილება ჩვენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე—ღვინოზე, ხილზე, დაფნის ფოთოლზე და სხვა პროდუქტებზე.

ამის გამო, წლევანდელი დამზადების პროგრამა ჩვენ საგრძნობლად გავადიდეთ და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ საექსპორტო ხილისა და ღვინის დამზადებას. მიუხედავათ ძნელი პირობებისა, უნდა ითქვას, რომ ჩვენი სას.-სამეურნეო პროდუქტების დამზადების კამპანია წარმატებით მიმდინარეობს.

მიმდინარე საოპერაციო წელში ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა დაგვემზადებინა 150.000 ვედრო საექსპორტო ღვინო, 20.000 ფ. თხილი, 20.000 ფუთი ვაშლი და 10.000 ფუთი დაფნის ფოთოლი.

ღვინის დამზადებას ამჟამად ჩვენ ვაწარმოებთ კახეთსა და დასავლეთ საქართველოში. საექსპორტო ღვინის უდიდესი ნაწილი მზადდება დასავლეთ საქართველოში. ჯერ-ჯერობით მთელს საქართველოში დავამზადეთ 25-30 ათასი ვედრო ღვინო.

თხილის დამზადება წარმატებით სწარმოებს გურია-სამეგრელოში. ჯერ-ჯერობით დამზადებულია 5.000 ფუთი თხილი.

გორის მაზრაში დავამზადეთ 10.000 ფუთი ვაშლი. ამას გარდა ჩვენ ვაწარმოებთ ძველი ღვინის დამზადებას, უმთავრესად კახეთში. ჯერ-ჯერობით დავამზადეთ 12.000 ფუთი ძველი ღვინო.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი დიდის წარმატებით მიმდინარეობს. დამზადებულ პროდუქტებიდან გავიტანეთ უკვე 5.000 ფუთი ვაშლი, 4.000 ფუთი თხილი და 12.000 ფ. ძველი ღვინო.

წყალსადენი

თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება წელს შეუდგება წყალსადენის ქსელის გაფართოებას ქალაქში. წყალსადენები უმთავრესად გაყვანილი იქნება მუშათა უბნებში.

პირველ რიგში წყალსადენი გაყვანილი იქნება ნაძალადევში, დიდუბეში, ავლაბარში, საბურთალოზე და შემდეგ მუშათა სხვა რაიონებში სიგრძით 12 ვერსის მანძილზე.

ამჟამად სწარმოებს ადგილების დაგეგმვა და საჭირო მასალების დამზადება.

შაქრის წარმოება

ამას წინეთ უკრაინის შაქრის ტრესტის დავალებით საქართველოში ჩამოვიდა შაქრის მრეწველობის სპეციალისტი აგრონომი რიშარი, რომელიც გაემგზავრა გორის მაზრაში შაქრის წარმოების მოწყობისათვის საჭირო წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოთა ჩასატარებლად.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მოქ. რიშარმა განაცხადა შემდეგი:

— ჩემის აზრით აღმოსავლეთ-საქართველო და განსაკუთრებით გორის მაზრა საუკეთესო რაიონს წარმოადგენს შაქრის მრეწველობის დასაწყებად. მე დავათვალიერე გორის, ტირიფონის და სხვა რაიონები, სადაც კლიმატიური პირობები სავსებით გამოსადეგია შაქრის ჭარხლის მოსაშენებლად.

წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია. გორის რაიონში შაქრის ჭარხლით დათესილია 22 დესეტინა, ხოლო ტირიფონის ველზე 6 დესეტინა. ამას გარდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის წინადადებით, საცდელი მუშაობა ჩატარდება აგრეთვე მუხრანის მამულში. მე დავათვალიერე ჭარხლით დათესილი მიწის ნაკვეთები. აღმოჩნდა, რომ თესვა სწარმოებდა არაშესაფერისი წესით და უსისტემოდ. მიუხედავად ამისა, ჩემის გამოცდილებით შემიძლია დავასკვნა, რომ საქართველოში დათესილი ჭარხალი უფრო გამოსადეგი იქნება შაქრის წარმოებისათვის, ვიდრე უკრაინის.

ამას გარდა, როგორც მე გადმომცეს, გადაწყვეტილია მოეწყოს გორში ე. წ. პოლარიზაციული ლაბორატორია, სადაც მოახდენენ ჭარხლის ანალიზს და გამოარკვევენ იმას, თუ რამდენი შაქრის მიღება იქნება შესაძლებელი აქაური ჭარხლიდან.

შაქრის წარმოების დასაწყებად საჭირო ცდები საქართველოში გაგრძელდება ორი-სამი წელიწადი, რის შემდეგ ჩვენ უკვე დანამდვილებით გვეცოდინება, თუ რა პერსპექტივები ექნება შაქრის მრეწველობას თქვენს ქვეყანაში.

ხორცის ბაზარი

ზამთრის სეზონის დადგომის გამო გაიზარდა მოთხოვნილება ღორის ხორცზე და შემცირდა მოთხოვნილება ცხვრის ხორცზე. რათა ბაზარი უზრუნველყოფილ იქნეს ღორის ხორცით საზ-ბა „მწყემს"-ს შემუშავებული აქვს გეგმა, რომლის თანახმად მან თბილისის ბაზარს უნდა მიაწოდოს საჭირო ღორის ხორცის 60 პროც.

ამისათვის „მწყემსმა" სამეგრელოს და სამურზაყანოს რაიონებში მოაწყო ღორის ხორცის დამზადების საქმე, ადგილობრივ სამომხმარებლო კოოპერატივებთან სათანადო ხელშეკრულების დადებით.

საქონელი აფხაზეთში და სამეგრელოში ბლომადაა. წელს ღორის ხორცი, როგორც სჩანს, მოსკოვში არ იქნება გატანილი და მოსალოდნელია ფასების დაწევა.

ღორის ხორცის დასამზადებლად „მწყემს"-ს ადგილობრივ დანიშნული ჰყავს სპეციალური რწმუნებულები. როგორც მათგან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, იქ უკვე დაუკლია ფასები ღორზე. თუ პირველ ხანებში ფუთი ღორის ხორცი ფასობდა 9 მან., ეხლა ფასობს 8 მან.—7 მან. 50 კაპ.

ამჟამად „მწყემს"-ს იმდენი რაოდენობით მოეპოვება ღორის ხორცი, რომ იგი აწვდის მას თბილისის ყველა კოოპერატივებს.

ხილის ექსპორტი

აჭარისტანის მეხილეობის რაიონებში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საექსპორტო ხილის დამზადება. ნოემბრის შუა რიცხვებში საკრედიტო კოოპერატიულმა ამხანაგობებმა საექსპორტო ხილის ჩასალაგებლად გლეხებს დაურიგეს 50.000 ყუთი. წელს ხილის მთავარ დამამზადებლად გამოდის აჭარისტანის წარმოკავშირი. ამ კოოპერატიულ ორგანიზაციის ცნობით წელს სასოფლო - მეურნეობის დიდი ნაწილის. თითქმის მთელი 100% დამზადებას კისრულობენ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები.

აჭარისტანის წარმოკავშირმა უკვე გაგზავნა საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მანდარინების პირველი პარტია. ნოემბრის 20-მდე დამზადებ.-ია და სარეალიზაციოთ გაგზავნილია ერთი მილიონი ცალი მანდარინი, კავშირის მიერ გამომუშავებული ხილის შესყიდვის გეგმის მიხედვით ამ სეზონში შესყიდული უნდა იქნეს 60 ვაგონი ე. ი. 6.000.000 ცალი მანდარინი, 30 ვაგონი სავადასხვა ხილი და ხუთი ათასი ფუთი თხილი.

ქუთაის-წყალტუბოს გზა

როგორც მკითხველებმა იციან, საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით ინჟ. ბ. ჰიჭინაძის თავმჯდომარეობით შედგენილი იყო სპეციალური კომისია ქუთაის-წყალტუბოს გზატკეცილის გამოსაკვლევად. კომისია გაემგზავრა ადგილობრივ და მოახდინა გზატკეცილის ტექნიკური შემოწმება. შემოწმებით გამოირკვა, რომ გზატკეცილ. ტექნიკ. მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მხოლოდ საჭიროა ახლო ხანში წყალტუბოს ხიდის ნაპირების შემაგრება და გზის სანაპიროებზე არხების გაყვანა მთებიდან ჩამოსული წყლის გასაშვებად. ამას გარდა საჭიროა ზოგიერთ ნაშენთა შემაგრება. კომისიის დასკვნები გადაეცა სახკომსაბჭოს.

სარწყავი არხები

მიმდინარე თვის შუა რიცხვებში ხულოს რაიონში დამთავრდა სამი სარწყავი არხის გაყვანა. არხების საშუალო სიგრძე არ აღემატება ოთხ-ხუთ ვერსს. არხები გაყვანილია სათემო აღმასკომების მიერ შრომის ბეგარის წესით. არხების ხელოვნური ნაგებობები აშენებულია წყალთა მეურნეობის სამმართველოს ტექნიკური ძალებით და მისივე ხარჯით. ახალი არხები რწყავს სულ 500 დესეტინას. სარწყავი არხების დაუსახლებელ რაიონებში მომავალი წლის გაზაფხულზე გადმოსახლებულ იქნებიან უმიწო გლეხები.

ხულოს რაიონში დაიწყო მუშაობა მეოთხე ახალი არხის გასაყვანად.

არაპირდაპირი გადასახადი

საქართველოს და მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებში (სამხრეთ-ოსეთსა, აჭარისტანს და აფხაზეთში) 1925—26 წელში შემოვიდა არაპირდაპირი გადასახადები 10.077.328 მან. ეს შემოსავალი იყოფა შემდეგნაირად: საქართველოში და სამხრეთ-ოსეთში შემოვიდა — 8.414.686 მან. და 11 კაპ., აჭარისტანში—1.107.762 მან. და 55 კაპ. და აფხაზეთში—554.880 მან. და 13 კაპ. ამგვარად საქართველოზე სამხრეთ-ოსეთიანად მოდის 83,4%, აჭარაზე 11,1% და აფხაზეთზე 5,5%.

არაპირდაპირი გადასახადების შემოსავალი აქციზ დადებულ საგნების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: თამბაქოს აქციზი 3.811.051 მან. და 48 კაპ. შაქრის—2.665.369 მან. და 07 კაპ., სპირტის — 916.888 მან. და 52 კაპ., ნავთის ნაწარმოების—652.097 მან. და 68 კ. და ღვინის—609.205 მან. და 17 კ. 1924—25 წელთან შედარებით თვალსაჩინოთ გაიზარდა შაქრისა და თამბაქოს ნაწარმოების აქციზის შემოსავალი. ეს მომატება გამოიხატება შემდეგნაირად: თამბაქოს ნაწარმოებისა—1.129.647 მან. და 24 კ., შაქრისა—564.169 მან. და 30 კაპ., სპირტისა—433.908 მან. და 92 კ., ნავთის ნაწარმოებისა—133.328 მან. და 62 კაპ. და ღვინისა—42.787 მან. და 74 კაპ.

საქციზო შემოსავლის ზრდის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომლის სყიდვითი უნარიანობა ამ მიზეზით თვალსაჩინოთ გაიზარდა.

შაქრის აქციზის ზრდას ხელი შეუწყო მაზრების შაქრით დატვირთვამ და მისმა შეუწყვეტელმა მოწოდებამ.

რაც შეეხება ღვინის აქციზს, მისი ზრდა დაკავშირებულია ქალაქებში მოხმარების გაზრდასთან. სადაც მცხოვრებთა რიცხვი ძლიერ იზრდება.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის შესახებ შრომის საქმეების პროკურორმა საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან ამხ. ამიროვმა განაცხადა შემდეგი:

ამ რამოდენიმე დღის წინად თბილისში ადგილი ჰქონდა სამ უბედურ შემთხვევას: კატასტროფა ტრამვაის ხაზზე, მუშკოოპის ელექტრო - მანქანის და ელექტრო - მექანიკურ სახელოსნოს აფეთქება. უბედურ შემთხვევებთან ბრძოლაში დიდი ყურადღება ექცევა გამაფრთხილებელ ზომების მიღებას. ამ მიზნით, შრომის კომისარიატთან დაარსებულია ტექნიკური სექცია, რომლის მიზანია წარმოების პირობების ყოველმხრივ შესწავლა. სექცია ადევნებს აგრეთვე თვალყურს იმას, თუ რამდენად საშიშარია ესა თუ ის წარმოება უბედური შემთხვევების მხრივ.

სწარმოებს წარმოებათა დათვალიერება და მიღებულია სათანადო ღონისძიებანი მომხდარ უბედურ შემთხვევათა გამომწვევ მიზეზების შესასწავლად.

სათანადო ორგანოს მიერ გამოცემულია დეკრეტი, რომლითაც სახელმწიფო, საზოგადო და კერძო ორგანოები ვალდებულნი არიან ახალი წარმოების აგების დროს სათანადო გეგმა წარმოადგინონ შრომის კომისარიატის ტექნიკურ ინსპექციაში. ეს გარემოება გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რათა წარმოების აგების, ან კაპიტალური რემონტის დროს დაცულ იქნეს ჰიგიენის ყველა მოთხოვნილებანი. მანქანები დადგმული უნდა იქნეს გაუმჯობესებული ტექნიკის მიხედვით. უნდა ითქვას, რომ ეს მოთხოვნილებანი ცხოვრებაში მთლიანად არ ტარდება და წარმოების ადმინისტრაცია ცდილობს თავიდან აიცილოს შრომის კომისარიატის სანიტარულ - ტექნიკურ ინსპექციის მოთხოვნილებანი. წარმოების ადმინისტრაცია, რომელიც სერიოზულ ყურადღებას არ მიაქცევს ამ გარემოებას, პასუხისგებაში იქნება მიცემული, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე.

საერთოდ ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში წინანდელთან შედარებით, დაიკლო უბედურ შემთხვევათა რიცხვმა. პროკურატურის და ტექნიკური სექციის მიერ მიღებული იქნება სათანადო ღონისძიებანი უბედურ შემთხვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

სწავლის ფული

საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა გამოსცა დადგენილება სწავლის ფულის დაწესების შესახებ ყველა ტიპის სასწავლებლებისათვის.

ამ დადგენილების ძალით სწავლის ფულის გადასახადისაგან სავსებით განთავისუფლებულნი არიან ოთხწლედების გლეხთა ახალგაზრდობის, დაბალი საფეხურის სას.-სამეურნეო, საქარხნო-საფაბრიკო სკოლების მოწაფენი. სოფლის შვიდწლედებში სწავლის გადასახადისაგან განთავისუფლებულნი არიან სას.-სამ. გადასახადიდან განთავისუფლებულნი გლეხების შვილები. დანარჩენნი იხდიან შეძლებისდაგვარად 5 მანეთიდან—10 მანეთამდე. სრულიად განთავისუფლებულნი არიან სწავლის გადასახადისაგან: დაზღვეული უმუშევრები და მათი შვილები, სასოფ.-სამ. გადასახად. განთავისუფლებული გლეხები და მათი შვილები, წითელარმიელები, მუშა-მოსამსახურენი და მათ კმაყოფაზე მყოფნი შვილები, რომელთა ხელფასი თვიურად 35 მანეთს არ აღემატება. სტუდ. არა უმეტეს 35 მანეთი თვიური სტიპენდიით, პედაგოგიური შრომის პირნი და მათი შვილები, ისინი, ვინც 15 წლიწადამდე მასწავლებლად უმსახურიათ და ამჟამად სხვა სამსახურში იღებენ თვიურ ხელფასს არა უმეტეს 100 მანეთისა.

მოწაფენი სწავლის ფულის გადახდის მხრივ იყოფებიან 5 კატეგორიათ.

პირველი კატეგორ. სტუდენტთა მუშა-მოსამსახურენი და მათ კმაყ. მყ. შვილები 35-45 მან. ჯამაგირით, სტუდენტები 25—45 მ. თვ. სტიპენდიის, ინვალიდები—25-45 მან. თვ. დახმარებით, არა პედაგოგ. ასპარეზზე მოსამსახურე ყოფილი მასწავლებლები 15 წლის პედაგოგ. სტაჟით—100 მანეთის თვიურ ხელფასით) სწავლის ფული განისაზღვრება 10 მანეთით. ტექნიკუმის მოწაფეთა 6 მანეთით, შრომის სკოლის მე-2 საფეხურის I კონცენტრის ქალაქებში—4 მანეთით და ყველგან II კონცენტრის—6 მანეთით.

მეორე კატეგორიის სტუდენტები და მოწაფეები (რომელთა მშობლების ან მათი თვიური ჯამაგირი, სტიპენდია და მუდმივი დახმარება შეადგენს 45 მანეთიდან—300 მანეთამდე) იხდიან უმაღლეს სასწავლებლებში 12 მანეთიდან—200 მანეთამდე (წლიურად), ტექნიკუმებში და შრომის სკოლის მე-8 და მე-9 ჯგუფში 8 მანეთიდან—160 მანეთამდე, შრომის სკოლებს მე-5, მე-6 და მე-7 ჯგუფებში 6 მან.—120 მანეთამდე.

მესამე კატეგორიის სტუდენტები და მოწაფეები (გლეხები და მათი შვილები, რომელთა საცხოვრებელ წყაროს შეადგენს მხოლოდ სოფლის მეურნეობა) სწავლის ფულს იხდიან შეწერილ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მიხედვით უმ. სასწ.-ებში 12 მან.—120 მანეთამდე (წლიურად) ტექნიკუმებში და შრომის სკოლის II კონცენტრში—8 მან.—120 მანეთამდე, შრომის სკოლის პირველ კონცენტრში—6 მან.—120 მანეთამდე.

მეოთხე კატეგორიის სტუდენტები და მოწაფეები. (ხელოსნები და თავისუფალი პროფესიის პირები და მათ კმაყოფაზე მყოფნი შვილები) სწავლის ფულს იხდიან წლიური შემოსავლის მიხედვით: უმაღ. სასწ-ებში—18 მან.—360 მანეთამდე (წლიურად), ტექნიკუმებსა და შრომის სკოლის II კონცენტრში—12 მან.—240 მანეთამდე, შრომის სკოლების I კონცენტრში—9 მან.—180 მანეთამდე.

მეხუთე კატეგორიის სტუდენტები და მოწაფეები (ვაჭრები, მრეწველნი და მათი შვილები) სწავლის ფულს იხდიან წლიური შემოსავლის მიხედვით უმაღ. სასწ.-ში 24 მან.—480 მანეთამდე (წლიურად), ტექნიკუმებში და შრ. სკ. II კონცენტრში—18 მან.—414 მან., შრომ. სკოლ. I კონცენტრში—12 მან.—300 მანეთამდე.

სწავლის ფულის გადამხდელთა სია გამორკვეულ უნდა იქნეს სასწავლო წლის პირველი ნახევრისათვის არა უგვიანეს 15 დეკემბრის, ხოლო მეორე ნახევრისათვის არა უგვიანეს პირველი მარტისა.

მე-2, მე-3, მე-4, მე-5 კატეგორიის გადამხდელთა მიერ სწავლის ფული შეტანილი უნდა იქნეს სასწავლო წლის პირველი ნახევრისათვის არა უგვიანეს 25 დეკემბრისა, ხოლო მეორე ნახევრისათვის არა უგვიანეს 15 მარტისა, პირველ კატეგორიის გადამხდელთა მიერ სამს ვადაზე—არა უგვიანეს 25 დეკემბრისა, 15 მარტისა და 15 აპრილისა.

განათლება

რევოლიუციის მუზეუმში

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, რევოლიუციის მუზეუმის დირექტორი ამხ. ლადო დუმბაძე, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულია თავის მოვალეობიდან. მუზეუმის დირექტორად დაინიშნა ამხ. ბარონ ბიბინეიშვილი, სახელგამის გამგის თანაშემწეობაზე დატოვებით.

სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი

პროფგანათლების მთავარ მმართველობის კოლეგიის დადგენილებით სოფ. გორდაში (ქუთაისის მაზრა) გაიხსნა სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ამ სკოლის საჭიროებისათვის განათლების კომისარიატის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასცა 15.000 მან.

კაბინეტები

პროფ. განათლების მთავარ-მმართველობამ გადასწყვიტა მაზრებისათვის შეიძინოს 5 ფიზიკური კაბინეტი. კაბინეტი შეძენილი იქნება ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიურ ტექნიკუმისათვის, კულაშის სას. - სამეურნეო, ზუგდიდის სას.-სამეურნეო და ოზურგეთის პედაგოგიურ ტექნიკუმებისათვის. კაბინეტების შესაძენად გადადებულია 20.000 მანეთი.

ახალი ტექნიკუმები

პროფ. განათლების მთავარმა სამმართველომ დაადგინა: მომავალი სამოსწავლო წლის დამდეგიდან გახსნას საქართველოში მთელი რიგი სპეციალურ სასწავლებლებისა, სახელდობრ: საფეიქრო ტექნიკუმი თბილისში, ან ქუთაისში საზღვაო მექანიკის ტექნიკუმი ფოთში; სატყეო [illegible], სამთო და ხიმიკო-საფარმაციო ტექნიკუმები, ამ სპეციალური სასწავლებლების გახსნა გამოწვეულია საქართველოს მრეწველობის განვითარებით და მთელი რიგი ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების გახსნით, რისთვისაც აუცილებლად საჭიროა მომზადებული კვალიფიციური სპეციალისტები.

პროფგანათლების სამმართველო უკვე შეუდგა ახალი ტექნიკუმების პროგრამების და დებულებების გამომუშავებას.

სკოლები აჭარისტანში

აჭარისტანის ავტონომიური ოლქში წელს რეგულიარული მეცადინეობა სწარმოებს სულ 265 სკოლაში. აქედან პირველი და მეორე საფეხურის სკოლა არის 127, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა 138.

წელს აჭარისტანში პირველად გაიხსნა ერთად ერთი აგრონომიული ტეხნიკუმი, რომელიც ამზადებს აგრონომ სპეციალისტებს სასოფლო მეურნეობის ყველა დარგებისათვის. ამჟამად ტეხნიკუმში სწავლობს 80 აჭარელი სტუდენტი. პრაქტიკული მუშაობისათვის ტეხნიკუმს გადაცემული აქვს მამული. წელს განზრახული იყო აგრეთვე სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმის გახსნა, მაგრამ შესაფერისი მოწყობილობის უქონლობის და მასწავლებელთა შტატის შეუვსებლობის გამო ზემოხსენებული ტეხნიკუმის გახსნა გადაიდო მომავალი 1927—28 სამოსწავლო წლის დამდეგისათვის.

მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში ჩატარდება ბათომის ყველა ტიპის სკოლების შენობათა შეკეთება რისთვისაც გადადებულია 28.591 მანეთი.

სას.-სამ. განათლება

საქართველოს საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე გაირჩა საკითხი სპეციალური ანარიცხების დაწესების შესახებ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების გახსნის შესახებ.

ვინაიდან უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს ესაჭიროება დახმარება ლაბორატორიების და ბიბლიოთეკების მოსაწყობად და აგრეთვე დახმარება ესაჭიროება ამ სასწავლებლის სტუდენტობას, რომლებიც გლეხების წრიდან არიან გამოსული, საგეგმო კომისიამ დაადგინა დაწესებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამსაღებელ ყველა ორგანიზაციების (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) ბრუნვაზე ანარიცხი 0,13 პროც. რაოდენობით ამ სასწავლებლების სასარგებლოდ.

სტუდენტთა ბიუროში

სრულიად საქართველოს კონფერენცია

მიმდინარე წლის 3 დეკემბრისათვის თბილისში მოწვეულია პროლეტარულ სტუდენტების სრულიად საქართველოს კონფერენცია, რომელსაც დაესწრება 450 დელეგატი (4.500 წევრიდან). კონფერენცია გაიმართება საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.

კონფერენციას დაესწრება საბჭოთა კავშირის პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს წარმომადგენელი.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ცენტრალურ ბიუროს ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ, განათლების სახალხო კომისარის მოხსენება და დელეგატების არჩევა პროლეტარულ სტუდენტობის სრულიად საკავშირო კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულია მოსკოვში 5 იანვრისათვის.

ახალი სასადილო

სტუდენტთა ახალი სასადილო ამ დღეებში გადადის ახალ ბინაზე, ოლღას ქუჩა, კოოპერატივ „მდელოსი"-ს ყოფ. კანტორა.

სანატორიუმებში

ქობულეთი

სანატორიუმ-მკურნალობის საზამთრო სეზონი ქობულეთში დაიწყო პირველ ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე საქართველოს სოციალურ დაზღვევის სამმართველოს მიერ ქობულეთის სანატორიუმებში სამკურნალოდ გაგზავნილია 60 პირველი და მეორე სტადიის ჭლექით დაავადებული ავადმყოფი. მკურნალობის ვადად თვითეულ ავადმყოფისათვის დაწესებულია თვე ნახევარი. საქართველოს სოციალური დაზღვევის სამმართველოს მიერ გაგზავნილ ავადმყოფთა შორის სჭარბობენ თამბაქოს წარმოებისა და სამთამადნო მრეწველობის მუშები.

სოხუმი

აფხაზეთის ყველა სანატორიუმები უკვე გავსებულია ავადმყოფებით. უმრავლესობას შეადგენენ მუშები. გულრიპშის წითელი სანატორიუმის შენობაში ერთი თავისუფალი ადგილიც არ არის. 15 ნოემბერს გაიხსნა სანატორიული მკურნალობა გულრიპშის თეთრ სასახლეში. პირველ დეკემბრისათვის გაიხსნება „ექიმ პოლუგოროდნიკოვის" სელიჩების სანატორიუმი რომელიც ამჟამად ემზადება სანატორიული მკურნალობის დასაწყებად. ნოემბრის დამდეგიდან აფხაზეთის ყველა აგარაკებზე დგას მზიანი ულრუბლო და თბილი დარები. ზღვა მეტ წილად დამშვიდებულია. ყოველდღიურად აფხაზეთის სამკურნალო აგარაკებზე გემით მოდის 10—15 ავადმყოფი, გაგრის სანატორიუმებში ავადმყოფთა რიცხვი 130 აღემატება.

უმუშევრობა

1925-26 წლის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი ამიერ-კავკასიაში საგრძნობლად გაიზარდა; თუ 1925 წლის 1 ოქტომბერს ა.-კ. რესპუბლიკებში აღრიცხული იყო 30.633 უმუშევარი, 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის ეს რიცხვი ავიდა 43.691-მდე, ე. ი. უმუშევრობამ 42,5 პროც. იმატა. ამიერ-კავკასიის მთავარ ქალაქებში—თბილისსა, ბაქოსა და ერევანში უმუშევართა რაოდენობა უდრის 32.232 კაცს, აქედან კვალიფიციური მუშაა—6.396; ნახევრად კვალიფიციური—5.739 და უკვალიფიკაციო—20.027.

ცალკე რესპუბლიკებს შორის ყველაზე მეტად უმუშევრობა იზრდება აზერბეიჯანში, სადაც ერთი წლის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი 182,3 პროც. გაიდიდა.

უმუშევრობის ასეთი სწრაფი ზრდის მიზეზი არის, ერთი მხრივ,—ა.-კ. სოფლებიდან სამუშაოების საშოვრად ჩამოსული გლეხობა და, მეორე მხრივ—უმუშევრების მოზღვავება რ. ს. ფ. ს. რ. და საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებიდან.

ბირჟაზე აღურიცხავად მიდიან უმთავრესად კვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური მუშები, რომელთა შორის არიან დიდი კვალიფიკაციის მუშებიც, მაგრამ მათი შრომის და ცოდნის გამოყენება მოუხერხებელი ხდება, რადგან ჩვენში მათი პროფესიის შესაფერი წარმოება არ არის. რუსეთიდან ჩამოსულ მუშებს იმედი აქვთ უმთავრესად ბაქოს ნავთის მრეწველობის, მაგრამ ნავთის მრეწველობას, სადაც თანდათანობით ტარდება მექანიზაცია, ჰყავს თავისი განსაზღვრული კონტიგენტი, რომელიც უმუშევრებით ვერ შეივსება.

შრომის სახ. კომისარიატები უმუშევრობის შესანელებლად წელს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ უმუშევართა სისტემატიური დახმარების, საზოგადოებრივ და სასოფლო მეურნეობის სასეზონო სამუშაოების ორგანიზაციის და უმუშევართა გაგზავნის საქმის მოწყობას ისეთ რაიონებში, სადაც მოსახერხებელია მათი შრომის გამოყენება.

ხილის ექსპორტი

„ბაღბოსტანკავშირმა" ლენინგრადის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირს ჩააბარა 10.000 ფ. ვაშლის ჩირი, რომელიც დამზადებული იქნა ორპირის ამხ-ბა „ვაშლი"-ს, ამხ-ბა „მერეთი"-ს და ფხვენისის ამხ-ბა „იმედი"-ს საშუალებით.

დადებულია ხელშეკრულება საზოგადოებ „რუსტორგთან" 100.000 მანეთის ვაშლის ჩაბარების შესახებ, საზღვარ გარედ გასატანად. ვაშლის დამზადება უკვე დაიწყო.

გორის მაზრაში ხილის დამზადების საქმე წარმატებით მიმდინარეობს, თუ რამე სტიქიურმა მოვლენამ ხელი არ შეუშალა.

„ბაღბოსტანკავშირი"-ს ბაქოს განყოფილებაში დიდძალი ხილი გზავნება საკომისიო-სარეალიზაციოდ, როგორც ამხანაგობების, ისე გლეხების მიერ. ბაქოს ბაზრის ფასები ხილზე დამაკმაყოფილებელია.

ბოთლების ქარხანა

საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის წინადადებით საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამუშავა საქართველოში ახალი ბოთლების ქარხნის გეგმა, რომლის მიხედვით აგებული უნდა იქნეს ქარხანა, რომელიც დააკმაყოფილებს მთელ ამიერ-კავკასიის მოთხოვნილებას. ყველაზე შესაფერ ადგილათ ქარხნის ასაგებად სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭომ სცნო ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ლაშე, რომელიც მდებარეობს ხარაგოულსა და ძირულას შუა; ამ ადგილას მოიპოვება დიდი ძალი კვარცის ქვიშა; იქვეა ცარცის მადნები, სატყეო მასალა, კირი და საამშენებლო მუშაობისათვის საჭირო სხვა მასალები. გლაუბერის მარილი, რომელიც აუცილებელია შუშის დასამზადებლად, მოტანილი იქნება მუხროვანიდან (თბილისის ახლო), ხოლო ნახშირი ტყიბულის მაღაროებიდან.

ს. მ. უ. ს. გამოანგარიშებით ამიერ-კავკასია წლიურად საჭიროებს სულ 45.000.000 ცალ ბოთლს, აქედან სომხეთს და აზერბეიჯანს ესაჭიროება 20.000.000, საქართველოს მეღვინეობას, 10.000.000, ბორჯომის მინერალურ წყლებს 10.000.000 და საქართველოს სახელმწიფო სპირტის წარმოებას 5.000.000. ამგვარად ბაზრის მხრივ ქარხნის ნაწარმოებები სავსებით უზრუნველყოფილია.

ს. მ. უ. ს. განზრახვა აქვს ააგოს ამერიკულ ტიპის ქარხანა.

კრედიტი

ამიერ-კავკასიის სასოფ. - სამეურნეო ბანკის გამგეობამ დაამტკიცა, რესპუბლიკანურ ბანკებზე 1926-27 წლის პირველ მეოთხედში განაწილებულ კრედიტის გეგმა—960.000 მან. რაოდენობით. აქედან—27.300 მან. უნდა გაიცეს გრძელვადიან სესხის სახით და 687.000 მან. მოკლევადიან სესხის სახით. რესპუბლიკანურ ბანკებზე კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკს—389.000 მან., აფხაზეთის ბანკს—43.000 მან., აზერბეიჯანის ბანკს—302.000 მან., ნახიჩევანის—34.000 მან, და სომხეთისას—192,000 მანეთი.

მარილი

მარილის შემოზიდვა ამიერ-კავკასიაში მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში დაუბრკოლებლივ სწარმოებდა, საბჭოთა კავშირიდან შემოიზიდა ა.-კავკასიაში სულ 151 ათასი ფუთი ყირიმის მარილი. აქედან საქართველოში შემოიზიდა 10 ათასი ფუთი მარილი, ხოლო აზერბეიჯანში 141 ათასი ფუთი მარილი.

გარდა ამისა, ადგილობრივ მარილით მომარაგება ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებისა საკმაო ტემპით მიმდინარეობდა. მარტო ოქტომბრის თვის განმავლობაში საქართველოში შემოიზიდა 38.000 ფუთი ადგილობრივი მარილი, სომხეთში 72,000 ფ., ხოლო აზერბეიჯანში 35.000 ფ. მარილი. მარილის შემოზიდვა შეუფერხებლად სწარმოებს ნოემბერშიც.

ქრონიკა

შუშეულობის წარმოება

ს. მ. უ. საბჭომ შეიმუშავა საკავშირო ს. მ. უ. ს. მიერ შუშეულობის საქმის წარმოების დასაწყებად გადადებული ხუთი ათასი მანეთის დახარჯვის გეგმა.

აღნიშნული თანხიდან 1.000 მანეთი გადადებულია სპეციალისტის მოსაწვევად და ქარხნის ადგილის ამოსარჩევად, 900 მანეთი ქვიშის ქვა-კირის და ცარცის ანალიზების მოსახდენად 1.500 მანეთი ხელით სახალი საცდელ-გამოსაწვევათ და 1.600 მანეთი ქარხნის ასაგებ დამატებითი პროექტის შესამუშავებლად.

სამთო მადნეულობათა გამოკვლევა

საქართველოს ს. მ. უ. საბჭომ დაადგინა მოახდინოს გამოკვლევა ახალქალაქის მაზრის სამთო-მადნო სიმდიდრეებისა. ეს პირველი გამოკვლევა დიდით მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი სამთო-მადნო მრეწველობის და ჩვენი ქვეყნის სამთო-მადნო სიმდიდრეების შესასწავლად. გამოკვლევა დაიწყება მომავალ წელ ში.

საინჟინერო ბიუროს მოწყობა

24 ნოემბერს საღამოს ქიმიკოსთა კავშირის ბინაზე შესდგა თბილისის საინჟინერო სატეხნიკო ძალთა საერთო კრება, რომელზედაც ამორჩეული იქნა მუდმივი საინჟინერო ბიურო.

ბიუროს თავმჯდომარეთ სხდომამ ამოირჩია ინჟინერ-ქიმიკოსი დევდარიანი, ხოლო მუდმივ მდივნად ამხ. გელბუხი.

განსახკომის კომისია

გუშინ სომხეთში გაემგზავრა საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის კომისია.

კომისიის მიზანია გამოიკვლიოს მიწისძვრისაგან დანგრეულ სკოლების რაოდენობა და მათი მდგომარეობა.

ა.-კ. ცაკში

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: რადგან ამხ. ბაგდატიევი დაინიშნა ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის წარმომადგენლათ საბჭოთა კავშირის მთავარ ტეხნიკურ კომიტეტში, საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის რწმუნებულის თანამდებობაზე ამიერ-კავკასიაში წარადგინოს ამხ. ეპიფანე კვანტალიანი.

დანიშვნა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსად დაინიშნა მ. წერეთელი, მოადგილეთ—შ. მელაძე.

თბ. ალმასკომში

◆ მტკვრის ნაპირების გამაგრება. კომუნალურ სექციას დასამუშავებლად გადაეცა მტკვრის ნაპირების გამაგრების საკითხი.

◆ მაზრის სამაზრო მილიციის საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად გადადებულია 1.430 მან.

◆ ქუჩების სახელწოდებათა გადასასინჯათ ამჟამად მუშაობს სპეციალური კომისია ქურდიანის, ხმალაძის და შ. გომართელის შემადგენლობით.

◆ ვაჭრობის აკრძალვა. აკრძალულია „ტაჩკებით" და თაბახებით ვაჭრობა იმ ქუჩებში, სადაც დიდი მოძრაობაა.

◆ მოძრავი სახელოსნო. მაზრაში სას.- სამ. იარაღ-მანქანების შესაკეთებლად ალმასკომი აწყობს მოძრავ სახელოსნოებს.

◆ ნაგვის საწვავი. წელს ქალაქის უმთავრეს უბნებში მოეწყობა ნაგვის საწვავი ქურები.

◆ ქუჩების მოსარწყავათ შეძენილია 2 ავტომობილი.

საბინაო მშენებლობა

◆ სახლის აგება. დაარსდა საბინაო-საამშენებლო კოოპერატიული ამხ-ბა „შრომა", რომელიც ყოფ. ანასტასიას ქუჩაზე აგებს სამსართულიან სახლს.

◆ საბინაო კოოპერატივი. დამხმარე კომიტეტის ცნობით ამჟამად თბილისში ითვლება 208 საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხ-ბა.

ახალი სკოლები

◆ მესაქონლეობა-მერძეობის სკოლა. განათლების კომისარიატმა სენაკში გახსნა მესაქონლეობა-მერძეობის სკოლა.

◆ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას განათლების კომისარიატი აწყობს სოფ. კოხნარში (ქუთ. მაზ.) დახურულ სამ. სპეციალურ სასწავლებლის ნაცვლად.

◆ სუბტროპიკული მცენარეების სპეციალური სასწავლებელი გაიხსნება ახლო ხანში ოზურგეთში.

◆ მევენახეობა-მეღვინეობის სკოლა. განათლების კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე არგვეთის (შორაპნის მაზ.) სახალხო მამულის დათმობის შესახებ მასში მევენახეობა-მეღვინეობის სკოლის გასახსნელად.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ ექიმები. ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით, საქართველოს მაზრებში ამჟამად საჭიროა 75 ექიმი.

◆ ახალი ექიმები. მაზრებში 1 ოქტომბრამდე დაიგზავნა 82 ახალი ექიმი.

სხვადასხვა

◆ ექსკურსია ზედაზენში და ზაჰესში. საქართველოს გეოგრაფიული საზ-ბის მთასვლა-მგზავრობის განყოფილება მართავს ექსკურსიას შემდეგი სვლიგზით: თბილისი-ავჭალა-ზედაზენის მონასტერი-ზაჰესი-თბილისი. გასვლა დანიშნულია ფოთის მატარებლით შაბათს, 27-ს საღამოს 8 საათზე და 40 წუთზე, დაბრუნება კვირას საღამოს 8 საათზე. წამსვლელები იკრიბებიან რკ. გზის სადგურზე შაბათს არა უგვიანეს 8 საათისა.

◆ საკავშირო აღწერაში მონაწილეობის მიმღებთა სია გამოქვეყნდება 1 დეკემბერს.

◆ ტყე. თბილისის მიდამოებში ტყის გასაშენებლად ყირიმიდან მიღებული იქნა 1 ფუთი ყირიმის ფიჭვის თესლი.

◆ ქალაქების გამოკვლევა. ახლო მომავალში დაიწყება მთელ რესპუბლიკაში ქალაქების სანიტარული გამოკვლევა.

◆ პროფკურსების გახსნა. განათლების მუშაკთა კავშ. მიერ მოწყობილი პროფაქტივის მოსამზადებელი კურსები გაიხსნება შაბათს 27 ნოემბერს სალ. 6 საათზე (პლეხანოვის გამ. № 166). ლექტორად მოწვეულია ამხ. ფანცხავა.

კრებები და მოხსენებები

◆ საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში. კვირას, 28 ნოემბერს, დღის 12 საათზე თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ., № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟინერი ი. ყიფშიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ამიერ-კავკასიის სამთო მრეწველობა". დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ.

მონადირეთა კავშირში

თოფების შეძენა

მონადირეთა კავშირის გამგეობამ გერმანიაში შეიძინა 42 თოფი კავშირის ღარიბ წევრთათვის, რომელთა თოფის ფასი ნაწილ-ნაწილ გადახდებათ.

ტრადიციული საღამო

6 დეკემბერს მონადირეთა კავშირის საბჭო მართავს „ქიმერიონში" თავის ტრადიციულ საღამოს. საღამოზე მოტანილი იქნება დახოცილი ნადირები.

მაძებრების მოშენება

მონადირეთა კავშირმა დაურიგა პროვინციის განყოფილებებს ჯიშიანი მადევარი და მაძებარი ძაღლები. კავშირს გადაწყვეტილი აქვს შეუდგეს იშვიათ ჯიშების ძაღლების მოშენებას.

ჯილდოების გაცემა

კავშირი შეუდგა სანადირო ველების მცველთა დაჯილდოებას, რომლებიც აღმოაჩენენ ბრაკონიერებს.

1.000 მან. გამოტყუება

გუშინწინ სოფ. ხოვლეს (გორის მაზრ.) კოოპერატივის გამგე დიმიტრი გოგინაშვილი, რომელიც თბილისში მანუფაქტურის საყიდლათ ჩამოვიდა, შევიდა საფეიქრო სინდიკატში და საქონელს ათვალიერებდა. საერთო წესის მიხედვით, გამგემ უთხრა გოგინაშვილს, რომ მას მანუფაქტურა მიეცემოდა მხოლოდ განსაკუთრებული რაოდენობით. გოგინაშვილმა სთხოვა გამგეს მიეცა რამოდენიმე ათასი მანეთის საქონელი და თანაც აღნიშნავდა, რომ მას საკმაო თანხა გააჩნია. ამ ლაპარაკს უსმენდა ვიღაც მესამე პირი. გოგინაშვილი, რომ მაღაზიიდან გამოვიდა, უცნობი დაეწია მას და აღუთქვა, რომ ერთ-ერთი დაწესებულების საშუალებით იოლად საქონელს გამოატანიებდა მას სინდიკატიდან. გოგინაშვილი დასთანხმდა და შევიდნენ უცნობის მიერ ნაჩვენებ დაწესებულებაში. აფერისტმა გოგინაშვილს გამოართვა 1000 მანეთი მანუფაქტურის „შესაძენად". და შეუმჩნევლად მიიმალა.

შემთხვევები

◆ თავის მოწამვლა. 24 ნოემ. ღამით რომანიულ ნიადაგზე თავი მოიწამლა ვერა კარსევსკაიამ, რომელიც სასწრაფოდ გადაგზავნეს საავადმყოფოში.

◆ სტუმარის გაქურდვა. 24 ნოემბ. რტიშჩევის ქ. № 11 ანნა სავსოვასთან სტუმრათ მისულ მარიამ კოკარაშვილს მოჰპარეს 75 მან.

◆ ტრამვაის ქვეშ. ეორისს ქ. ტრამვაის რონოდა (№ 9) დაეჯახა მოქ. უსუპ აჯიევს და დააშავა რონოდას მმართავდა ვატმანი ტოკაშვილი.

◆ გუშინ საღამოს ცეცხლი გაუჩნდა მეხუთე უბნის ფინინსპექტორის კანტორას (კომინტერნის ქ. № 5) დაიწვა შკაფი, რომელშიაც იყო სხვადასხვა ქაღალდები. ოთახში ნაპოვნია ა გირვანქიანი ნავთის ჭურჭელი. ხანძარი ჩააქრეს.

ფიქრობენ რომ ცეცხლი განზრახ არის გაჩენილი.

◆ გამშველებლის დაშავება. ავტონოვის ქუჩაზე ქურთ მუშების ჩხუბის დროს კეტი დაჰკრეს და მძიმეთ დააშავეს გასაშველებლათ მისული მიხეილ აბრამოვი. მოჩხუბრები დაპატიმრებულია.

◆ ბოქლომის ავლეჯის საშუალებით კოჯრის ქ. გაქურდეს ტრანსფორმატორის ბუტკა.

◆ შეპყრობა. კირკის ქ. მოდარაჯე მილიციელმა ქურდობის ადგილზე შეიპყრო პეტრე ბრუნინი, გრიგორ კუსკინი და ნიკოლოზ კომენკო.

◆ ქურდობა. ყოფ. ანასტასიას ქ. № 131 24 ნოემბ. გაქურდეს კალენიკე დევდარიანის ბინა. წაიღეს 180 მან. ნივთები.

◆ ამავე დღეს სიონის ქ. № 13 გაქურდეს ოგანეზ ოგანეზოვის ბინა.

◆ ამავე დღეს გაქურდეს ეკატერინე თუმანოვის ბინა, საიდანაც წაიღეს სლებაეები და სამღებრო ხელსაწყოები.

დიდი ხანძარი

გუშინ, დღის 12 საათზე ხანძარი გაუჩნდა ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სამკურნალოს, რომელიც მდებარეობს პუშკინის ქუჩაზე. სამკურნალოში მოთავსებულია ვენერიული დისპანსერი და ამბულატორია.

ცეცხლი დაიწყო სახლის სახურავიდან, საიდანაც შემდეგ გადავიდა ჭერებზე.

ცეცხლი ერთბაშად მოედო მთელს სამკურნალოს. ჩქარა ამოვარდა დიდი ალი, რომელიც ემუქრებოდა ახლო-მდებარე სახლებს და სავაჭროებს.

ავადმყოფები პანიკამ შეიპყრო. სამკურნალოს თანამშრომლებს ხელსაწყოები გამოჰქონდათ ამბულატორიიდან, რომ გადაერჩინათ.

ცეცხლი პირველად შენიშნა მეეზოვემ, რომელმაც სასწრაფოდ ტელეფონით გამოიწვია ცეცხლის მქრობელი რაზმი. ერთი რაზმი უძლური გამოდგა საშინელ სტიქიასთან ბრძოლაში. სასწრაფოთ აცნობეს მეხანძრეთა ყველა რაზმებს.

ამის გამო მეორე რაზმის მოსაშველებლად გამოვიდა პირველი, მესამე და მეოთხე რაზმი. მათი ენერგიული მუშაობის წყალობით ცეცხლი ერთ საათში ჩაქრობილ იქნა.

ხანძარის ადგილზე აჟარებულმა ხალხმა მოიყარა თავი. წესრიგის დასაცავად გამოწვეული იქნა ჯარის ნაწილიც. ცხენოსანი მილიცია და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები რომლებმაც აგრეთვე მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ხანძრის ჩაქრობაში.

სამკურნალოს გვერდით მდებარე ბაზარზე ვაჭრობა დროებით შეწყდა.

ამ ხანძრის ჩაქრობის დროს პირველად გამოყენებული იქნა ცეცხლ სამქრობელი რაზმის ახალი დიდი კიბე.

სამკურნალოს მახლობლად წყლის ნაკლებობის გამო რაზმელები იძულებული იყვნენ წყალი წამოეღოთ წყალსადენის სადგურიდან.

ხანძრის დროს ნაწილობრივად დაიწვა შენობის ზემო სახურავი და ჭერები. დაზიანებულია და ჩამონგრეულია რამოდენიმე ოთახის კედლები.

დაზიანებულია აგრეთვე სამკურნალო კაბინეტი.

ხანძარით გამოწვეული ზარალი დაახლოებით უდრის 5 000—7.000 მანეთს.

ხანძრის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია.

ფიქრობენ, რომ ხანძარი გამოიწვია შენობის სახურავზე დაწყობილმა თივამ.

შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა თბილისის ცეცხლისმქრობელთა რაზმის ბრანდმაიორი ალ. ბერიძე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ცეცხლის ჩაქრობას.

შესდგა სპეციალური კომისია ხანძრის გაჩენის მიზეზების გამოსარკვევად.

რკინისგზებზე

მატარებლების მოხსნა

მიმოსვლის შემცირების გამო გამორიცხულია მოძრაობიდან მთელი რიგი სახალხო მატარებლებისა.

25 ნოემბრიდან მოხსნილია მატარებლები: № 16 და 15, რომლებიც დადიოდნენ თბილის-ხაშურს შორის; 28 ნოემბრიდან იხსნება მატარებლები № 50 და 51 თბილის-ხაშურს შორის, და განზრახულია მოიხსნას აგრეთვე (6 დეკემბრის შემდეგ) ჩქარი მატარებლები № 1 და 2 თბილის-მოსკოვს შორის.

დაჩქარებული მატარებლები

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს განზრახული აქვს დანიშნოს დღეგამოშვებით დაჩქარებული მატარებლები № 9 და 10 ბაქო-მოსკოვს შორის. აღნიშნული მატარებლები გაივლიან ვორონეჟში.

კომისიის ჩამოსვლა

მოსკოვიდან ჩამოვიდა კომისია, რომელიც მიზნად ისახავს საყინულეების ასაშენებელ ადგილების ამორჩევას. კომისიის თავმჯდომარეა გზათა მიმოსვლის კომისარიატის მთავარი ინსპექტორი ინჟ. დრეერი. კომისია გუშინ ჩამოვიდა თბილისში და ამავე დღეს გაემგზავრა ბათომში.

ბილეთები უმუშევარ რკინისგზელებს

ა.-კ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარემ ნება დართო, რათა ლენინაკანის რაიონში მიწისძვრისაგან დაზარალებულ რკინისგზელებს ლენინაკანიდან გასასვლელად მიეცეს ახამდე უფასოდ მგზავრობის ბილეთი.

ბრძოლა ნამქერებთან

ზამთრობით ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ხშირად აქვს ადგილი ნამქერების ჩამოწოლას ლიანდაგზე, რაც აფერხებს მატარებლების მიმოსვლას.

დიდ ნამქერების ჩამოწოლას ა.-კ. რკ. გზებზე ადგილი ჰქონდა შარშანწინ, როდესაც გზები სათანადოთ ვერ იყო დაცული და ამან ძალზე შეუშალა ხელი მატარებლების მოძრაობას.

გზების სალიანდაგო დარგი იღებს ზომებს ნამქერებთან საბრძოლველად. ჯერ კიდევ შარშან იქნა მომარაგებული საჭირო მასალები ფარების დასამზადებლად და მათ ყოველ ზამთრის პირზე აწყობენ ლიანდაგის ნაპირებზე.

წელსაც მიღებულია ზომები გზების დასაცავად მოსალოდნელ ნამქერებისაგან. ზოგიერთ ადგილებში, აზერბეიჯანის და სომხეთის გზებზე, უკვე მოწყობილია ფარები, ზოგან კი აწყობენ. ამასთანავე წელს ხელახლა შეკეთებულია თოვლის საწმენდი მანქანები.

სასამართლო

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ივანე ბაბაიანცს ხულიგნობისათვის მიუსაჯა 6 თვით გამასხლში დაპატიმრება.

ცოლის მკვლელი

(თედო ჩანგიშვილის საქმე)

გუშინ დღის 12 საათზე გაიხსნა სასამართლოს მორიგი სხდომა. უკანასკნელი სიტყვა მიეცა ბრალდებულს, რომელიც აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა თავისი ცოლი.

განაჩენი ,

ნაშუადღევის 4½ საათზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

სასამართლომ თედო ჩანგიშვილი დამნაშავეთ სცნო თავისი ცოლის ეკატერინას წინასწარი განზრახვით იჭვიანობის ნიადაგზე მოკვლაში, რისთვისაც მიუსაჯა მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

„მდელოს"-ში

ცხენების შეძენა

„მდელოსმა" შეიძინა და დაურიგა წევრებს 4 ცხენი. ამ დღეებში განზრახულია კიდევ 16 ცხენის შეძენა.

ჭიგობის დამზადება

„მდელოსი"-ს მიერ მიღებულია ზომები გაზაფხულისათვის 50.000 ცალი ჭიგობის დასამზადებლად.

იარაღების შეძენა

„მდელოსმა" მიიღო და ურიგებს წევრებს ბარებს, სამთითებს, ეკლიან მავთულებს, თოხებს და სხვა სასოფ.-სამ. იარაღებს.

ხელოვნება

კარმენ

(შემსრულებელთა ახალი შემადგენლობით)

გუშინ, 25 ნოემბერს დადგმულ „კარმენში" მთავარ როლს ვოლჩანეცკაია ასრულებდა. კარმენის პარტია უმთავრესად დრამატიულია და ამიტომ ახალგაზრდა მომღერალი - ქალის ხმა ვერ უდგება ამ პარტიის ვოკალურ მხარეს. ვოლჩანეცკაიას უდაო ნიჭი ხელს უწყობდა პარტიის მუსიკალურ შესრულებას.

არ შეიძლება ვოლჩანეცკაიას მოხდენილობის და ტემპერამენტის უარყოფა, რომელიც ალაგ-ალაგ უაღრესად გამომხატველია. უკეთესია მკითხაობის სცენა (მე-4 აქტი), გარეგნობის მხრივ ძალიან ლამაზია და სტილიური გრიმი.

დონ-ხოზეა — ქუმსიაშვილი. პირველ აქტში მსახიობი დებიუტანტის შთაბეჭდილებას სტოვებს, ეტყობა არ ჰქონდა დამუშავებული შესრულების დეტალები. მაგრამ უკვე მე-2 აქტიდან, მომღერალმა დაიჭირა თავი, გაქრა დებიუტანტი და აუდიტორიის წინაშე წარსდგა ხოზეს პარტიის შემსრულებელი სულ ახალი სახით. მშვენივრად, უნაკლოდ იქნა შესრულებული მეორე აქტის არია. აქ ქუმსიაშვილი შესრულებაში იჩენს დიდ მგრძნობიარობას და გულწრფელობას. კარგია მთელი მე-3 აქტი, დიალოგი ტორეადორთან და დრამატიული ფინალური სცენა. მაგრამ ყველაზე უკეთესია მე-4 აქტის სცენა კარმენთან და მისი მოკვლა. ევროპიული რეპერტუარის ახალი პარტიის შესრულებით, რომელიც სიმღერის გარდა მოითხოვს დრამატიულ თამაშს და დიალოგის ჩატარებას, ქუმსიაშვილმა სავსებით დაამტკიცა, რომ მას შესწევს ძალა ევროპიული საოპერო შემოქმედების რეპერტუარის შესასრულებლად მსახიობმა უფრო დეტალურად უნდა შეისწავლოს სცენა. ოპერის ყველა დრამატიული ადგილები, რომელსაც მსახიობი უტყუარი ალღოთი განიცდის, მოითხოვენ უფრო მეტს დამუშავებას.

დოლიძე (ტორეადორი) თავის ძლიერი ხმით ლამაზათ შეასრულა მეორე აქტის ეფექტიანი კუპლეტები.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს დაუდევრობას დადგმის მხრით; სრულიად გამოტოვებული იყო ბავშვების გუნდი პირველ მოქმედებაში. მშვენიერი კვარტეტი მეორე აქტში, და პოეტური ინტროდუქცია მესამე აქტის წინ.

ვ. ბ.

ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმში

ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი წელს გადაკეთებულია მუსიკალურ ტეხნიკუმათ. ტეხნიკუმში სწავლა უკვე განახლდა. ამჟამად ქუთაისის მუსიკალურ ტეხნიკუმში სწავლობს 236 მოწაფე. აქედან მიმდინარე სამოსწავლო წლის დამდეგს მიღებულია 100 მოწაფე. ახალ მიღებულთა შორის მეტ წილს წარმოადგენენ როიალის ჯგუფში მიღებული ახალგაზრდები, რომელთა რიცხვი 84 უდრის; სიმღერის ჯგუფში მიღებულია წელს სულ 8 ახალგაზრდა ვიოლინის ჯგუფში—8. სოციალური მდგომარეობის მიხედვით მიღებული მოწაფეები ასე ნაწილდებიან: მოსამსახურეთა შვილები—48 მუშების შვილები—5, თავისუფალი პროფესიის პირთა შვილები—4. დანარჩენ მოქალაქეთა შვილები—43. 236 მოწაფიდან სწავლის ფულის გადასახადიდან განთავისუფლებულია 78.

პროლეტარულ მწერალთა კავშირში

24 ნოემბერს ხელოვნების სასახლეში შესდგა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის სხდომა, სარევიზიო კომისიის თანდასწრებით. სხდომაზე გადახალისებულ იქნა ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოები. სხდომის დადგენილებით დაიხურა ჟურნალი „მერცხალი", მის ნაცვლად დეკემბრიდან გამოვა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო. სარედაქციო კოლეგიაში არჩეული არიან: გ. მუშიშვილი, ბ. ბუაჩიძე, შ. ნავთლუღელი, მაშაშვილი და დ. როსტელი. ასოციაციის დროებით პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ბ. ბუაჩიძე.

◆ თურქული წარმოდგენა. დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ „თავადი იგორი". დღეს პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება „თავადი იგორი".

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში რეცენზიაში „სინათლი"-ს დადგმის შესახებ შემთხვევით შეიპარა შემდეგი შეცდომა: სწერია „შეუდარებელია ძიძის როლში მს. ქ. ბეჟანიშვილი" უნდა იყოს მსახ. ქალი ჯავახიშვილი. „კარის კაცი (კახიძე") უნდა იყოს ლადიძე. „ჰამლეტი"-ს რეცენზიაში გორდეზიანის ნაცვლად უნდა იყოს გოძიაშვილი.

იურიდიული რჩევა

კანონიერია თუ არა კომმეურნეობის მოქმედება

კითხვა

ვცხოვრობ ქალაქ ოზურგეთში. ვარ ქვრივი. მყავს სამი შვილი (ვაჟები) 12, 14 და 17 წლის, მაქვს 1100 კვ. საჟენი მიწა. აქედან კომმეურნეობამ ჩამომართვა 600 კვ. საჟენი მიწა. სხვა მიწა არა მაქვს და არც რაიმე სხვა საშუალება ჩემს ცხოვრების. მივმართე კომმეურნეობას, რომ ჩამორთმეული მიწა დაეტოვებიათ ჩემი შვილებისათვის ნორმის სახით, მაგრამ უარი მითხრეს.

გთხოვთ, განმიმარტოთ კანონიერია თუ არა კომმეურნეობის მოქმედება და ვის მივმართო?

ქვრივი სოლომონიდა თოთიბაძისა.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 94-ისა, ოზურგეთი ითვლება მეორე ხარისხოვან ქალაქად და თქვენ სარგებლობაში მყოფი მიწა მდებარეობდა ქალაქის შიდა უბანში, თქვენთვის აღნიშნული მიწიდან უნდა დაეტოვებიათ არა უმეტეს 400 კვად. საჟენისა, შუა უბანში არა ნაკლებ 400 კვად. საჟენის და გარე-უბანში არა უმეტეს 600 კვად. საჟენისა. მაშასადამე, თუ კი თქვენი მიწა მდებარეობდა ქალაქის ფარგლებში კომმეურნეობის მოქმედება კანონიერია, წინააღმდეგ შემთხვევაში, (ე. ი. თუ კი მიწა ქალაქის ფარგლებში არ მდებარეობს) ვინაიდან მისი ფარგლები არ აღემატება მიწ. კოდ. მუხ. 64-ით დაწესებულ ნორმას, თქვენთვის არ უნდა ჩამოერთმიათ. (იხ. მიწ. კოდ. მუხ. 94, 96, 64—66). ყოველ შემთხვევაში გირჩევთ მიმართოთ სახალხო სასამართლოს მიწ. კოდ. მუხ. 24-ის თანახმად.

ფეხბურთი

„დინამო"—„დურუჯი"

კვირას, 28 ნოემბერს. ნაშუადღევის 2 საათზე. ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება თბილისის უძლიერესი გუნდების—„დინამო"-ს და „დურუჯი"-ს შეჯიბრი.

გუნდები გამოდიან შემდეგი შემადგენლობით:

„დინამო": დ. ცომაია, ფოჩხუა, ბლანკმანი, ფელდროოვი, ანიკიევი, სიხარულიძე, ქორავა, აკიმიდი ანდრია, გალპერინი, ჟორდანია და ვლ. ცომაია.

„დურუჯი": პაპკოვი, შვარცბაია, ხევსურიანი, ნიკო ამბოკაძე, იმნაძე, ფრუიძე, ვახტანგ ამბოკაძე, გუნია, ბასიშვილი, ვარნაძე და ქებაძე.

გუნდების შემადგენლობა რამოდენიმეთ გადახალისებულია. „დინამომ", რომელმაც თავის რიგებში მიიღო მთელი რიგი ახალი ძლიერი მოთამაშეები, უმთავრესად თავდამსხმელთა შემადგენლობაში, უკანასკნელ ხანებში დიდ შეტევებს მიაღწია და მთელ რიგ შეჯიბრებში გამოამჟღავნა თავისი უპირატესობა სხვა გუნდებთან შედარებით.

„დინამო" და „დურუჯი" მიმდინარე წლის გაზაფხულიდან, როდესაც გაზაფხულის სეზონის გათამაშებამ არ გამოიღო საბოლოო შედეგი, ედავებიან ერთმანეთს ქალაქის პირველობას. „დურუჯი" ამჟამად ერთად-ერთი საშიში მეტოქეა „დინამო"-სთვის.

კვირის შეჯიბრი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. შეჯიბრის დროს მსაჯათ იქნება ამხ. ტანცოში (ბათომელი).

„დინამო" 2—„დურუჯი" 2

იმავე დღეს, შუადღის 12 საათზე, იქვე გაიმართება „დინამო"-ს და „დურუჯი"-ს მეორე გუნდების შეჯიბრი.

ეს შეჯიბრიც მეტად საინტერესო იქნება, რადგან ეს გუნდები ყველაზე უფრო ძლიერია მეორე კატეგორიის გუნდებში.

საქართველოს ნაკრები გუნდის გამგზავრება

ამიერ-კავკასიის პირველობის გათამაშება ფეხბურთში ჩატარებული იქნება ბაქოში დეკემბრის პირველ რიცხვებში. საქართველოს ნაკრები გუნდის გამგზავრება მოსალოდნელია 30 ნოემბერს.

პირველობის გათამაშება თბილისში

პირველობის გათამაშება პროფკავშირების გუნდებს შორის უკვე დამთავრდა. მომავალი კვირიდან დაიწყება ქალაქის აბსოლიუტური პირველობის გათამაშება კლუბების გუნდებს შორის. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ექვსი გუნდი: „დინამო", „დურუჯი". „არსრაონი", „პოლიტეხნიკუმი", „წ. ა. ფ. ს." და ერი რკინისგზელთა გუნდი, რომელიც პირველობას აიღებს რკინის გზის გუნდებს შორის.

ნარევი

ხურდის მომცემი ავტომატი

ლონდონის ქალაქის რკინის. გზების სადგურებში დადგმულია ახლად გამოგონებული მანქანები (ავტომატები) სამგზავრო ბილეთების გასაყიდათ. მანქანაში ფულის ჩაშვების შემდეგ, იქიდან ვარდება დაბეჭდილი ბილეთი. თუ ჩაშვებული ფული სჭარბობს ბილეთის ღირებულებას, მანქანა ხურდას იძლევა.

ამ გამოგონების უდიდესი მნიშვნელობა ცხადი შეიქნება თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბილეთის მყიდველთა 52 პროც. ხურდას მოითხოვს.

ლოთების მკურნალობა შეერთებულ შტატებში

ოჰაიოს შტატში ლოთობისათვის დაპატიმრებულებს კვებავდენ მხოლოდ რძითა და პურით. როცა ამ „სასჯელმა" არ გასჭრა გამოიგონეს ლოთების „მკურნალობის" ახალი საშუალება: 4კაცს მიუსაჯეს წყლით მკურნალობა—მათ იძულებულს ხდიდენ ყოველდღიურათ დაელიათ ნახევარი ვედრო წყალი.

ოფიციალ. განყ.

დადგენილება

ამიერ - კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა

ამიერ - კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: ვინაიდან ამხ. ბაგდატიევი არჩეულ იქნა ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკიდან საბჭოთა კავშირის მთავარ ტეხნიკურ კომიტეტში, საბჭოთა კავშირის ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისრის რწმუნებულად ამიერ - კავკასიაში წარადგენილ იქნეს ამხ. ეპიფანე კვანტალიანი.

ა.-კ. სოც. ფედ. რესპუბლიკის ცაკის
თავმჯდომარე—ს. ხანოიანი.
ა.-კ. სოც. ფედ. რესპუბლიკის ცაკის
ა. შავერდოვი.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ყოფილ ამიერ-კავკასიის „პრიკაზის" (Закавказский Приказ Общественного Призрения) საქმეების ლიკვიდაციის შესახებ საქართველოს სსრ-ში.

1. ის ვალები, რაც ირიცხება ყოფილ ამიერ-კავკასიის „პრიკაზში" (Закавказский Приказ Общественного Призреня) დაგირავებულ ქალაქად მდებარე შენობებზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ჩამოწერილ იქნეს და აღნიშნული შენობები ზემოხსენებული ვალებისაგან განთავისუფლებულად ჩაითვალოს.

2. ყოფილი ამიერ-კავკასიის „პრიკაზის" (ЗакавказскийПриказ Общественного Призрения) მესხებლების საქმეები, რაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში ინახება, გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ს. ჯუღელი.
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი
ა. სალარიძე.
1926 წ. ნოემბერი.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 68.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ადგილობრივ ტყავის ქარხნების იჯარით უპირატესად სამრეწველო კოოპერატივებისათვის გადაცემის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: შინა-მრეწველთა კოოპერატიულ შენაერთათვის დახმარების გაწევის მიზნით, მსხვილი ტყავეულობის გამომქმნელი ქარხნების იჯარით გაცემისას უპირატესობა მიენიჭოს სამრეწველო კოოპერაციას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—
ს. თოდრია.
1926 წლ. ოქტომბერი.
თბილისი—სასახლე.

პარტკალენდარი

პარასკევს, 26 ნოემბერს საღამოს 6 საათზე, (პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში) მოხდება ს. კ. პ. (ბ) სამაზრო და სათემო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირის გახსნა.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების პროპაგანდის ადგილობრივ ბიუროს სხდომა შესდგება შაბათს, 27 ნოემბ. დილით 9 ს., თბ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი უწყება, რომ, პარასკევს, 26 ნოემბერს, საღამოს 5½ საათზე, მუშათა თეატრის შენობაში (ყოფილი სახალხო სახლი—კირკის ქ.), შესდგება მე-2-რე რაიონის შემდეგი უჯრედების ჯგუფური კრება:

ელექტრონზე მომუშავეების, „26"-ის სახელობის ქარხნის, სპილენძის სატკეცი ქარხ., წყალსადენის სახელოსნოები. სამექანიკო-სახელოსნო, ამიერ-კავკასიის „ზაკავტოპრომტორგის" მმართველობა, მუშკოოპის, ტრ., რ. ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა, თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი", ხე-ტყის სახერხი ქარხანა, საკარტონაჟო ფაბრიკა, საჩხინმრეწვი, აბრეშუმის საქსოვი ფაბრ., ლუდის ქარხანა, „სახელმწიფო სპირტი", ამიერ-კავკასიის კოოპ. კავშირი, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობა", მთავარი საავადმყოფო, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი, თვითმშრომელნი, მელითონეთა ქარხკომი და ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის მესაზღვრე სკოლის.

დღის წესრიგშია: ამხ. ლუკაშინის მოხსენება „—მე-15-ე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ". ზემოთდასახელებულ უჯრედების წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს 26 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, სადგურ ნავთლუღის კლუბის შენობაში შესდგება შემდეგი უჯრედების ჯგუფური კრება; სადგურ ნავთლუღის, სადგ. ნავთლუღის მტვირთველთა, ქალაქის სასაკლაოების, მებაღეთა და სადგურ გარდებანის.

დღის წესრიგშია: ამხ. ფანცხავას მოხსენება „მე-15-ე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ". (ქართულ ენაზე).

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს 26 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება შემდეგი უჯრედების დახურული კრება:

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან არსებულ კოოპერატიულ კურსების, ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავარი პოლიტიკურ სამმართველოს, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო ბანკის, „პურის პროდუქტების". სახალხო კომისართა საბჭოს, საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახურეების, ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს, სოციალურ უზრუნველ სახ. კომისარიატის, ტრანსპორტის, საოლქო ქსელის სამმართველოს, ამიერ-კავკასიის ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოსი, სამხედრო პოლიტიკურ სკოლის კოლექტივის და სამხედრო მომხმარებელ საზოგადოების „მებრძოლი"-ს.

ამხ. ლიხოვსკის მოხსენება.

ახალ მუშათა კლუბის შენობაში—შემდეგი უჯრედებისა: პირველი სტამბა, მე-2-ე სტამბა, მე-3-ე სტამბა, მე-4-ე სტამბა, ქალაქის ალმასკომის № 2 სტამბა, „ზარია ვოსტოკას" სტამბის, ლიტოგრაფიის, ქალაქის ალმასკომის № 1 სტამბისათვის განათლების კომისარიატს მიწათმო- „ფემზას" საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის, გრეხილ ავეჯის ქარხნის, ლენინის სახელობის ქარხნის, ტელეფონის, სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის. ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს მე-8-ე პოლკის კოლექტივის და ცეკავშირის სტამბის.

ამხ. ქართველიშვილის მოხსენება.

დღის წესრიგშია:

„მე-15-ე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ".

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 27 ნოემბერს,
ან. გლებოვის
ზაგმუკ
5 მოქ. თარგმანი ს. შანშიაშვილის.
მუსიკა იონა ტუსკიასი
დადგმა ალ. ახმეტელის, დეკორაციები ირ. გამრეკელის.
კვირას, 28 ნოემბერს ი. გედევანიშვილის
სინათლე 1-ლი ნაწილი
მუსიკა თ. ვახვახიშვილის
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის
დეკორაციები ირ. გამრეკელის
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
3—1 ნ. 270

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 26 ნოემბერს, პრემიერა თავადი იგორი
მონაწილეობენ ბოგოლეპოვა, სკიბიცკაია (დამსახ. მსახ.), კანცბურგი, ქარცივაძე. შარაშიძე, მესხიაევი.
დირიჟორი — სახ. ლხო მსახიობი ი. ფალიაშვილი.
შაბათს, 27 ნოემბერს, მეორეთ დუბროვსკი
კვირას, 28 ნოემბერს, მე-3 აბონემენტის მე 4 წარმოდგენა ჰუგენოტები
ნ. 269

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)
ნ. 157 0—20

საუკეთესო სურათი უკანასკნელად თბილისში
რობინ გუდ
დუგლას ფერბენკსის მონაწილეობით
პირველად თბილისში
სიყვარულის სიმღერა
კინო-პოემა 7 ნაწ. ნატ. კოვანკოს მონაწილეობით
საუკეთესო სურათი დედა რეჟ. ვ. პუდოვკინი
სურათი გამოშვებულია „მეჟრაბპომრუს"-ის მიერ
მეტად საუკეთესო ფრანგული კინო-რომანი
ა, დიუმას რომანის მიხედვით
გრაფი მონტე-კრისტო
6 სერიად (1 და 2 სერია ერთად)
ანონსი: ჩქარა „სამანე შვილის დედინაცვალი"

გაზ. „კომუნისტი"-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ. 0—1 უფ. მთავარი კანტორა

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკულ დაავადებებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს
25—1

სახელმწიფო წარმოებათა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა, საკრედიტო დაწესებულებათა, შერეულ საზოგადოებათა და კერძო იურიდიულ პირთა

საყურადღებოდ

1. სათანაბრო გადასახადზე

საქართველოს ფინსახკომისარიატი უცხადებს სახელმწიფო ტრესტებს, კომბინატებს, სავაჭროებს, სინდიკატებს, სააქციო და შერეულ ტიპის საზოგადოებებს, საპაიო ამხანაგობებს, ბანკებს, საურთიერთო ნდობის საზოგადოებებს და კოოპერატივთა კავშირებს (მათ რიცხვში მუშკოპს, მეომარს და ზაკტპოს), რომელთა გამგეობა იმყოფება საქართველოში, რომ ისინი, თანახმად ა. წ. 24 სექტემბერს დამტკიცებულ სასარეწაო გადასახადის დებულების მე-29 მუხლისა ვალდებულნი არიან წარმოუდგინონ საქართველოს ფინსახკომის გადასახადთა განყოფილებას ს. ს. რ. კ. ფინსახკომის მიერ გამომუშავებულ ფორმებით: 1) ა. წ. 30 ნოემბრამდის სრული სია წარმოებაში შემავალ ყველა დაწესებულებებისა და მათი მისამართის და აღებულ სარეწავ მოწმობის ღირებულების აღნიშვნით თვითეულ გუბერნიაში, ან სათანადო ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულში მდებარე დაწესებულებებზე (ფორმა № 6) და 2) 1927 წლის 31 იანვრამდის ანგარიშები როგორც წარმოების გამგეობისა, აგრეთვე ყველა დაწესებულებების ბრუნვის შესახებ წასულ 1925 და 26 საბიუჯეტო წელში, ე. ი. 1926 წლ. 1-ლ ოქტომბრიდან 1926 წლის 1-ლ ოქტომბრამდე) ფორმა № 7, ლიტ. „ა", „ბ" და „გ").

შენიშვნა: ის წარმოებანი, რომელნიც ამზადებენ აქციზ დასადებ საქონელს, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ საბუთები 1925 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1926 წლის 1-ლ ოქტომბრამდის გადახდილ აქციზის შესახებ.

ანგარიშების დროზე წარმოუდგენლობისათვის, თანახმად დებულების მე-59 მუხლისა, წარმოებანი დაჯარიმებულ იქნებიან მათ მიერ აღებულ უმაღლეს ხარისხის პატენტის ხუთკეც ღირებულებამდის.

განყოფილების მიერ მოთხოვნილ განმარტებების დანიშნულ ვადაზე წარმოუდგენლობისათვის თანახმად მე-30 მუხლისა დაჯარიმებულ იქნებიან ზემოაღნიშნულ რაოდენობის 30 პროცენტამდის.

დებულების მე-29 მუხლის „ა" განყოფილებით გათვალისწინებულ სიის დროზე წარმოუდგენლობისათვის წარმოებანი დაჯარიმებულნი იქნებიან წარმოების მიერ აღებულ უმაღლეს ხარისხის პატენტის ნახევარ ღირებულებამდის.

საქართველოს რესპუბლიკაში მომქმედი იმ წარმოებათა სარაიონო კანტორები, რომელთათვისაც დაწესებულია სათანაბრო გადასახადით რაიონული დაბეგვრა, ვალდებულნი არიან წარმოუდგინონ გადასახადთა განყოფილებას ზემოდასახელებული ცნობები და ანგარიშები ყველა მასში შემავალ დაწესებულებებზე.

ყველა დაწესებულებანი (მათ რიცხვშიც გამგეობაც) ზემოჩამოთვლილ წარმოებათა, რომელნიც მოქმედებენ დამოუკიდებელ პატენტით, მიუხედავათ გამგეობის ადგილმდებარეობისა, ვალდებულნი არიან არა უგვიანეს ა. წ. 30 ნოემბრისა წარუდგინონ პირდაპირ გადასახადების ინსპექტორს სარეგისტრაციო განცხადება ფორმა № 5 მიხედვით.

2. საშემოსავლო გადასახადზე.

გამგეობანი სახელმწიფო ტრესტების, კომბინატების, სავაჭროების, სინდიკატების, ბანკების და სხვ. კომერციულ ანგარიშზე მყოფ სახ. და კომუნალურ წარმოებათა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა (გარდა საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფალთა), სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა), რომელთა აქციების (პაიების), არა ნაკლებ 50 პროც. ეკუთვნის სახ. წარმოებებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ვალდებულნი არიან საოპერაციო წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში წარმოუდგინონ გადასახადთა განყოფილებას ასლი სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებულ ბალანსისა (კომუნალურ წარმოებანი და კოოპერატიული ორგანიზაციები ადგენენ წლიურ ანგარიშებს სრულად), და იმავე ვადაში უნდა შეიტანონ ფინსახკომის სალაროში საშემოსავლო გადასახადი ადგილობრივ ორგანოთა სასარგებლოთ დანარიცხებითურთ, მათ მიერვე შედგენილ ანგარიშების მიხედვით. გადასახადი უნდა განსაზღვრულ იქნეს 8 პროც. ბალანსში გამოყვანილ წმინდა მოგებიდან და უნდა დაემატოს გამოანგარიშებულ გადასახადის 25 პროც. ადგილობრივ ორგანოთა სასარგებლოთ, ხოლო სულ 10 პროც. მოგების მთელი ჯამისა.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოებას გაუგრძელდა ანგარიშების წარმოდგენის ვადა ანგარიშების გამოქვეყნების შესახებ დაწესებულ წესრიგით, ხოლო გადასახადის გადახდის ვადა არ ექნება გაგრძელებული. ის ვალდებულია ზემოაღნიშნულ ვადაზე, შეიტანოს გადასახადი წარსული წლის მოგების მიხედვით. ბალანსის დამტკიცების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში გამგეობა ვალდებულია წარმოუდგინოს გადასახადთა განყოფილებას საბოლოოდ დამტკიცებული ბალანსის ასლი და ქვითარი დამატებით გადახდილ გადასახადის ჯამის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც წმინდა მოგება გადიდებული იქნება, ან წარმოუდგინოს განცხადება ზედმეტად შეტანილ ფულის დაბრუნების შესახებ, უკეთუ წმინდა მოგება იქნება შემცირებული.

კერძო სააქციო საზოგადოებები (საპაიო ამხანაგობები), ამხანაგობები განსაზღვრულ პასუხისმგებლობით, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები და საზღვარ გარეთელ საზოგადოებათა და ამხანაგობათა წარმომადგენლობანი ვალდებულნი არიან წარმოუდგინონ გადასახადთა განყოფილება სრული წლიური ანგარიშები სამი თვის განმავლობაში საოპერაციო წლის დამთავრებიდან, კუთვნილ საშემოსავლო გადასახადის ანგარიშის თანდართვით (ფორმა № 5).

ბალანსების და ანგარიშების წარმოუდგენლობისათვის, ან დაგვიანებით წარმოდგენისათვის წარმოებანი დაჯარიმებულ იქნებიან 300 მანეთამდის, ხოლო დამატებით მოთხოვნილ ცნობების წარმოუდგენლობისათვის დაჯარიმებული იქნებიან 100 მანეთამდის.

3.

ის წარმოებანი, რომელნიც არ წარმოადგენენ ბალანსებს და ანგარიშებს, როგორც სათანაბრო, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადებით დაიბეგრებიან იმ ცნობებზე და მასალების მიხედვით, რომელიც ხელთ ექნება განსაკუთრებულ საგადასახადო კომისიას.

საქართ. ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ი. ფანცხავა.

გადასახადთა განყოფილების მმართველი ბეზირგანიშვილი.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

იყიდება საჯარო ვაჭრობით

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის არაპირდაპირ გადასახადთა მე-6 უბნის ინსპექტორი ა. წ. 30 ნოემბერს დღის 12 საათზე გაჰყიდის საჯარო ვაჭრობით ამხ. „ტრიოხგორნოი"-ს პურის სპირტის სახდელ და სარექტიფიკაციო ქარხნების და დასაწმენდ განყოფილების ქვემოთ ჩამოთვლილ ინვენტარს, არაპირდაპირი გადასახადის ასანაზღაურებლად.

იყიდება: 1 საორთქლო განყოფილება: 1) ორთქლის დგუშები, 2) ცენტრსბოლი ფრთიანი დგუში, 3) რახის სახდელი სპილენძის ქვაბი. 2 სახარში განყოფილება: 4) რახის სახდელი სპილენძის კოლონა, 5) დეფლეგმატორი, 6) მაცივარი, 7) სპილენძის სახურავი, 8) სპილენძის კლაკნილა, 9) რკინის სახურავი, 10) ორი პატარა აპარატი გენცისა, 11) საფუარის რვა ფლასვი, 12) სპირტის მიმღები, 3) პურის სპირტის სახდელ ქარხნის გასაწმენდი განყოფილება: 13) სარექტიფიკაციო კათხი, 14) სპილენძის კოლონა, 15) დეფლეგმატორი, 16) მაცივარი სპილენძისა, 17) ფიალა, 18) საპორციო ფლასვი, 19) სპირტის მიმღები რკინის კასრები სხვადასხვა ზომებისა, 20) რეგულიატორი. მე-4 სარექტიფიკაციო განყოფილება: 21) სარექტიფიკაციო ქვაბი, 22) სპილენძის კოლონა, 23) დეფლეგმატორი, 24) სპილენძის მაცივარი, 25) სპილენძის ფიალა, 26) 1 და 2 ხარისხის აგრეთვე ალდეგედის და სპირტის უვარგისი ნაშთების მიმღები ქვაბები, 27) საპორციო ფლასვი, 28) ერთი ცილინდრიული საზომი, მე-5 კონიაკის ქარხანა: 29) სახდელი ქვაბი, 30) სპილენძის კოლონა, 31) სპილენძის თეფშები, 32) მაცივარი, 33) ცისტერნები, 34) წისქვილი 2 ქვით, 35) რკინის სხვადასხვა ზომის კასრები, 36) მილების ნაჭრები 50 ფ. და სხვ.

სხვა დანარჩენი ინვენტარი და ქონება, როგორც: საორთქლო ქვაბი, დგუშები, ექსგაუსტერი, ბლაოს საღერღი და სხვა ეკუთვნით მემკვიდრეებს: ლ. მადერს, ა. კოვალსკის, ე. პარრს და სხვ. რომელიც იჯარით აქვთ აღებული „ტრიოხგორნოი"-ს ამხანაგობას.

აღნიშნული შეფასებულია 33.030 მან. ყოველგვარი დაწვრილებითი ცნობების მიღება მსურველთ შეუძლიათ მიიღონ არაპირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფილებაში ან მე-6 უბნის ინსპექტორთან (კლარა ცეტკინას ქ. № 152 (ყოფილი ელისაბედის ქ.)

მე-6 უბნის არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორი.
ნ. 271

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 30 ნოემბერს 1926 წლ. დღის 1 საათზე სახლში № 152 ელისაბედის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის ტრიოხ-გორნიკების მოძრავ ქონებას: დალერილს სიმინდს, 234 ფუთამდე, ქერს 53 ფუთ. 80 ტომრებს, წყლის საქაჩავ ნასოსს, სამზარეულოს „პლიტას" და სხვა. შეფასებულს 1046 მან. მიწა-ტყის კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 თებერვალს 1926 წ. თარიღით № 5056 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა.
694

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ი. ი. ბეჟიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე, ქალების მიღება 2—3 საათ. ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59,

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—1

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქვ. 379

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა
კლინიკაში
პლეხანოვის პროსპექტი № 1 6), საღამოობით 4—6 საათამდის
ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 25|1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.
25—1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

დავკარგე პირადი წიგნაკი № 237 ფ. № 4, ბანძის სამხედრო მაგიდიდან მიღებული ივლიანე ხურცილავას სახელზე, ჩ. გ. № 699

დავკარგე ზუგდიდის 9 წლიან შრომის სკოლის დამთავრების მოწმობა № 325 გრიგოლ იოსების ძე სარიას სახელზე, ჩ. გ. 699

დავკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული მე-9 კომისარიატის მიერ, ოლღა ბელიკის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 696

დავკარგე საარიცხვო ფურცელი, თამასუქი 27 მანეთის დევდარიანისაგან და ჰკლემ-ლაილაშის გზის გადასახადის ქვითრები შალომ მეგრელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 690

დავკარგე კოოპერატივ „მებაღე"-ს საწევრო წიგნაკი № 30. შინა მრეწველ ხელოსანთა საზოგადოების წიგნაკი № 3638. უვადო ვინაობის წიგნაკი მე-12 სამილ. უბნის მიერ მოცემული № 428 ხაზინის სალაროს ქვითარი პატენტის 12—მანეთის კოოპერატიული ბანკის საწევრო წიგნაკი ლუკა თედორესძე ფეტელავას სახელზე, ჩ. გ. 691

დავკარგე აღრიცხვის ბარათი მირიან ერმალოსძე პაიჭაძის სახელზე ჩ. გ. ქვ. 698

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.